ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№241 (300) 15-22 ოქტომბერი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

გილოცავთ გაზეთის მე-300 ნომრის გამოსვლას! ილორის წმინდა გიორგის მადლი გფარვიდეთ!

გაზეთის შემოქმედებით კოლექტივსა და მის მკითხველებს გულითადად ვულოცავთ **“ილორის”** მესამასე ნომრის გამოსვლის იუბილეს!

თავისი არსებობის მანძილზე გაზეთი **„ილორი“** მნიშვნელოვან შემეცნებით ფენომენად იქცა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უახლეს ისტორიაში, რადგან ობიექტური ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს თანამედროვე პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებზე. იგი ასევე მკითხველთა საიმედო მეგზურია ეროვნული და მსოფლიო ისტორიის ლაბირინთებში.

გაზეთმა ფეხი აიდგა რთულ მორალურ-ფსიქოლოგიურ პირობებში, რომელიც საქართველოში შეიქმნა სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს“** ჩამოყალიბების გამო.

1999 წლის 5 მარტს, ფოთში, სახალხო მოძრაობის პირველ ყრილობაზე გაჟღერდა ის საკითხები, რომლებიც მრავალი ათწლეულის განმავლობაში იყო ტაბუდადებული და მათთან შეხება თითქმის სახელმწიფო დანაშაულის ტოლფასი გახლდათ.

ჩვენ პირველებმა განვაცხადეთ ხმამაღლა, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას სრულიადაც არ აღელვებს სამეგრელოს მოსახლეობის გაუსაძლისი მდგომარეობა, კატეგორიულად დავგმეთ სამეგრელოში სახელისუფლებო ბანდფორმირებების მიერ განსაკუთრებული სისასტიკით ჩატარებული სადამსჯელო ოპერაციები, რომლებმაც ათასობით უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა, და მოვითხოვეთ ამ არაადამიანური აქციის ორგანიზატორთა და შემსრულებელთა სათანადოდ დასჯა. სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** დამფუძნებელ ყრილობაზე პირველად ითქვა, რომ ქართულ ენასთან ერთად არსებობს უნიკალური ენობრივი ფენომენი – სრულფასოვანი მეგრული ენა, რომელიც სათანადო პატივს და ზრუნვას მოითხოვს, და მოვითხოვეთ, რომ ქართველი ერის ერთიანობის განმტკიცებისა და მის შემადგენელ ნაწილთა შორის გაუცხოების არდაშვების მიზნით საშუალო სკოლებში შემოღებულიყო მეგრული და სვანური ენების საფუძვლების სწავლება. ყრილობამ მოსთხოვა ხელისუფლებას, რომ შემუშავებულიყო სამეგრელოს სოციალურ-ეკონომიკური, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურული განვითარების სახელმწიფო პროგრამა.

რა თქმა უნდა, ედუარდ შევარდნაძის ანტიეროვნულმა ხელისუფლებამ სამეგრელოს საზოგადოებრიობის არცერთი ეს მოთხოვნა არ შეასრულა და გააჩაღა ბინძური პროპაგანდისტური კამპანია, სადაც ბრალს გვდებდნენ სეპარატიზმში, სამშობლოს ღალატში, კონსტიტუციური წყობილების ხელყოფაში, ხელისუფლების ხელში ჩაგდების მცდელობაში და სხვა ცოდვებში.

ტელევიზია და პრესა, განსაკუთრებით მეგრული წარმოშობის სულმოკლე ანგარებიანი პოლიტიკოსები, მეცნიერები და ჟურნალისტები **„ზემოდან“** კარნახით **„გვამხელდნენ“** სეპარატისტულ მისწრაფებებში, ამტკიცებდნენ, რომ მეგრული ენა, როგორც ასეთი, ბუნებაში არ არსებობს, რომ მისი სასწავლო პროგრამაში შეტანა სისულელეა, რომ ხელისუფლება დღესა და ღამეს ასწორებს სამეგრელოს მოსახლეობაზე ზრუნვით, რომ სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში სამეგრელო უძლიერესი ეკონომიკის მქონე აყვავებულ კუთხედ გადაიქცევა და სხვა. სწორედ ამ ბინძურ პროვოკაციულ-ისტერიულ ფონზე უშიშრად დაიწყო მოღვაწეობა სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს“** ბეჭდვითმა ორგანომ – გაზეთმა **„ილორმა“**.

სწორედ სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს“**, მისი აქტივის, გაზეთ **“ილორის”** გარკვეული ძალისხმევა დევს იმ საქმეში, რომ ძველი ხელისუფლება ისტორიის კუთვნილებად იქცა. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ ახალი ხელისუფლებაც სათანადო ყურადღებას არ აქცევს სამეგრელოს ეკონომიკას, სოციალურ სფეროს, კულტურასა და ხელოვნებას. არა და, საჭიროა საქართველოს ამ უძველესი და ულამაზესი კუთხისა და მისი ხალხისადმი მეტი ყურადღების გამოვლენა.

წლების განმავლობაში გაზეთში იბეჭდებოდა ასეულობით საინტერესო მასალა როგორც საქართველოში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზით, ასევე ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკის ობიექტური შეფასებით. მკითხველთა ყურადღებას იპყრობდა სამეგრელოს ისტორიის, ენის, კულტურის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ამსახველი პუბლიკაციები, სახალხო ფოლკლორის ნიმუშები, სამეგრელოს გამოჩენილ შვილთა ბიოგრაფიები, მეგრელ ავტორთა მხატვრული ნაწარმოებები.

გაზეთი პოპულარული გახდა არა მხოლოდ სამეგრელოში, არამედ საქართველოს მკითხველთა ფართო აუდიტორიაშიც, განსაკუთრებით იმ ადამიანებს შორის, რომელთაც გული შესტკივათ ქართველი ერის და ქართული სახელმწიფოებრიობის ერთიანობაზე, მრავალფეროვან ქართულ კულტურაზე.

გაზეთის მესამასე ნომრის გამოსვლის დღეს გისურვებთ, რომ კვლავაც ძველებური შემართებით გააგრძელოთ ბრძოლა ყოველგვარი სიმახინჯის წინააღმდეგ, ობიექტურად გააშუქოთ ისტორიული და თანამედროვე პროცესები, მოვლენები და ფაქტები, პრინციპულად დაიცვათ ჩვენი ხალხის ეროვნული ინტერესები, გაუფრთხილდეთ მის სოციო-კულტურულ თავისებურებებს და ტრადიციულ სულიერ ღირებულებებს.

ამავე დროს, ბატონო როლანდ, გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 72 წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, რათა მომავალშიც ენერგიულად იღვწოდეთ სამშობლოსა და მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ!

თვით გაზეთის სახელწოდება გვავალდებულებს გვახსოვდეს, რომ ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის ხელისუფლების დანაშაულებრივი პოლიტიკის გამო ჩვენ ფაქტიურად წარმოვადგენთ გაყოფილ ერს და ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ავაღორძინოთ აფხაზ და ოს ხალხთან ტრადიციული კეთილნათესაური ურთიერთობები და აღვადგინოთ ერთიანი საარსებო, ეკონომიკური და კულტურული სივრცე.

მართალია ქვეყანაში სამართლიანობა ჯერ კიდევ არ არის სრულად აღდგენილი და არც ქვეყნის პოლიტიკური ორიენტირია მკვეთრად გამოხატული, მაგრამ იმედია, რომ ქართული საზოგადოება სწორ დასკვნებს გააკეთებს და ხელისუფლებისაკენ გზას გაუკაფავს იმ ჯანსაღ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც ხელეწიფება ქვეყნის პოლიტიკური ჩიხიდან გამოყვანა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა!

გაზეთ **“ილორის”** მესვეურთა დიდი მონდომებისა და გარჯის შედეგად მიმაჩნია ის ამბავი, რომ შეიძლება არა მკვეთრად დაცული პერიოდულობით, მაგრამ გაზეთი მაინც გამოდიოდა მისი დაარსების დღიდან, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში კი იგი უწყვეტად გამოდის – კვირაში ერთხელ.

მადლობას ვუხდი გაზეთის იმ ავტორებს, რომლებიც ძნელბედობის ჟამს მფრთხალი კურდღლებივით ფსევდონიმებს არ ეფარებოდნენ და ხელს აწერდნენ იმ კრიტიკულ პუბლიკაციებზე, რომლებიც მკაცრად ამხელდნენ გასული წლების აღვირახსნილ ხელისუფლებას და მის მიერ ჩადენილ მძიმე დანაშაულობებს, რითაც საფრთხეში აგდებდნენ საკუთარ და ახლობლების სიცოცხლეს!

მადლობას ვუხდი გაზეთის რიგით მკითხველებს, რომელთა მხრიდან გამოვლენილი ინტერესი გახლავთ გაზეთის ბრძოლისუნარიანობის პირუთვნელი შეფასება!

ილორის წმინდა გიორგის მადლი გფარვიდეთ!

პატივისცემით,

ალექსანდრე ჯაჯია
სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ თავმჯდომარე

სააკაშვილის მოშორებამდე დარჩა 12 დღე

არზაყან ემუხვარი და აფხაზეთის ისტორიის ზოგიერთი ასპექტი

ქართულ-აფხაზური ურთიერთობა მრავალ საგმირო ისტორიას მოიცავს. ბევრი ქართველი უფრო **„დიდი"** აფხაზი იყო ვიდრე თავად გვარტომით აფხაზები და პირიქით, ბევრი **„აფხაზი"** ქართველთა გმირი გამხდარა. მათ აფხაზური ცნობიერება ჰქონდათ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ქართულს დაპირისპირებოდნენ. ისინი ზოგად ქართულში ორგანულად ჯდებოდნენ. თავს ცალკე ეროვნებას მიაკუთვნებდნენ, ავტონომიის მქონე ეროვნებად, მაგრამ ერთიან ქართულ სახელმწიფოში. მათ ეს არაერთხელ განუცხადებიათ. მათი პოლიტიკა სწორედ აქეთკენ იყო მიმართული. გარდა აფხაზებისა, აფხაზეთში დიდი რაოდენობით რუსული, სომხური და ბერძნული მოსახლეობა ცხოვრობდა. როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, 90-იანი წლებისგან განსხვავებით, არაქართული მოსახლეობის ძალიან დიდი და გავლენიანი ნაწილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოზიციაზე იდგა. იყვნენ პიროვნებები, რომლებიც ამ საქმეს სათავეში ედგნენ. ერთ ერთი ასეთი იყო არზაყან ემუხვარი.

არზაყან ემუხვარი დაიბადა 1880 წელს სოფელ ჩხორთოლში, ბედიის საზღვარზე, სამურზაყანოში. მამა გახლდათ თავადი ყაზილბაქ (კონსტანტინე) ემუხვარი, დედა კი მარღანიების ცნობილი გვარის ქალი – ხიმზიდა. არზაყანს მშობლები ადრეულ ასაკში გარდაეცვალა და ამიტომ იზრდებოდა ძიძის ოჯახში ოქუმში, სადაც პირველდაწყებით სკოლაში დადიოდა. შემდეგ გადაიყვანეს ახალი სენაკის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო იქიდან ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1902 წელს დაამთავრა. სწორედ აქ ქუთაისში სწავლისას იქცა ის ქართველ პატრიოტად და იმავე დროს **„მესამე დასსაც"** მიეკედლა... შინ დაბრუნებისას შეუდგა სამზადისს უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად რუსეთში, მაგრამ ცენზი მოითხოვდა სამხედრო ბეგარის გადახდას – მოსთხოვეს ჯარში შესვლა. მას შეეძლო თბილისის საიუნკერო სასწავლებელში შესულიყო და ღირსეული ოფიცერი გამხდარიყო, ამისთვის ყველა თვისება ჰქონდა: იყო ტანადი, მამაცი, გამჭრიახი და გონებამახვილი ყმაწვილი, მაგრამ ამ დროს დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი და პირველმა რევოლუციურმა სიომაც დაჰბერა. არზაყანი **„სოხუმის რესპუბლიკის"** ხელმძღვანელი ხდება, სოციალ-დემოკრატიის რიგებში, ციხეშიც ზის ცოტა ხნით. ერთი წლით ციხეში ჯდომამ არზაყანი აქცია მთელი აფხაზეთის უცილო ბელადად: **„მის შეუკითხავად არაფერი ხდება იქ ღირსშესანიშნავი; აფხაზეთის „დამნაშავე მოსახლეობა"** (ასე მონათლა იგი იმპერიის მმართველობამ 1878 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ) ყაზილბაქის შვილს არზაყან ემხს (ემხვარს) თავის მფარველად სთვლის (**„დამოუკიდებელი საქართველო"** პარიზი, 1939, №155, გვ5).

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში ანარქიისა და ისედაც გართულებული მდგომარეობის კიდევ უფრო გამოსაწვევად ბოლშევიკებმა ე.წ. **„სოხუმის ოკრუგს"** და აფხაზ ნაციონალისტებს მიმართეს, რომლებმაც წამოაყენეს **აფხაზეთი ჩრდილოეთ კავკასიასთან გაერთიანების იდეა.** ამის პარალელურად აფხაზი მოსახლეობის ფართო ფენებში არზაყან ემუხვარის დიდი მცდელობით თანდათან ძლიერდებოდა დემოკრატიული მოძრაობა ლოზუნგით: **გავერთიანდეთ არა ჩრდილოეთ კავკასიასთან, არამედ საქართველოსთან!** სოხუმში ამ დროს მოქმედებდა აფხაზეთის ეროვნული საბჭო, რომელმაც დაადგინა შესულიყო ამიერკავკასიის სეიმში, ხოლო როცა ეს სეიმი დაიშალა, აფხაზ ნაციონალისტთა ერთმა ნაწილმა თავად შერვაძის მეთაურობით თურქეთზე აიღო ორიენტაცია, ხოლო მეორე თავადმა მარშანიამ ტყეს შეაფარა თავი და თურქეთის დახმარების მოლოდინში აფხაზებს აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. ამასობაში თურქეთში გაქცეული შერვაშიძე იარაღით თურქ მედესანტეებთან ერთად სოხუმის სანაპიროს მოადგა, მაგრამ მას აქ გმირულად დაუხვდა ქართული სახალხო გვარდია გენერალ მაზნიაშვილის წინამძღოლობით, რომელმაც მომხვდურებს იარაღი აჰყარა და თურქეთში უკუაქცია. მალე სახალხო გვარდიამ მთელი აფხაზეთი გაწმინდა მარშანიას რაზმებისაგან და აქ სრული წესრიგი დაამყარა. აფხაზეთის ეროვნულმა საბჭომ არზაყან ემუხვარის მეთაურობით თბილისში დელეგაცია გამოგზავნა საქართველოს მთავრობასთან მოსალაპარაკებლად და მიღწეულ იქნა შეთანხმება აფხაზეთის ეროვნული საბჭოს ახალი არჩევნების ჩასატარებლად. ამ არჩევნებს უნდა გამოერკვია მოსახლეობის დამოკიდებულება საქართველოს მთავრობასთან.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღსდგა დიდი ისტორიული წარსულისა და სახელმწიფოებრივი ტრადიციების მქონე საქართველოს დამოუკიდებლობა, ამით არზაყან ემუხვარს მიეცა საშუალება თავისი ნიჭი, უნარი და ენერგია ხალხისა და ქვეყნის სამსახურში დაეყენებინა. აფხაზეთმა ის ღირსეულად დააფასა და აირჩია ჯერ ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ ავტონომიური მთავრობის თავმჯდომარედ; იმავე დროს ქართველმა ერმა აფხაზობასთან ერთად ის წარგზავნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი ორგანოს – დამფუძნებელი კრების წევრად.

1919 წლის 12 მარტს ჩატარდა აფხაზეთის ახალი ეროვნული საბჭოს არჩევნები, რომელშიც შევიდა 40 წევრი. არჩევნებში დამარცხებულმა აფხაზმა ნაციონალისტემა ახლა კურსი აიღეს არა საქართველოსთან გაერთიანებაზე, არამედ მასთან კონფედერაციულ დამოკიდებულებაზე. ამიტომ 1919 წლის 20 მარტს შეიკრიბა აფხაზეთის ახალი ეროვნული საბჭო, რომელმაც დაადგინა: **„აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული, რის თაობაზეც ეცნობოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მის დამფუძნებელ კრებას".** საქართველოს როგორც დამფუძნებელი კრება, ისე მთავრობა, ერთხმად დაეთანხმა აფხაზეთის ეროვნული საბჭოს ამ დადგენილებას და ამ დღიდან მოყოლებული საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობა ისე განმტკიცდა, რომ ყველა სხვაგვარ ორიენტაციას ნიადაგი გამოეცალა. ამაში დიდი იყო არზაყან ემუხვარის ღვაწლი, რომელიც **„ერთნაირის ერთგულებით ემსახურებოდა საერთოდ საქართველოს და კერძოდ აფხაზეთს, რომელთა ინტერესები და კეთილდღეობა მის შეგნებაში იყვნენ ერთმანეთისაგან განუყოფელნი და განუთვისებელნი".**

1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენების შემდეგ ავტონომიური აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე არზაყან ემუხვარი საქართველოს ეროვნულ მთავრობასთან ერთად გადაიხვეწა უცხოეთში. ერთხანს არზაყანი სტამბოლში ცხოვრობდა, შემდეგ პრაღაში გადასახლდა და იქ დაბინავდა. აქ მრავალი წლის განმავლობაში მეთაურობდა მცირერიცხოვან ქართულ კოლონიას, როგორც მისი ღირსეული თავმჯდომარე და მთელი არსებით, სულითა და გულით ჩვენი ქვეყნის განმათავისუფლებელ ბრძოლასთან იყო და მას ხელს უწყობდა, რითაც შეეძლო.

1939 წლის 8 მარტს არზაყან ემუხვარი პრაღიდან პარიზში ეწვია ქართულ ემიგრაციას, რომ უფრო ახლო გაცნობოდა განმათავისუფლებელ მოძრაობის მიმდინარეობას და უშუალო მონაწილეობა მიეღო მასში. აქ მას დიდი სიხარულით შეხვდნენ ძველი ნაცნობ-მეგობრები. თუმცა რამდენიმე დღეში – 18 მარტს ის მოულოდნელად ავად გახდა და გარდაიცვალა. მეგობრებმა ცოცხალი ყვავილებისაგან გაკეთებული გვირგვინით შემკული კუბო პარიზიდან ლევილში გადაასვენეს და აქ – ლევილის ქართველთა სასაფლაოზე, სადაც განისვენებს უცხოეთში უდროოდ დაკარგულ მამულიშვილთა უმრავლესობა, დიდი პატივით დაკრძალეს. დაკრძალვის დღეს არზაყანის საფლავთან დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსთა მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის მიერ წარმოთქმულ გამოსათხოვარ სიტყვაში ნათქვამია: **„მე არ ვიცი... ვისი გული უფრო მძლავრად ფეთქავდა შენში: თავისუფლების მოყვარე აფხაზის თუ თავდადებული ქართველის? ერთისაც და მეორისაც, – მთლიანად და უნაკლოდ. შენ იყავი განსახიერება იმ ერთ-არსების, რომელსაც თავისუფალი, გაერთიანებული, საქართველო გამოხატავდა: აფხაზეთის დიდი მამულიშვილი და საქართველოს უსაზღვრო პარტიოტი!..**

ვაი, რომ ბევრმა არც კი იცის, რა დიდი განძი დავკარგეთ შენში, დავკარგეთ ყველამ – აფხაზებმაც და ქართველებმაც: დავკარგეთ შეუდარებელი პიროვნება ამ ორი ძმის ურთიერთობისათვის ჩვენს თაობაში!.. გვრჩება იმედი იმის, რომ ის ცხოველმყოფელი თესლი, შენ რომ უხვად დასთესე შენს სიცოცხლეში, უნაყოფოთ ვერ დარჩებოდა და მრავლად იქნებიან ისინი, ვინც შენს მაგალითს ცხოვრების გზად და ხიდად გაიხდიდნენ."

ძნელია არ დაეთანხმო კ. კანდელაკის ამ სიტყვებს. არზაყან ემუხვარი – აფხაზი რომელიც ყველაზე დიდი ქართველი იყო, სასიქადულო მამულიშვილი და ხიდი ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისა. დამაკავშირებელი რგოლი ამ ორი მოძმე ერისა, უაღრესად განათლებული და გამჭრიახი პიროვნება...ისე როგორც განუყოფელია ერთმანეთისაგან საქართველო და აფხაზეთი, ასევე განუყოფელია ერთმანეთისაგან თავისუფალი საქართველოს და აფხაზეთის პირველ ეროვნულ მთავრობათა თავმჯდომარეების ბედი – არზაყანი ნოე ჟორდანიას გვერდითაა დაკრძალული და მის საფლავს ამშვენებს ქართული წარწერა!

ძალიან საინტერესოა არზაყან ემუხვარის დამოკიდებულება განათლების საკითხისადმი. თავისი შვილის გიორგი (კუჭუჭი) ემუხვარისადმი მოწერილ წერილებში კარგად ჩანს მისი განათლება, დიდი დაკვირვება და ცხოვრებისეული გამოცდილება არა მხოლოდ განათლების სფეროში, არამედ ზოგადად სპორტისა და ადამიანის ფიზიოლოგიის შესახებ. ემხვარი მიუხედავად ემიგრაციაში ყოფნისა, როგორც ჩანს კარგად იცნობს იმ პერიოდის როგორც ქართულ, ასევე მსოფლიო კლასიკოსების და კრიტიკოსების ნაწარმოებებს და იქიდან ურჩევს შვილს, თუ რომელ მწერლებს მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება.

საინტერესოა მისი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გადაანაწილოს ახალგაზრდამ დრო მუშაობასა და მეცადინეობის დროს: **„მაცადინეობა-მოსვენებისთვის დრო უნდა გქონდეს დანაწილებული დაახლოვებით ასე: 8-9 საათი ძილისათვის, 7-7 საათი გაკვეთილებისათვის და დანარჩენი დრო თვითგანვითარება-თამაშ-ვარჯიშობას გაუყავი... თუ მოთმინება და დაკვირვება გეყო აუცილებლად მიაღწევ მიზანს. ერთი არ დაივიწყო, რომ ყოველ ცოდნას მაშინ აქვს ფასი, თუ ჯანმრთელობა დაცულია და ამიტომ არავითარ შემთხვევაში ფიზიკურ განვითარებას უყურადღებოდ ნუ დატოვებ; უბრალო ოთახში ვარჯიშობაც მარგებელია და ტვინსაც ახალისებს გონებრივ მუშაობისათვის, ხოლო უკანასკნელი – გონებრივი მუშაობა – სხვათა შორის ძალიან დამოკიდებულია თვით მუშაობის სისტემაზედ; ისე უნდა დაანაწილო სამეცადინო საგნები, რომ ტვინი არ მოგეღალოს და ყოველთვის ხალისიანად იმაცადინო, რადგან ტვინის მოღალვა დიდი უბედურებაა. თუ დააკვირდები შენს თავს, შენ თვითონ იგრძნობ, როცა ტვინი თხოულობს მოსვენებას და არამც და არამც ნუ გაუჯინიანდები და ძალას ნუ დაატან, მოასვენე და მერე კი ხალისიც მოგეცემა და ადვილათაც შეითვისებ იმას, რაც დაღლილობის დროს ძლიერ გეძნელებოდა და თავში არ შეგდიოდა... საქმე წაკითხული წიგნების რაოდენობაში კი არ არის, არამედ მისი გაგება-შეთვისებაში, როცა რომელიმე მწერლის თხზულებას წაიკითხავ უნდა დაუსვა შენს თავს ასეთი კითხვა: რას ფიქრობდა მწერალი, როცა წაკითხულ წიგნს სწერდა? რამდენათ კარგათ შეასრულა მწერალმა თავისი ფიქრი? როგორი ტიპები აქვს გამოყვანილი? რამდენათ მისი ფიქრი-აზრი სასარგებლოა საზოგადოებისთვის და სხვა? ერთი სიტყვით, თითქმის ნახევარი იმ დროისა, რაც თვით წიგნის წაკითხვას მოანდომე, უნდა იფიქრო იმ დედააზრზე, რაც მწერალს ამოქმედებდა. ამ ფიქრის შემდეგ, თუ იშოვე ამ ნაწარმოების კრიტიკული გარჩევა წასაკითხავათ, უნდა შეადარო შენი მოსაზრებანი ამ ნაწარმოებზედ კრიტიკოსის მოსაზრებას და დაასკვნა, ვინ არის მართალი, შენ თუ კრიტიკოსი... საზოგადოთ ნუ იფიქრებ, ერთხელ წავიკითხე და მორჩაო, ხშირად მეორე-მესამეჯერაც წაიკითხება კარგი წიგნი, რასაკვირველია, დრო გამოშვებით და მეტი სასარგებლოც იქნება, მინამ ახალ-ახალი წიგნები წაკითხული დაუფიქრებლად..."** (გ. შარაძე – უცხოეთის ცის ქვეშ... II ტომი, 1993 წ. გვ 59, 60-61).

ა. ემუხვარი გამოდის იმ პერიოდში გავრცელებული გაფეტიშებულ და **„პრესტიჟულ"** ფაკულტეტებზე **„განათლების"** მიღების წინააღმდეგ, მისი აზრით ყველა სპეციალობა და დარგი ერთნაირად **„პრესტიჟული"** და მისაღებია: **„არც ერთი დარგი თავისთავად არ წარმოადგენს ფეტიშს და ყველა დარგი იმდენათ მისაღებია, რამდენათ მსმენელის ინდივიდუალობას ეხამება-ეწყობა; რასაკვირველია, ყველაფერი დამოკიდებულია პიროვნების საქმიანობა-უნარიანობაზე; თუ ეს უკანასკნელი აკლია სწავლულს, ის ადამიანი კი არა, ლეშია ცხოვრებაში; ვინ იცის, რამდენი ინჟინერი, იურისტი, ეკონომისტი... გამხდარან მეტ ბარგათ საზოგადოებისთვის, რადგან მათ ვერავითარი უნარი-საქმიანობა ვერ გამოიჩინეს ცხოვრებაში; სწავლა-ცოდნა არის საიმედო იარაღი, ხოლო თუ ის არ მოიხმარე, მაშინ გინდ არ ყოფილიყოს სრულიად, ვის რად უნდა? ამნაირად, უნარის პატრონი ადამიანი – ინჟინერი იქნება თუ სხვა – ღირსია ერთნაირად დაფასებისა."** (იქვე. გვ. 67)

სწორედ არზაყან (დიმიტრი) ემუხვარი ყოფილა პროტოტიპი კონსტანტინე გამსახურდიას გმირის – თარაშ ემხვარისა. ეს დგინდება კონსტანტინეს წერილით, რომლის ადრესატი არზაყანის ვაჟია. მწერალი მიმართავს მას, რომ *„ჩემს ნაწარმოებში „მთვარის მოტაცებაში" შენი მამის პროტოტიპად მთავარი გმირი, რომელშიც მე ჩემი სიყმის მეგობარი კეთილი აფხაზი არძაყან იგივე დიმიტრი ემხვარი გამოვხატე, რომელთანაც გავატარე პარიზში ჩემი ცხოვრების ყველაზე ტკბილი დღენი"*. კონსტანტინეს თქმით, მან მთავარი გმირი ენგურის ზვირთებთან ბრძოლაში დაამარცხა, **„რადგანაც მისი მიზნების განხორციელება არ ძალმიძდა, გიჟი ენგურის ზვირთებთან შეკაჟება ეს მისი იდეების შებრძოლება იყო მის იდეალისა და არსებული მიმდინარეობისა".** წერილი დათარიღებულია 1934 წლით. მწერალი თხოვს არზაყანის ვაჟს, რომ რომ სიკვდილამდე ეს ამბავი არ გახმაუროს. მართლაც, ფართო საზოგადოებისთვის ეს ამბავი ცნობილი მხოლოდ რამდენიმე წლის წინ გახდა.

ასეთი გმირები გვყავდა – ქართველ-აფხაზების საქართველოს. ახლა კი რა ხდება? ილიას თქმისა არ იყოს **„რანი ვართ?"** ერთმანეთს გადაკიდებული ორი ერი, რომელთაც მხოლოდ აფხაზეთის ტკივილიანი 1993 წელი ახსოვს და დაივიწყეს სამწუხაროდ ჩვენი გმირი წინაპრების ეკლიანი და ტკივილებით აღსავსე ბრძოლა – ბრძოლა მიმართული ქართველთა და აფხაზთა გვერდიგვერდ თანაცხოვრებისათვის.

ვინ უნდა შეგვარიგოს? ჩვენს შერიგებას ვერავინ შესძლებს, ვერც დასავლეთი და ვერც აღმოსავლეთი, იმ პროცესს მესამე მხარე არ სჭირდება. ეს უნდა შევძლოთ ჩვენ – ქართველებმა და აფხაზებმა.

ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრება ვაჟკაცობისა და მიმტევებლობის მრავალ მაგალითს იძლევა. დღეს ყველაზე მეტად გვჭირდება ერთიცა და მეორეც. დღეს ყველაზე მეტად გვჭირდება თანამედროვე არზაყან ემუხვარი – ძლიერი ადამიანი რომელიც ისევ აღადგენს ქართულ-აფხაზურ ჩატეხილ ხიდს. პირველი სიტყვა კი თვით მეომრებმა უნდა თქვან.

ჩვენ ერთი პრობლემის წინაშე ვდგავართ, ამიტომ უმართებულოა ვილაპარაკოთ იმაზე, თუ ვინ ვისთან უნდა მივიდეს და ძმობის ხელი გაუწოდოს. ვინც პირველი გადალახავს რუბიკონს, ის დაუდებს სათავეს დიდი შერიგების პროცესს. პირველ ნაბიჯებს ათასები გაიმეორებენ და დიდ შერიგებას დიდი აღორძინება მოჰყვება. საქართველოს აღორძინება აფხაზებთან ერთად.

მარინა იზორია,
პოლიტოლოგი, პროფესორი

ამბები სამეგრელოდან

ზუგდიდში ბავშვთა სახლის აღდგენას ითხოვენ

ქალაქ ზუგდიდში სკოლა-ინტერნატის აღდგენას ითხოვენ. ამ მოთხოვნით, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალ აბასთუმანში არსებული ბავშვთა სახლის ორმოცდაათამდე პედაგოგმა და რიგითმა თანამშრომლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. მათი განმარტებით ზუგდიდის ბავშვთა სახლი, რომელიც საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო, შარშან, 1 ივლისს გაუქმდა. აღნიშნული სკოლის 250 მოსწავლე წალენჯიხისა და ჩხოროწყუს სკოლებში გადანაწილდა.

ზუგდიდის ბავშვთა სახლის პედაგოგთა მოთხოვნაა ისევ აღდგეს აღნიშნული დაწესებულება და ის საპატრიარქოს გადაეცეს.

დაპირისპირება ფოთის მერიაში: *რატომ დაითხოვა ფოთის მერმა რატი კვანტრიშვილი?*

ფირმა **"ინფრასტრუქტურა 2008"**-ის ყოფილი უფროსი რატი კვანტრიშვილი ქალაქ ფოთის მერს დავით სარსანიას სამსახურიდან მის უკანონოდ გათავისუფლებაში ადანაშაულებს.

"ფოთის მერი მიგზავნიდა რაღაც გამაფრთხილებელ ბრძანებებს, თითქოსდა მე არაჯეროვნად ვასრულებდი საქმეს. მე გავასაჩივრე მერის ბრძანებები და და სასამართლომ გამოიტანა ჩემს მიმართ გამამართლებელი განაჩენი. ამის შემდეგ კი მან დაწერა ბრძანება ჩემი გათავისუფლების შესახებ" – აცხადებს რატი კვანტრიშვილი.

"ინფრასტრუქტურა 2008"-ის ყოფილი უფროსი სამსახურიდან მის დათხოვნას პოლიტიკურ დევნად აფასებს, თუმცა ასე არ ფიქრობს თავად ქალაქ ფოთის მერი. კვანტრიშვილის მიმართ ბრალდებები ფოთის მერს, დავით სარსანიასაც გააჩნია. მისი განცხადებით კვანტრიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმეც არის აღძრული და მისივე საქმიანობის შესწავლით დაინტერესებულია პროკურატურაც.

"ძალიან დიდი და ბევრი კითხვები აქვს თავად კვანტრიშვილის მიმართ სამართალდამცავ ორგანოებს. აღძრულიც არის სისხლის სამართლის საქმე იმასთან დაკავშირებით, რომ 20-25 ათასი დოლარის ღირებულების საქონელი არის უიმედოდ დაკარგული, რომელიც სწორედ ამ პიროვნებაზე იყო მინდობილი. ასევე სახეზე არის ძალიან ბევრი დარღვევები, რომელიც დაწვრილებითი გამოძიების საგანია. ასევე, ჩვენ მივიღეთ სათანადო ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ბატონ კვანტრიშვილს წინასწარ აღებული აქვს რვა თვის ხელფასი" – აცხადებს დავით სარსანია.

ქალაქ ჯვარში მწერების საწინააღმდეგოდ საცხოვრებელი კორპუსების დეზინფექცია დაიწყო

ქალაქ ჯვარის ტერიტორიაზე მწერების საწინააღმდეგოდ მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სარდაფების დამუშავება-დეზინფექცია დაიწყო. აღნიშნული პროექტი წელს ხორციელდება წალენჯიხის რაიონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ენტომოლოგიური სამსახურის მიერ.

აღნიშნული სამუშაოები ტექნიკით და მწერების საწინააღმდეგო ინსექტიციდით მოამარაგა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ. ძირითადი სამუშაოების ჩატარებაში ჩართული იყო გამგებლის მოადგილე სოფლის მეურნეობის დარგში კახაბერ შეროზია და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ქეთევან ღვინჯილია. ამ ეტაპზე დამუშავებულია 21 კორპუსის სარდაფი.

ზუგდიდის გამგეობა ნაპირსამაგრ სამუშაოებს მდინარე ენგურის პერიმეტრზე ისევ აგრძელებს

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ კოკი-ხურჩის ტერიტორიებზე მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოები თითქმის დაასრულა. აღნიშნულით მიღწეული შედეგიც სასურველი აღმოჩნდა. მიუხედავად ძლიერი წვიმებისა, მდინარე ენგური გამაგრებული ჯებირებიდან არ გადმოსულა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის, მაია ღურწკაიას განცხადებით, ზუგდიდის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ედიშერ თოლორაიამ და მისმა მოადგილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მსგავსი ნაპირსამაგრი სამუშაოები განხორციელდეს მდინარე ენგურის იმ პერიმეტრზე, სადაც არსებობს საშიშროება ადიდებული მდინარის გადმოსვლისა.

"გამგებელმა და მისმა მოადგილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება ნაპირსამაგრი სამუშაოები გაგრძელდეს და მდინარე ენგურის პერიმეტრზე საშიში კერები მოისპოს. ამასთან დაკავშირებით დღეს და ხვალ მოხდება პროექტირება გამგეობაში და მალე შეუდგებიან მუშაობას სპეციალური ბრიგადები. ამჟამად გამგებლის მოვალეობის შემსრულებლები და მისი მოადგილეები იმყოფებიან ზუგდიდის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში და ათვალიერებენ იმ ტერიტორიებს, რომელიც ითხოვს სასწრაფო რონისძიებების ჩატარებას. მათ თან ახლავთ გამგეობის სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელები. პროექტირება ნაპირსამაგრ სამუშაოებზე დღეს და ხვალ მოხდება, ორშაბათიდან კი უშუალოდ ნაპირსამაგრი სამუშაოები დაიწყება" – განაცხადა მაია ღურწკაიამ.

სამეგრელოს სამხარეო პოლიციამ სენაკში დიდი ოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სენაკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1976 წელს დაბადებული რომან რ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა სენაკში, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ეზოში მდებარე დამხმარე ნაგებობის ჩხრეკისას, ნაგებობის ჭერში დამალული სამგზავრო ხელჩანთიდან დიდი ოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა: **„ა-კა-ემ"**-ის მოდელის 2 და **„ა-კა-ეს"**-ის მოდელის 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 11 მჭიდით და 193 საბრძოლო ვაზნით, უცხოური წარმოების 1 პისტოლეტი 1 მჭიდითა და 3 საბრძოლო ვაზნით, ასევე, კომბინირებული სანადირო თოფი ამოიღეს.

დაკავებული პირი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით). გამოძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სენაკის რაიონული განყოფილება აწარმოებს.

ყალბი ფულის დამზადების ფაქტზე ორი პირია დაკავებული

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, სამეგრელოში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული ლევან ვ. და 1962 წელს დაბადებული ომარ ხ. ყალბი ფულადი კუპიურების დამზადებისა და რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული პირები სპეციალური ტექნიკური საშუალების გამოყენებით, გასაღების მიზნით, სხვადასხვა ნომინალის მქონე ყალბ ეროვნულ ვალუტას ამზადებდნენ და მის რეალიზაციას ახდენდნენ კომერციული სახის დაწესებულებებსა და კერძო პირებზე. დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შედეგად სამართალდამცველებმა სარეალიზაციოდ გამზადებული ყალბი ეროვნული ვალუტა, 3 ფერადი ასლგადამღები სპეციალური დანადგარი და სხვა მოწყობილობები ამოიღეს.

გამოძიება ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადების ან გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის **„ბ"** ქვეპუნქტით, რაც 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

ალექსანდრე ჭაჭია: მაინტერესებს, სად და რომელ სოროს(ს)ში იმყოფება ჩვენი „სახელოვანი ინტელიგენცია?"

რედაქციისაგან: *პრობლემებს, რომელთა გამოც საქართველო ვერა და ვერ შედგა სახელმწიფოდ, უამრავი მიზეზი შეიძლება მოეძებნოს, თუმცა მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია საზოგადოების მოკლე მეხსიერება. ჩვენ მალე გვავიწყდება პოლიტიკოსების თუ პარტიების „საქმენი საგმირონი" და საარჩევნო ყუთთან ხშირად ისე მივდივართ, არჩევანს ისე ვაკეთებთ, რომ მათი წარსული, არცთუ შორეული, სათვალავში არ გვაქვს.*

მაგალითების მოყვანა უხვად შეიძლება, თუმცა ამჯერად თქვენს ყურადღებას ყველაზე თვალსაჩინო შემთხვევაზე შევაჩერებთ. „ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი არ მალავს და საჯაროდ აცხადებს, რომ მისი მეგობრები არიან ნიკოლოზ რურუა, ლევან რამიშვილი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, გიგა ბოკერია... თუ ადამიანთან მეგობრობ, ამის დამალვა, თუნდაც პოლიტიკური კონიუქტურის გამო, არ არის გამართლებული და მარგველაშვილის გულწრფელობა მისასალმებელია, თუმცა, თუ პრეზიდენტობის კანდიდატს ეს არ ახსოვს, საზოგადოებამ არ უნდა დაივიწყოს, ვინ იყვნენ და რას სჩადიოდნენ მისი მეგობრები, დაწყებული გამსახურდიას ხელისუფლების დამხობით და მხედრიონის პარპაშით, საიდანაც იღებს სათავეს მარგველაშვილის მეგობარი რურუას კარიერა; მისი სამეგობრო წრე იდგა ავანგარდში იმ პროცესებისა, რომელთაც ყოველივე ქართულთან ბრძოლა, ტრადიციების გაქილიკება, უფროსი თაობის ჩარეცხვა, განათლების მეცნიერების დაკნინება მოჰყვა, რათა საზოგადოებისთვის თავს მოეხვიათ ლიბერალიზმით შენიღბული უზნეობა, ხელი შეეწყოთ მონური მორჩილებისთვის, ამოეძირკვათ მართლმადიდებლური კულტურის კვალიც კი ქართული ცნობიერებიდან. ამ საქმის დიდოსტატი, უფრო სწორად, დიდი მაგისტრი გახლდათ მარგველაშვილის მეგობარი, თავისუფლების ინსტიტუტის თავკაცი ლევან რამიშვილი, ასევე მარგველაშვილის მეგობარი – ბოკერია და დედაქალაქის ყოფილი მერი – ჭიაბერაშვილი. ისინი იყვნენ პირველი კოჰორტა, რომელსაც უხვად აფინანსებდნენ გრანტებით და ვინც აქტიურად ეწეოდა დამღუპველი იდეების გავრცობა-განვითარებას, აკნინებდა ეროვნულ სულისკვეთებას, ებრძოდა ტრადიციებს, გაანადგურა განათლება, მოსპო სამეცნიერო სკოლები. ეს ადამიანები, გიორგი მარგველაშვილის მეგობრები, 2003 წელს საბოლოოდ მოვიდნენ ხელისუფლებაში და სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანეს ის რენეგატული საქმიანობა, რომელსაც მანამდე გრანტების ხათრით ეწეოდნენ.

ვფიქრობთ, ღირს, გავიხსენოთ, რისთვის, რა საქმიანობისთვის იღებდნენ კანდიდატ მარგველაშვილის მეგობრები გრანტებს სოროსისა და სხვა ფონდებიდან.

ვფიქრობთ, ღირს, გავიხსენოთ, რა შემართებითა და სისასტიკით ნერგავდნენ ისინი ამ ყველაფერს ხელისუფლებაში ყოფნისას და როგორ ცდილობდნენ აუცილებელი წესით, უკომპრომისოდ, ნებისმიერი მსხვერპლის ფასად ეკეთებინათ ანტიქართული შეკვეთა.

„მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი, და გეტყვი, ვინ ხარ შენ" – ეს შეგონება აუცილებლად უნდა გვახსოვდეს საარჩევნო ყუთთან მისულებს. ხოლო მეხსიერების გასავარჯიშებლად გთავაზობთ პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას წერილს, რომელიც 2004 წელს არის გამოქვეყნებული და ნათლად ასახავს მარგველაშვილის მეგობრების რეალურ სახეს, საქმიანობასა და მიზნებს. თავისუფლების ინსტიტუტის თუ სოროსის გრანტიჭამია ანტიქართველების პრობლემა, მაშინ საკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთი წლის შემდეგაც ისეთივე აქტუალური იყო, როგორც დღეს, ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთი წლის შემდეგ, არის. მაშინ ამ საკითხს წავუყრუეთ, იქნებ ახლა მაინც გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები?

საქართველოს ის მოაზროვე პატრიოტები, ვინც წლების განმავლობაში შევარდნაძის ანტიეროვნულ რეჟიმს ებრძოდა, ახალი ხელისუფლებისაგან სამი სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანის პრინციპულ გადაწყვეტილებას მოელოდნენ: საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების მოგვარებას; ეკონომიკაში მოდერნიზაციული პროექტის შემუშავებასა და რეალიზებას; განათლებისა და მეცნიერების ეროვნული სისტემის აღორძინებასა და ინტენსიურ განვითარებას. ამ ძირითად მიმართულებებში ამოცანათა წარმატებულ გადაწყვეტას შეუძლია შეწყვიტოს ქართული სახელმწიფოებრიობის ნგრევა, ქართველი ერის დაშლა-გაფანტვა, უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიული და სულიერი მთლიანობის აღდგენა, ქართველი ერის როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის შენარჩუნება.

სამწუხაროდ, ახალი ხელისუფლების მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები აღმოჩნდა ფორმით კიდევ უფრო უნიჭო, ხოლო შინაარსით კიდევ უფრო ანტიქართული, ვიდრე ეს შევარდნაძის მარაზმატული მმართველობის პერიოდში იყო.

საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში შეიქმნა და ფუნქციონირებს ასობით, ათასობით არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა უმრავლესობა უცხოეთიდან, ძირითადად, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ფინანსდება. ამ ორგანიზაციების შენახვისათვის ამერიკელები ასობით მილიონ დოლარს ხარჯავენ. ეს ფული საკმარისი იქნებოდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღდგენისათვის, ასობით საცხოვრებელი სახლის აშენებისათვის, თანამედროვე სამრეწველო ტექნოლოგიების დანერგვისათვის, მაგრამ ეს უზარმაზარი თანხები გამოყოფილია იმ პროექტების რეალიზაციისათვის, რომლებიც მიზნად ისახავენ **„ადამიანის რელიგიური მრწამსის თავისუფლების უზრუნველყოფას", „განათლების სისტემის რეფორმირებას დასავლური ლიბერალური ღირებულებების შესაბამისად", „ჩამორჩენილი ეროვნული ტრადიციების დაძლევას, მორალისა და ზნეობის დასავლური ნორმების დანერგვას", „სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის ლიბერალურ-დემოკრატიული ცნობიერების ფორმირებას", „ოჯახში ურთიერთობათა ახალი ტიპის დანერგვას", „ბავშვთა სექსუალურ აღზრდას"** და ა.შ. არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც ამ პროგრამების განსახორციელებლად გრანტებს იღებენ, გვარწმუნებენ, რომ ამერიკელი მეგობრები ამ მილიონებს იმიტომ ხარჯავენ, რომ ქართველები დაბადებიდან უყვართ და შეუკავებელი სურვილი აქვთ, ქართველი ახალგაზრდა თაობა ბრწყინვალედ განათლებული, ჯანსაღი, ჭკვიანი და ლამაზი იხილონ. საინტერესოა, რომ ჩვენს საზოგადოებაში მოიპოვებიან იდიოტები (როგორც წესი, შემოქმედებითი ინტელიგენციის წრიდან), ვისაც ამისი სჯერა.

(გაგრძელება მე-6 გვერდზე)

ილორის წმინდა გიორგის მადლი გფარვიდეთ!

კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა, კარგ გაზეთს კი – კარგი მკითხველი

"ილორი" კარგი გაზეთია და შესაბამისად, მკითხველიც ინტერესით ეცნობა მის ყოველ ნომერს. აქ არ არის იაფფასიანი სკანდალი და სენსაცია,წვრილწვრილი ამბები და მსხვილი შრიფტით აწყობილი მყვირალა სათაურები.

"ილორი" გონიერია, ჭკვიანი და დარბაისელია... იგი ვერ ურიგდება სიყალბესა და სიცრუეს, არ უყვარს უმწიფარი აზრები და დაუფიქრებელი გამონათქვამები.

გაზეთ **"ილორს"** სიმართლის გზით სიარული უყვარს. აქამდე ასე იყო და მწამს, მომავალშიც ასე იქნება. პრინციპი – **"მოყვარეს პირში უძრახე"**, – ერთადერთი ზნეობრივი პრინციპია, რომელიც თავის დროზე დიდმა ილიამ უანდერძა ქართულ პუბლიცისტიკას. **"ილორი"** ილიას გზის მიმდევარია და ამიტომ აფასებს მას ქართველი მკითხველი. ბატონო როლანდ, თქვენი ჟურნალისტური მოღვაწეობა სიმართლის ერთგულებით არის განათებული. ათეული წლების განმავლობაში ამ დიდ საქმეს ემსახურებით და მიხარია,რომ შესაძლებლობა მაქვს სულითა და გულით მოგილოცოთ **"ილორის"** საიუბილეო ნომრის გამოცემა. როგორც იტყვიან: **„ეს სამასი და სხვა მრავალი!"** უღრმესი პატივისცემით, მარად თქვენი

ტარიელ გაგნიძე,
არასამთავრობო ორგანიზაცია "ისტორიული მემკვიდრეობის" თავმჯდომარე

ბედნიერების გზით გევლოთ!

გილოცავთ, გაზეთ **"ილორის"** მესამასე საიუბილეო ნომრის გამოსვლას, რაც იმის იმედს უნერგავს ქართველ ხალხს, რომ მიუხედავად გარკვეული ძალების მიერ შექმნილი ხელოვნური წინაღობისა, მართალი სიტყვა მაინც ქუხს საქართველოში და მისი ერთერთი უშიშარი დამცველია სწორედ გაზეთი **"ილორი"**. უამრავი არასასიკეთო ძვრა მოხდა საქართველოში უკანასკნელი 18 წლის მანძილზე, ნადგურდება ზნეობა და სულიერება, სუსტდება განათლების სისტემა და ჩრდილშია მოქცეული ტრადიციული ქართული კულტურა. სააკაშვილის ხელისუფლებამ მოახდინა მასმედიის ექსპროპრიაცია, რომელიც ანგაჟირებულ ჟურნალისტთა პირით ცდილობდა ჩვენთვის შავი თეთრად მოეჩვენებინა და უზნეოდ აცხადებდა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველომ გაიმარჯვა, მაშინ, როცა დამატებით დაიკარგა ქართული ტერიტორიები, გაჩნდა ლტოლვილთა ახალი ტალღა, უიმედობამ დაისადგურა ლტოლვილებში, რომელთაც ჯერ კიდევ ჰქონდათ მშობლიურ კუთხეებში დაბრუნების იმედი. საბედნიეროდ, საქართველოში ჯერ კიდევ გამოდის გაზეთები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ ხალხისათვის სიმართლის მისატანად.

სწორედ ასეთი გაზეთი გახლავთ **"ილორი"!**

კვლავაც გამარჯვების გზით გევლოთ!
პატივისცემით,

ზაურ გახარია,
სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მთავარი საბჭოს წევრი

ერთად დგომით, ერთად შრომით!..

თითქოს გუშინ იყო, გაზეთი **"ილორის"** პირველი ნომერი რომ გამოვეცით და ბავშვებივით აღტაცებულები ვათვალიერებდით და საკუთარ აზრს გამოვთქვამდით!

არა და, თხუთმეტი წელი გასულა მას შემდეგ!

ეს გახლდათ სახიფათო ბრძოლისა და თავაუღებელი შრომის 15 წელიწადი, რამაც დიდი გამოცდილება შეგვძინა სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** აქტივსა და გაზეთ **"ილორის"** შემოქმედებით კოლექტივს!

დღეს ძალიან ბევრი ვინმე სრულიად უსაფუძვლოდ აცხადებს პრეტენზიას იმაზე, რომ დიდია მათი წვლილი გაზეთის აღორძინების საქმეში, თუმცა, ეს **"წვლილი"** მხოლოდ რამდენიმე პუბლიკაციით შემოიფარგლება. და ეს მაშინ, როცა სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოსა"** და გაზეთ **"ილორის"** დამფუძნებელსა და გამაძლიერებელს ბატონ **ალექსანდრე ჯაჯიას** ხმამაღლა არასოდეს განუცხადებია ამის თაობაზე. მაგრამ ჩვენ გაზეთს მიტმასნილ ავტორთა ეს უსაფუძვლო ტრაბახიც გვახარებს, რადგან მათი პრეტენზია და საკუთარი სახელის გაიგივება **"ილორთან"**, უკვე თავისთავად მეტყველებს გაზეთის აშკარად მაღალ რეიტინგზე!

შემოქმედებით წარმატებებსა და მომავალ გამარჯვებებს ვუსურვებ გაზეთ **"ილორს"!**

ვიქტორ ცაავა,
გლობალიზაციის პრობლემების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი

ჩვენი ფეხბედნიერი სტუმარი ბრძანდებით!

ბატონო მთავარო რედაქტორო,

გილოცავთ, თქვენი გაზეთის მე-300 ნომრის გამოსვლას.

მე გახლავართ ქართველი კაცი – ნიკოლოზ თოლორაია, 75 წელია რაც მოსკოვში ვცხოვრობ, აქ დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი, ვიყავი მოსკოვის დაცვის მონაწილე, ვმეთაურობდი პარტიზანთა რაზმს და ვებრძოდი ოკუპანტებს ბრიანსკის, ორიოლის, სმოლენსკის მიდამოებში, ასევე ვიბრძოდი ჩრდილოეთ კავკასიაშიც. სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში ვმუშაობდი მაშინ, როცა მინისტრი ვიაჩესლავ მოლოტოვი იყო. ვასრულებდი იოსებ სტალინის პირად დავალებებს.

გამოცემული მაქვს წიგნები და ბროშურები. ამჟამად ვიმყოფები დამსახურებულ პენსიაზე. რამდენიმე ხნის წინ საქართველოდან ჩამოსულმა ნათესავებმა ჩამომიტანეს გაზეთ **"ილორის"** რამდენიმე ნომერი და მას შემდეგ თქვენი გაზეთის ერთგული მკითხველი გავხდი.

დიდი სამამულო ომის მონაწილეებიდან სულ რამდენიმე კაციღა დავრჩით. ყოველ წელს ვიკრიბებით ხოლმე წითელ მოედანზე, იქ, სადაც იოსებ სტალინმა გამარჯვების აღლუმი ჩაიბარა, ვიგონებთ გარდასულ დღეებს, ღირსეულ პატივს მივაგებთ სამამულო ომში დაღუპული თანამებრძოლების ხსოვნას...

სამწუხაროა, რომ, წლების განმავლობაში, რუსეთის ხელისუფლებისაგან განსხვავებით, საქართველოს ხელისუფლება ღირსეულ პატივს არ მიაგებდა დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, რასაც, ვფიქრობ, ახალი ხელისუფლების მოსვლით ბოლო მოეღება. მიზერული შეღავათების გაუქმებაზე მეტად შეურაცხმყოფელია უმადურობა იმ ხალხისადმი, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ სამშობლოს, მათი დაუფასებლობა კი პატივისა და ღირსების აყრის ტოლფასია. მაგრამ,ჩვენ კარგად ვხედავთ, თუ როგორი რუდუნებითა და მოწიწებით ინახავენ და როგორ პატივს მიაგებენ დიდი სამამულო ომის გმირთა სახელებს გაზეთი **"ილორი"** და სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო", რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ.**

ამისათვის დიდ პატივს მოგაგებთ და გისურვებთ, რომ კვლავაც გმირული შემართებით ებრძოლოთ იმ ბნელ ძალებს, რომლებიც საქართველოს ისტორიის ყალბად გადაწერას ცდილობენ!

პატივისცემით,

ნიკოლოზ თოლორაია,
მოსკოვი

ჩემო ძმებო – "ილორელებო"!

გულითადად გილოცავთ, თქვენი გაზეთის სახელოვან იუბილეს – მე-300 ნომრის გამოსვლას!

მადლობელი ვართ იმისათვის, რომ ეს საინტერესო, უშიშარი გაზეთი ჩვენს იარაღად აქციეთ იმ უღირსი ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელთაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენეს ჩვენს სამშობლოს. სწორედ გაზეთი **"ილორი"** ამომიდგა მხარში, როცა ადამიანთა გარკვეული ჯგუფი თავს დამესხა ჩემი წიგნის – **"როგორ გასხვისდა აფხაზეთი"** – გამოსვლის შემდეგ! მე ვამხილე ის ქართველები, რომელთა გაუაზრებელმა (შეიძლება – მოღალატეობრივმა) მოქმედებებმა არა მხოლოდ დაგვაკარგვინა აფხაზეთი, არამედ დაგვაშორა აფხაზ ხალხს, რითაც ლახვარი ჩასცეს საქართველოს ერთიანობას!

ეს ადამიანები დღესაც არ ისვენებენ, დღენიადაგ გესლსა და სიძულვილს ანთხევენ და აფხაზეთსა და აფხაზებზე სიმართლის თქმას სამშობლოს ღალატად მითვლიან. მაგრამ ამაოა მათი მცდელობა, რადგან სწორედ გაზეთ **"ილორის"** მეშვეობით ვაწვდი საზოგადოებას სრულ ჭეშმარიტებას იმ **"პოლიტიკოსებზე"**, რომელთაც საკუთარი მუნდირის დაცვა უფრო აუცილებელ საქმედ მიაჩნიათ, ვიდრე ქვეყნის ღირსების სადარაჯოზე დგომა!

კვლავაც სიმართლის გზით გევლოთ მეგობრებო!

ნაპო მესხია,
აკადემიკოსი

ბატონო როლანდ!

ჩემს კოლეგასა და მეგობარს, შენს თანაგუნდელებსა და მკითხველ-განმკითხველებს გულითადად გილოცავთ შემოქმედებითი 15 წელიწადის საამაყო გვირგვინს – გაზეთ **„ილორის"** მესამაყო ნომრს და ამჯერად ძმურ სიყვარულად ვკინძავ თქვენდამი მოძღვნილ **„ამხანაგთა სათრეველას".**

„ტკბილია, როგორც გოლუაფირო,
ჩვენი „ილორიც", მისი თამასაც
და ვნატრობ, ბევრჯერ გადაუფრინოთ
15-15 წელს სამას სამასად!

ამავე დროს გიგზავნი კიდევ ორ სათრეველას:

5 ოქტომბერს –„ხუთიანებზე"

ახალ „ჩოხა-ახალუხით",
ტრაბახით და რახარუხით,
„დადაფნული" ცოცხებით და
სხვისთვის ჩირქის მოცხებითა,
პარტიული ყრილობიდან
უმგვან უსირცხვილობითა,
როცა ლაყბობს „აცა-ბაცა" ,
თვალში ისევ გვაყრის ნაცარს.
ჰოდა, მკაცრად, ძალზე მკაცრად,
ვუთხრათ მიშას, ვინც ვართ, რაც ვართ
და მოვთხოვოთ ჩვენგან გაცლა!

ნაპრეზიდენტალს მიდევნებული სიტყვა

ჩვენგან წაღლეტილ გროშებით,
თუმცა შეცვალე დროშები,
მაგრამ წავიდა დრო შენი
და ვერ გიშველის ბრბო შენი!

ალექსანდრე შენგელია,
ბეჭდვური და ელექტრონული მედიის ვეტერანი

სამშობლოს ერთგულ დარაჯად მეგულვით, მეგობრებო!

გაზეთ **"ილორის"** შემოქმედებით კოლექტივს გულითადად ვულოცავ მე-300 ნომრის გამოსვლას!

ნამდვილად მეამაყება, რომ ვთანამშრომლობ იმ გაზეთთან, რომელსაც ვერ აშინებდა ავადსახსენებელ ნაციონალთა იდეოლოგიური წნეხი და ფიზიკურად განადგურების საფრთხის უგულვებელყოფით დაურიდებლად ამხელდა საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებულ სააკაშვილის დაშნაკურ ხელისუფლებას!

ეს გახლდათ გამარჯვება, რომელიც გაზეთმა მოიპოვა მანამდე, ვიდრე ქართველი ხალხი პოლიტიკურ მოუსავლეთში გაუშვებდა ნაციონალთა აშკარად არაქართულ ბანდას!

კვლავაც გამარჯვების გზით გევლოთ, მეგობრებო!

თენგიზ კუბლაშვილი,
საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი

კვლავაც ჩვენი იმედად დარჩით

ძვირფასო მეგობრებო!

გილოცავთ, სახელოვან იუბილეს – თქვენი გაზეთის მესამასე ნომრის გამოსვლას!

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ არსებობის 15 წლის მანძილზე **"ილორი"** გადაიქცა ყველასათვის საყვარელ და საინტერესო გაზეთად, რომელიც მკითხველს ანებივრებს საინტერესო ინფორმაციებით მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე, პრობლემური პუბლიცისტური წერილებით, ისტორიული თემატიკით, რაც სიამაყის განცდით ავსებს თითოეულ ქართველს. საამაყო კი ნამდვილად გვაქვს, რადგან მსოფლიო მეცნიერება დღეს ერთხმად აღიარებს, რომ მსოფლიო ცივილიზაციის სათავეები სწორედ კოლხეთშია დავანებული. მხოლოდ საქართველოს დაუძინებელ მტერს (მათ შორის, სამწუხაროდ, ბევრი გონებადახშული და ფულზე სულგაყიდული ანგარებიანი ვაი-ქართველიც მოიაზრება) არ აძლევს ხელს ამ ფაქტის გახმაურება და მათი თავხედობა იქამდეც კი მივიდა, რომ საჯაროდ აცხადებდნენ: **"საქართველოს ისტორია 2003 წლიდან"**, ე.ი. ავადსახსენებელი **"ვარდების რევოლუციის"** გამარჯვების დღიდან იწყებაო!

გაზეთ **"ილორის"** დამსახურებაც სწორედ ის გახლავთ, რომ მან დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა **"ვარდების რევოლუციის"** ტალღას შემოყოლი იმ დაშნაკებს, რომელთაც ღამის დაშლა-განადგურების საფრთხის წინაშე დააყენეს ჩვენი უძველესი კულტურის მქონე ულამაზესი სამშობლო.

ამიტომ, გისურვებთ, რომ კვლავაც ქართველი ხალხის იმედად დარჩეთ, ჩემო საყვარელო **"ილორელებო"!**

პატივისცემით,

კლიმენტი შელია
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ვაჟა ფშაველა: "კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი"

დეპუტატმა სოსო ჯაჭვლიანმა პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს ინიციატივით მიმართა, რომ ვაჟა-ფშაველას წერილი – **"კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი",** სასკოლო სახელმძღვანელოებში დაიბეჭდოს.

აღნიშნული პუბლიცისტური წერილი ვაჟა-ფშაველამ 1905 წელს დაწერა.

წერილში მწერალი პატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის შესახებ საუბრობს და საზოგადოებას სთავაზობს თავის შეხედულებას, როგორ უნდა მოხდეს ამ ორი ცნების გაგება:

"პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მთაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპილიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა." – წერდა ვაჟა თავის წერილში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოსო ჯაჭვლიანი ვაჟა-ფშაველას წერილის სასკოლო სახელმძღვანელოში შეტანას მოითხოვს, რისთვისაც მან პრეზიდენტობის კანდიდატს გიორგი მარგველაშვილს ინიციატივით მიმართა, რომ ვაჟა-ფშაველას წერილი – **"კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი",** სასკოლო სახელმძღვანელოების პირველ გვერდზე, სხვადასხვა ენაზე ნათარგმნი დაიბეჭდოს.

"ვაჟა-ფშაველამ 100 წლის წინ ორ გვერდზე დაწერა წერილი – "კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი". ადამიანი ვერასოდეს ვერ გახდება კოსმოპოლიტი, თუ არ არის პატრიოტი, სხვას ვერასოდეს ვერ გაუგებ, როცა არ გესმის შენი. მე მინდა მივმართო გიორგი მარგველაშვილს, რომ ეს წერილი, რომელიც ორი გვერდიც კი არ არის, სასკოლო სახელმძღვანელობის პირველ გვერდზე დაიბეჭდოს," – განაცხადა სოსო ჯაჭვლიანმა.

იმ დღესვე პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ჯაჭვლიანის ინიციტივას გამოეხმაურა. მისი თქმით, ვაჟას წერილი მართლაც განსაკუთრებული წერილია.

"ეს განსაკუთრებული წერილია. ეს წერილი შეიძლება მართლა შევიდეს როგორც კონფლიქტოლოგიის, ისევე ნებისმიერ ქვეყანაში ერთიანი ეთნიკური პრობლემების გადაჭრის სახელმძღვანელოდ. სოსო ამ წერილზე საუბრობდა, მე მართლა ვიზიარებ მის აღტაცებას, იმიტომ რომ ვაჟა-ფშაველამ ეს მე-19 საუკუნის ბოლოს დაწერა, ათას რვაას რომელიღაცა წელში, არ მახსოვს კარგად. მე ყველას მოვუწოდებ, ეს წერილი გადაიკითხოს. პატარა წერილია და სახელმძღვანელოა ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა საქართველო, სადაც მრავალი ეთნოსი ერთად ვაშენებთ ქვეყანას. ბუნებრივია, ამ წერილს უნდა გაეცნოს საქართველოს ყველა მოქალაქე. როგორც გაკეთდება ეს, უკვე სხვა თემაა," – განაცხადა მარგველაშვილმა.

ნაციონალთა დასაფლავებისწინა პანაშვიდი

დიახ, ნაციონალთა გამოსათხოვარი პანაშვიდი გაიმართა თბილისის სპორტის სასახლეში, 2013 წლის 5 ოქტომბერს. ნეშტის გამოსვენება შედგება 2013 წლის 27 ოქტომბერს, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციიდან, რასაც დღეს მოუთმენლად მოელის ქართული საზოგადოება.

რაც შეეხება პანაშვიდს, ეს გახლდათ დატირება ჩვეული ნაციონალური უტიფრობითა და სიცრუით უხვად გაჯერებული ტექსტებით! და რაც მთავარია, არავითარი სინანულის სიტყვა მათ მიერ ჩადენილი ავკაცობისა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი უმძიმესი დანაშაულობებისათვის. დიახ, პანაშვიდის უვერტიურა გახლდათ ყრილობის გახსნისას ვიღაცის მიერ შესრულებული საქართველოს ჰიმნი, რომელსაც იუმორესკის ელფერი უფრო დაჰკრავდა, ვიდრე სერიოზული პოლიტიკური ძალის მქონე საპროგრამო ღონისძიებისა.

მართლაც რომ სასაცილო გახლდათ (თუ სატირალი და თავშისაცემი არა) სააკაშვილის პოლიტიკური პინოქიოს, აბსოლუტურად უხერხემლო არსების, ნაციონალთა საპრეზიდენტო კანდიდატის დავით ბაქრაძის გამოსვლა, რომელიც იმ **"ბედნიერ"** ჟამს გამოეტირა ცხარე ცრემლებით, როცა იგი და სააკაშვილის სხვა დამქაშები ხელისუფლებას იყენენ კლანჭებით ჩაჭიდებულები და ბეღელის ვირთხებივით ხრავდნენ სახელმწიფო ბიუჯეტს.

ახლა, როცა რამდენიმე საპრეზიდენტო დღეღა დარჩა, ალაპარაკდა სააკაშვილი სიყვარულსა და მიმტევებლობაზე, მაშინ, როცა მმართველობის ცხრა წლის განმავლობაში მხოლოდ სიძულვილისა და მტრობის ენით ელაპარაკებოდა ქართველ ხალხს. ახლა საუბრობს ეს არაკაცი დემოკრატიაზე, მაშინ, როცა თავისთვის – პრემიერ-მინისტრის რანგში – გამზადებული ჰქონდა იმპერატორის ტახტი, მაგრამ მისდა მოულოდნელად გამოაცალეს სკამი საჯდომიდან და იატაკზე მოადენინეს ზღართანი. სულაც აღარ სჭირდებოდა ნაციონალური პარტიის თავმჯდომარის პოსტი, მაგრამ იცის, რომ პრეზიდენტობიდან გადარჩევის შემდეგ აუცილებლად დააკავებენ ჟვანიას მკვლელობისა თუ მის მიერ ჩადენილი სხვა უამრავი მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო და პარტიის **"მესაჭის"** პოსტი იმუნიტეტისათვის სჭირდება, რათა მისმა უცხოელმა თანამზრახველებმა მაღალი ტრიბუნებიდან აკრიტიკონ საქართველოს ახალი ხელისუფლება და პოლიტიკურ ოპონენტებზე ანგარიშწორება დააბრალონ მათ, როგორც ეს ხდება პირწავარდნილი სისხლის სამართლის დამნაშავეების ვანო მერაბიშვილის, გიგი უგულავას, ზურაბ ჭიაბერაშვილის, ნიკა გვარამიას, ცეზარ ჩოჩელის და სხვა პოლიტიკურ ნაძირალათა შემთხვევებში...

სწორედ ამიტომ, სსრკ კომპარტიის მორიგ საეტაპო გრანდიოზულ ყრილობას მიაგავდა ნაციონალთა **"სხადნიაკი"**, სადაც იყო ყველაფერი – ჭეშმარიტების გარდა!

ყრილობაზე იყო უტიფარი და თავხედი გიორგი ვაშაძის მოწოდებები, რომელიც დაკოდილი ევნუხის ხმით მოუწოდებდა **"სხადნიაკი"**-ს მონაწილეებს, რომ თაყვანი ეცათ დაშნაკი სააკაშვილისთვის, და ჩვენდა სამარცხვინოდ, ფულზე გაყიდული თუ უმეცრებისაგან გონებადახშული რამდენიმე ქართველი ახალგაზრდა ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდა: **"მიშა, მიშა..."**

სირცხვილისაგან არ ვიცოდი სად დავმალულიყავი – ნუთუ მართლა ასეთი დეგენერატები ვართ, რომ დღემდე ვერ გაგვირჩევია ერთმანეთისაგან მტერ-მოყვარე!

ნუთუ მართლები იყვნენ ჩვენი სამხრეთელი მეზობელი სომხები რომელთაც, მეცხრამეტე საუკუნეში, ჩვენი პოლიტიკური სიბეცით აღტაცებულებმა დაისაკუთრეს ლამის მთელი აღმოსავლეთ საქართველო, ჩვენ კი მეტსახელად **"გიჟ-ვრაცუები"** შეგვარქვეს?

კვლავაც ამიტომ მიიწევს საქართველოს სათავეებისაკენ მისი ხელმეორედ დაპყრობის მსურველი მიხეილ სააკაშვილი, რადგან ბოლომდე ვერ შეასრულა სომეხ დაშნაკთა მიერ საქართველოს დასაშლელად შემუშავებული ვერაგული გეგმა! და ჩვენ, ქართველები კვლავაც ვისმენთ ამ ურჯულოს მოწოდებებს, რომ საქართველოს არასოდეს არ ჰყოლია ნაციონალებზე შთამბეჭდავი პოლიტიკური ძალა, რომ მხოლოდ ისინი მოახერხებენ ქვეყნის პოლიტიკური ჩიხიდან გამოყვანას, მაგრამ კრინტი არავის დაუძრავს იმის თაობაზე, თუ რომელმა პოლიტიკურმა ძალამ შეიყვანა ქვეყანა ასე ღრმად პოლიტიკურ ჩიხში!

"მოკლედ, არაფერი ამათ არ ეშველებათო" – ლაკონიურად აღნიშნა ერთ-ერთმა ქართველმა პოლიტიკოსმა, რომელიც **"ფეისბუქის"** საკუთარ გვერდზე **"ნაციონალური მოძრაობის"** მიერ ჩატარებულ რიგით მეექვსე ყრილობას გამოეხმაურა.

მართლაც, ამ პარტიის მთავარი პრობლემა არის ის, რომ მისი ლიდერებიც და მომხრეებიც საკუთარ თავს მოიაზრებენ არა დასავლური ტიპის პარტიად – ანუ საზოგადოების ნაწილად, რომელიც აღიარებს სხვა ნაწილების სრულუფლებიან არსებობას – არამედ ტოტალიტარული ტიპის პარტიად, როდესაც პარტია საზოგადოების ნაწილი კი არაა, არამედ რჩეული ელიტა, მოწინავე ავანგარდი, რომელმაც უნდა წაიყვანოს ხალხი **"დიადი, ნათელი იდეალებისკენ"**.

(გაგრძელება მე-10 გვერდზე)

საქინფორმის დასკვნა: „რატომ შევიდა სააკაშვილი გაეროს გენასამბლეის სხდომათა დარბაზში გახსნილი შარვლით“

ცოტა ვინმემ თუ შეამჩნია, რომ 2013 წლის 26 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომათა დარბაზში, ნიუ-იორკში, შარვლის გახსნილი უბით შევიდა.

რით შეიძლება ამ ფაქტის ახსნა? ნუთუ ექსტრემალურ პირობებში სექსის დიდად მოყვარული სააკაშვილი ზედ გამოსვლის წინ ტუალეტში სექსით იყო დაკავებული და სიჩქარეში უბის შეკვრა ვერ მოასწრო, როცა ყველგან, ბუფეტსა და ტუალეტშიც კი დაყენებული დინამიკებიდან გაიგონა, რომ დარბაზში თავმჯდომარემ უკვე მისი გვარი გამოაცხადა?

გამორიცხული არ არის, მაგრამ მთელი ეს ცირკი, ისევე როგორც თავად მისი გამოსვლა გენასამბლეაზე, უფრო სააკაშვილმა ჩაიფიქრა გარკვეული მიზნებით, კონკრეტულად:

სააკაშვილს უნდა, სიბრალული გამოიწვიოს და ამიტომ საგანგებოდ თამაშობს საცოდავ, პუტინისგან განაწყენებულ შეშლილს: შარვლის გახსნილი უბის ეპიზოდს მთელი მსოფლიოსთვის უნდა ეჩვენებინა, რომ სააკაშვილი – უფრო შეურაცხადია, ვიდრე ჩანს, დარბაზში გენასამბლეის სხდომაზე, სადაც მოხსენებით უნდა გამოვიდეს, გახსნილი შარვლით შესვლა და უბის გზადაგზა, ყველას დასანახავად შეკვრა ხომ მხოლოდ უიმედო გიჟს შეუძლია!

სააკაშვილს ესმის, რომ 27 ოქტომბრის შემდეგ, როდესაც საპრეზიდენტო იმუნიტეტს დაკარგავს, მას პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას მკვლელობისთვის დააპატიმრებენ (უშუალო მონაწილეობის, ორგანიზების ან დაფარვისთვის), შეშლილების გასამართლება კი არ შეიძლება!

ის, რომ სააკაშვილს 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაუყოვნებლივ დააპატიმრებენ, 2 დღის წინ დაუდასტურა ტელეკომპანია **„Дождь“**-ს ჟვანიას ქვისლმა – გაქანებულმა მიშისტმა, მერაბიშვილის ფანატმა და **ЖОП**-ის (**Ж**ურნალისტი **О**ლეგ-ოლგა **П**ანფილოვის) მეგობარმა, **„Эхо Москвы“**-ს **„ЖУРНАЛИСТМА“** მატვეი განაპოლსკიმ.

და შემთხვევითი არ არის, რომ 27 სექტემბერს – გაეროში სააკაშვილის გამოსვლის მეორე დღეს – საქართველოს პარლამენტის დეპუტატებმა ირინა იმერლიშვილმა და ზურაბ აბაშიძემ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შეიტანეს კანონპროექტი, რომლის მიხედვით საქართველოს მოქალაქეებს შესაძლოა საქართველოდან გასვლა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებში აეკრძალოთ. **„სახელმწიფოსა და მისი ყოველი მოქალაქის უსაფრთხოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, კომპეტენტური ორგანო უფლებამოსილია საქართველოდან პირის დროებითი გასვლის შეზღუდვასთან დაკავშირებით დასკვნის გამოტანისათვის, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს პირის ტერორისტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით“**, – ნათქვამია, კერძოდ, კანონპროექტში.

ხოლო იმაში, რომ სააკაშვილი უზარმაზარი ინფორმაციის მატარებელია, რომელსაც საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენებს, თუ გაქცევას შეძლებს (ისევე, როგორც არც ისე დიდი ხნის წინ უნდოდა ტერორისტების და ტელეკომპანია **„ПИК“**-ის დახმარებით ჩრდილოეთ კავკასია აეფეთქებინა, რათა რუსეთი დაეშალა), ეჭვი არავის ეპარება.

და ბოლოს – თავად გამოსვლის მიზნის შესახებ, რომელსაც პროსააკაშვილურმა ქართულმა მედიამ და სააკაშვილის დასპონსორებულმა ტელეკომპანია „Дождь“-მა შემთხვევით როდი უწოდეს სასწრაფოდ **„ისტორიული“** და **„სააკაშვილის ბოლო გამოსვლა გაეროში პრეზიდენტის რანგში“**. ეს კი ნიშნავს, რომ თუ სკანდალური პრეზიდენტის აზროვნების **„ევროპულობა“** და **„გლობალურობა“** (რომლებმაც განაპოლსკი ესოდენ აღაფრთოვანა!) დასავლეთში სათანადოდ იქნება დაფასებული, მაშინ სააკაშვილი გაეროში გამოსვლას მომავალშიც შეძლებს, მაგრამ უკვე არა პრეზიდენტის, არამედ, ვთქვათ, გაეროს შტატიანი თანამშრომლის რანგში.

ტელეარხმა **„Дождь“**-მა, რომელმაც **„ПИК“**-ისგან ესტაფეტა გადაიბარა, შესაშური ოპერატიულობით (ყველა ქართულ მედიასაშუალებაზე ადრე, საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ საიტზე ადრეც კი!) გადათარგმნა და განათავსა გაეროს გენასამბლეის 68-ე სესიაზე მიხეილ სააკაშვილის გამოსვლის სრული ტექსტი რუსულ და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე დაამზადა კლიპი სინქრონული თარგმანით რუსულ ენაზე. თუმცა მიხეილ სააკაშვილის გამოსვლის **„სრული“** ტექსტიდან ამოღებული იქნა ფრაზა: **„გული მერევა, როდესაც „კაგებე“-ს ოფიცერი ვლადიმერ პუტინი მსოფლიოს უკითხავს ლექციას თავისუფლებაზე, ღირებულებებსა და დემოკრატიაზე!“**, რომელიც არ გამოეპარა არც ერთ მსოფლიო მედიასაშუალებას, მათ შორის – **BBC**-ს.

საქინფორმი

პოეზიის კუთხე

ᲰᲘᲛᲜᲘ ᲛᲔᲒᲠᲣᲚ ᲔᲜᲐᲡ

ღმერთის და ადამიანის
გენიის ხელით ნაგები
სიტყვათა კონსტრუქციები
მეგრული ენით ნაგები.
პითაგორას ნააზრევს ჰგავს
მოზაიკურ განწყობით
ბგერა და ფერთა ტონები
ქმნილი ხვთაებრივ განწყობით.
ქურუმ-მისტების ენაა;
კვებავდა ეზოთერია.
მისტერიებით ნაწრთობი
ხედავთ, რა ეგზომფერია.
მეგრული ენის ცოდნა კი
აუწონავი განძია,
ენათა იდუმალების
დასტურ გორდიას განძია.
თეომისტიკურ კულტურის
საუფლო თეონიმების:
ამ ენისთვის ტაბუს ახსნა
სურვილით ღმერთო მინების.
არა არს დაფარული ხომ,
რაიცა არ გაცხადდების.
იწია ჟამმან ღმრთისაგან
რაიც ვთქვით არ გაცხადდები.
მედიტერანულ ტომების
ლექსიკის მარგალიტები
კოლხურში დავანებულა
მეგრულად განაფილტრები.
კოლხურიდანაც მეზობლებს
რამდენი რამ აუღიათ.
სიფრთხილის მიზეზით მავანთ
სისწორე ვერ გაუგიათ.
ამდენ ღმერთს დღეს მზისქვეშეთში
რომელ ენაზე იხილავთ?
მათ სძინავთ მეგრულ ენაში,
ძველი დიდების ხიბლი აქვთ.

მურთაზ ჯანჯღავა

სამარგალო ქგიგალე

სამარგალო ქგიგალე
ჩქიმი ხე დო კუჩხითია,
მუთუნ ბორჯის გემორჩი და
მონოფრთედა ხუნკითია.
ჟუნ ღორონთის დოუჭყუდას
ჩქიმი ლუკმა, ჩქიმი თიაქ,
დიხა ვაბჭარაფუდასი
ქოფცუმუდას ბუტუტია.
საყოროფო ელი-მოლსი
უსხაპუნქ დო უბირქია,
დამიჯერი, მარგალ კოჩი
უსქანეთი ვებრგუქია.
ირიათო ქოყოფედა
სამარგალო, ჩქიმი გური,
სქანი გამო დობღური და
თენა მაი ოცქვაფური.
ტერი გეშაბჭყვიდიკონი
თოფი ხესი მიკებუდუ,
სქანი ყოროფაში გამო,
ღურა მურდენ ვამიჩქუდუ.
ამდღა ხოლო თასი ვორექ
ოდო შური მაქანცენი,
ჩქიმი სქვამი დიხა-წყარი
მარგალობას იძახუნი.
სქანი ყოროფათი მიღუ,
სქანი სქუას ჯგირ დო ფური,
თენას გურით ვაფთქუანდა,
დობჭუდასი ჩქიმი შური

ავერიკო თორია

ᲯᲐᲚᲐᲦᲝᲜᲘᲐ-ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲚᲝᲪᲕᲐ

2014 წლის 25 მაისს საქართველოს **ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲘᲚᲘᲐ II** დალოცავს **ᲯᲐᲚᲐᲦᲝᲜᲘᲐ-ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **"ლიბერთი ბანკში"** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანგ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე).** მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალაღანია).**

ალექსანდრე ჭაჭია: მაინტერესებს, სად და რომელ სოროს(ს)ში იმყოფება ჩვენი „სახელოვანი ინტელიგენცია?“

(გაგრძელება მე-6 გვერდიდან)

რამდენიმე წლის წინათ **„ასავალ-დასავალის“** ფურცლებზე ჩატარდა დისკუსია გლობალიზაციის პრობლემებზე, რომლის მსვლელობისას მოყვანილ იქნა უამრავი მასალა, რომელიც მოწმობდა, რომ გლობალისტთა გეგმებში საქართველოსთვის განკუთვნილი როლი არ ითვალისწინებს განათლების, მეცნიერების, ტექნიკის, თანამედროვე სამრეწველო და სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარებას. ქართველები უნდა დაკმაყოფილდნენ სატრანსპორტო დერეფნის მოსამსახურე პერსონალის როლით. გახარებულმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველომ, ბოლოს და ბოლოს, საერთაშორისო ფუნქცია მოიპოვა! ბუნებრივია, ამგვარ **„ფუნქციონერებს“** განათლება და მეცნიერება არ სჭირდებათ: ნავთობსადენის დაცვა და ავტობუსთა მძღოლების მომსახურება უმაღლესი განათლების გარეშეც შეიძლება. ამიტომ შევარდნაძის პერიოდში სრულიად განადგურდა აკადემიური მეცნიერება (სხვათა შორის, მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის სამარცხვინო დუმილის პირობებში), უმაღლესი სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაიწყო სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების დეგრადაციის პროცესი, მინიმუმამდე იქნა დაყვანილი უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხების ავტორიტეტი. მაგრამ ეს ცოტაა იმისათვის, რომ ერი ახალ **„ფუნქციას“** შეეგუოს, ანუ უარი თქვას საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებელ მფლობელობაზე და გადაიქცეს ოფიციანტთა, დარაჯთა, მენაგვეთა და მეძავთა უსიტყვო ბრბოდ. აუცილებელია ეროვნული თვითშეგნების სრული მოსპობა! ქართველი ერის ეროვნულ თვითშეგნებას კი განსაზღვრავს განათლება (საბავშვო ბაღი, სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი), ტრადიციული აღზრდა (ოჯახი, უფროსი თაობის მაგალითი) და მართლმადიდებლობა. ეროვნული ცნობიერების ამ სამი საფუძვლის განადგურებაზე არის მიმართული უცხოელი **„მზრუნველი მეგობრების“** მიერ ფინანსირებადი არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობის საქმიანობა. ეს პროცესი წარმატებით დაიწყო შევარდნაძის დროს, რომლის ფრთის ქვეშ მრავლდებოდა ამ ორგანიზაციათა ქსელი, ყალიბდებოდა მათი საკადრო შემადგენლობა, ხოლო დღეს ეს კადრები სახელმწიფო სახელისუფლებო სტრუქტურებში გადაბარგდნენ და უშუალოდ შეუდგნენ იმ ამოცანის საბოლოო გადაწყვეტას, რომლისთვისაც მათ წლების განმავლობაში აფინანსებდნენ, უცხოეთში დაჰყავდათ სემინარებზე, ტრენინგებსა თუ კონფერენციებზე.

ერთ-ერთი ასეთი **„მოღვაწე“** გახლავთ ჭიაბერაშვილიც. **„რაო-რაო?“**-ში გამოქვეყნებულმა დოკუმენტმა გაზეთის ყურადღება, ალბათ, იმიტომ მიიპყრო, რომ მისი ავტორი არის დედაქალაქის მერი, რომლის განკარგულებაში ასობით სასწავლებელი იმყოფება და რომელმაც ამით მრავალი ათასი ბავშვის აზროვნებისა და სულის დამახინჯების უშუალო შესაძლებლობა მოიპოვა. მაგრამ ახალგაზრდა თაობის დენაციონალიზაციის, ინტელექტუალური და ზნეობრივი დეგრადაციის საქმეში ძირითადი როლი განათლების სამინისტროს ეკისრება, რომელსაც ხელმძღვანელობენ სოროსის მიერ ფინანსირებადი არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტები. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან საზოგადოების განვითარების მსოფლიოში მიღებული ობიექტური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, ერთადერთი, რაც საქართველოს ზიმბაბვესგან განასხვავებს, არის მოსახლეობის ძირითადი მასის განათლების მაღალი დონე. ამ სხვაობის ლიკვიდაცია ჩვენი ხელისუფლების მფარველთა მნიშვნელოვანი ამოცანაა. სწორედ ამიტომ მთლიანად შეიცვალა განათლების სამინისტროს საკადრო შემადგენლობა: მცოდნე, გამოცდილი ხელმძღვანელების ადგილები დაიკავეს 21-25 წლის **„სოროსელებმა“**, თანაც, ზოგიერთმა მათგანმა უმაღლესი განათლების დიპლომის მიღებაც კი ვერ მოასწრო. როგორც პრესა იტყობინება, უკვე მიმდინარე წელს იწყება **„განათლების სისტემის ოპტიმიზაციის პროექტის“** რეალიზება, რომლის შესაბამისად, საქართველოს ყველა რაიონში დარჩება მხოლოდ რამდენიმე უფასო სკოლა, დანარჩენი კი დაიხურება ან კომერციული გახდება. იგივე ელის საბავშვო ბაღებსაც, რომელთა 60 პროცენტი დაიხურება. ჩვენმა **„რეფორმატორებმა“**, ალბათ, მიიჩნიეს, რომ მათი წინასაარჩევნო დაპირებები უკვე შესრულებულია და საქართველოს მოსახლეობა იმდენად მდიდარი გახდა, რომ შეუძლია, კომერციულ სკოლებში ბავშვებს განათლება მიაღებინოს. ჭეშმარიტად, ერი მეამბოხე უმეცრების მსხვერპლი გახდა!

ნახეთ, რას და ვის ებრძვის 35 ათასი დოლარის გრანტის საფასურად თბილისის ახლანდელი მერი: **„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ გადამწყვეტ დაბრკოლებად წარმოგვიდგება ე.წ. ეროვნული იდეოლოგიის შესახებ გავრცელებული შეხედულება და ტერმინ „ტრადიციის“ მცდარი გაგება. ამ თვალსაზრისთა ძირითადი გამავრცელებელი მექანიზმია საშუალო სკოლა, ხოლო მიმწოდებლები – ისტორიისა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები. ამ საგნების სწავლებისას ჯერ კიდევ განსაკუთრებით შეინიშნება ეროვნულ სახელმწიფოზე, პატრიოტიზმზე, საზოგადოების რელიგიურ მოწყობაზე ვადაგასული წარმოდგენების გაბატონება“...**

თურმე, საქართველოში დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მთავარ მტრებს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები წარმოადგენენ, რომლებიც ბავშვებს თავს უჭედავენ ეროვნულ სახელმწიფოზე და პატრიოტიზმზე მავნებლური აზრებით! თურმე, ეროვნული იდეოლოგია **„ეგრეთ წოდებული“** ცნებაა, ხოლო ცნებას **„ტრადიცია“** ქართველები მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში მცდარად აღიქვამენ! სამაგიეროდ, ჭიაბერაშვილმა, რომლის ფიზიონომიაზე ნათლად აისახება მისი ინტელექტის დონე, შესანიშნავად იცის, თუ რა სჭირდება ქართველებს და როგორ, ვისი დახმარებით შეიძლება ქართველებს ამის მიღება აიძულო. აი, რას წერს თავის პროექტზე აზროვნების ეს **„გიგანტი“**: **„...პროექტი თავისი ძირითადი საქმიანობის კონცენტრირებას ახდენს იმ სოციალურ ჯგუფზე, რომლის გავლენა მომავალი თაობის სოციალიზაციაზე ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია: სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური და ისტორიული ფაკულტეტის სტუდენტები, რომელთა შორის ლიბერალურ ღირებულებათა დამკვიდრებას ერთგვარად შეიძლება აბრკოლებდეს ოჯახსა და უმაღლეს სასწავლებელში დამკვიდრებული ატმოსფერო“.**

ძირგამომთხრელი საქმიანობის ყველა მთავარი მიმართულება მოიცვა ჭიაბერაშვილმა: განათლება, ოჯახური აღზრდა და რელიგია! იცის ბიჭმა, რა არის საჭირო იმისათვის, რომ პატრონებს აამოს და ფული მიიღოს. მიაქციეთ ყურადღება, რომ ჭიაბერაშვილი იმ დროს **„სამართლიანი არჩევნების საზოგადოების“** ხელმძღვანელი იყო. რა საერთო აქვთ ამ თემებს არჩევნებთან? ქართულმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ მსგავსი არასამთავრობო ორგანიზაციების სახელწოდებებს, ლამაზ აბრებს, რომლებსაც არიან ამოფარებულნი, არაფერი აქვთ საერთო მათი საქმიანობის ჭეშმარიტ არსთან, ხოლო ეს არსი ქართველი ერის ეროვნული თვითშეგნების განადგურებაა. ახლახან ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა ჯორჯ სოროსის მიმართვა, რომელიც მან **„თავისუფლების ინსტიტუტს“** და სხვა მისდამი დაქვემდებარებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს გაუგზავნა. მიმართვაში სხვა საზიზღრობებთან ერთად წერია: **„იყავით ფხიზლად... ფაშიზმი სწორედ იქ იჩენს თავს, სადაც ჯეროვან შეფასებას ვერ ვაძლევთ ადგილობრივი მოსახლეობის მისწრაფებას – იყვნენ თავიანთი მიწის ბატონ-პატრონები“.** მაშასადამე, ქართველები, ჯორჯ სოროსის აზრით, ფაშისტებად გადაიქცევიან, თუ საკუთარი მიწის პატრონად იგრძნობენ თავს! ამ გრძნობის მოსპობა არის განათლების სფეროში რეფორმის ამოცანა. 3-5 წელიწადში საქართველოში აღარ იარსებებს განათლების ეროვნული სისტემა. განათლების დონე, რომელსაც მოსწავლეები მიიღებენ, შეზღუდული იქნება იმ მოცულობით, რომელიც მოსამსახურე პერსონალის ეროვნებაწართმეულ მასას სჭირდება. ამ მასას საკუთარი მიწა-წყლის პატრონის გრძნობა არასოდეს გაუჩნდება. მაგრამ ჭიაბერაშვილებსა და მათ პატრონებს კარგად ესმით, რომ ქართველობის როგორც ეროვნულ-კულტურული ფენომენის განადგურებისათვის განათლების სისტემის დაშლა არასაკმარისია. ერის განვითარების ჯაჭვიდან, სადაც რგოლებს თაობები წარმოადგენენ, საჭიროა ერთი რგოლის ამოგდება. მაშინ ეს უკვე აღარ იქნება უწყვეტი ჯაჭვი, რომელიც ერის სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს. ერი დაკარგავს მთავარს – თაობათა მემკვიდრეობითობას, ანუ ერი აღარ იქნება. შევარდნაძის დროს და მისი მფარველობით დაიწყო უფროსი თაობის სოციალური და მორალური დამცირების პროცესი. უფროს თაობას ლაფს ასხამდნენ **„კომუნისტური წარსულისთვის“**, **„ცუდი რუსების“** მხარეზე **„კარგი გერმანელების“** წინააღმდეგ ომში მონაწილეობისთვის, ცხოვრების **„არაცივილიზებული“** წესისთვის და ა.შ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქართველთა საშუალო თაობას გაუჭირდა საკუთარი მამების ლანძღვა-გინება, მათი უარყოფა, მითუმეტეს, რომ ამ მამებმა შვილების არცთუ ისეთი ცუდი ბავშვობა უზრუნველყვეს, განათლება მიაღებინეს და არც მთლად ჩამორჩენილი ქვეყანა დაუტოვეს, უფრო მეტიც, საშუალო თაობა (35 წლის ზევით) აღიზარდა და განათლება მიიღო მანამ, სანამ ამ პროცესში სოროსი, ლომაია, ჭიაბერაშვილი, ბერძენიშვილი და სხვა უაღრესად სიმპათიური ვაუკაცები ჩაერივნენ. ამიტომ სათანადო ინსტანციებმა გადაწყვიტეს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრებიდან ამ საშუალო თაობის ამოგდება, საზოგადოების ფუნქციონირების ყველა სფეროდან მისი განდევნა, რათა წაართვან მას მომდევნო თაობის ჩამოყალიბებაზე გავლენის შესაძლებლობა. დამეთანხმებით, რომ ძნელია, საკუთარი შვილებისთვისაც კი გახდე ავტორიტეტი, თუ უმუშევარი ხარ, არანაირი სოციალური სტატუსი არ გაგაჩნია და ოჯახის შენახვა არ შეგიძლია, ასეთ პირობებში ადამიანი საკუთარ თავსაც კი არ სცემს პატივს, რომ არაფერი ვთქვათ პატივისცემაზე სხვა ადამიანების, თუნდაც, ახლობლების მხრიდან... სწორედ ამიტომ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ინიშნებიან 22-26 წლის ახალგაზრდები, რომლებიც **„წმენდნენ“** მათდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურებს უფროსი თაობის წარმომადგენლებისგან. ყველაზე სასაცილოა, რომ ისინი ამას აკეთებენ ყოფილი მუშაკების **„არაპროფესიონალიზმის“** საბაბით, ხოლო გათავისუფლებულ ადგილებზე დანიშნულ თავიანთ თანაკლასელებს, ეზოს ძმაკაცებს წარმოგვიდგენენ როგორც **„გამოცდილ პროფესიონალებს“**. ჭეშმარიტად, ვუნდერკინდებით მდიდარია სოროსისეული ორგანიზაციები!

ამ სიტუაციაში მე მაინტერესებს, სად, რომელ სოროს(ს)ში იმყოფება დღეს ჩვენი **„სახელოვანი ინტელიგენცია“** – ცნობილი პოეტები, მწერლები, კინორეჟისორები, აკადემიკოსები, ვინც შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ჯიუტად არ ამჩნევდა მის მიერ წაქეზებულ დესტრუქციულ, ანტიეროვნულ პროცესებს, ერთგულად ლოცულობდა თავის კერპზე და არ სურდა დაენახა, რომ მისი ფრთის ქვეშ ყალიბდება აგრესიული, უპრინციპო, უეროვნებო ცინიკური ძალა, რომელიც საჭირო მომენტში მოისვრის შევარდნაძეს, როგორც უსარგებლო ნივთს და უმოწყალოდ დაამთავრებს ქართველობის მოსპობის მის მიერვე დაწყებულ პროცესს. სად ხართ, **„ერის მამებო“?** სად არის მეცნიერებათა აკადემია, სადაა მწერალთა კავშირი, კინემატოგრაფისტთა, კომპოზიტორთა კავშირები, თეატრალური საზოგადოება და სად არის საზოგადოება **„თბილისელი“**, რომელშიც მაშინ შევარდნაძის მხარდამჭერი **„ჭეშმარიტი თბილისელები“** გაერთიანდნენ და მოსახლეობას თავს აბეზრებდნენ **„ეროვნული, ვაჟკაცური“** განცხადებებით? მოსწონთ **„თბილისელ ვაჟკაცებს“** დედაქალაქის ახალი მერი და პრემიერი? დუმხართ? ეთანხმებით საკუთარი ერის მოსპობას? თუ გეშინიათ, რომ ახალი ხელისუფლება იმ ნასუფრალს წაგართმევთ, რომლის გამოც შევარდნაძეს ეთაყვანებოდით? არ შეიძლება, ბატონებო, სამარშრუტო ხაზზე ღირსების გაცვლა...

1997 წელს მე გამოვაქვეყნე ინტელიგენციისადმი მიმართული წერილი – **„გეწყინათ? გეწყინოთ!“**, სადაც აღვწერე ქვეყანაში მიმდინარე დამანგრეველი პროცესები, ე.წ. **„ელიტარული ინტელიგენციის“** დესტრუქციული როლი, ქართველი ერის გენოციდისადმი მისი სამარცხვინო გულგრილობა. კერძოდ, ამ ელიტარულ მწერალ-მწიგნობართ მივმართე:

„რატომ არ მოსთხოვთ პასუხს იმ პირებს, ვინც დამნაშავეა ჩვენი საშუალო და უმაღლესი განათლების დაშლა-განადგურებაში? რას აკეთებთ თქვენ, მწერლებო და პოეტებო, მაშინ, როცა საქართველო თაობას კარგავს – ახალგაზრდობა ირყვნება, ლოთობს, ვრცელდება ნარკომანია, ათასობით ქალი საკუთარ სხეულს ყიდის როგორც საქართველოში, ასევე თურქეთში, რუსეთში, საბერძნეთში? რატომ დუმხართ მაშინ, როდესაც დასცინიან და ანადგურებენ ქართველი ხალხის საუკუნოვან ეროვნულ ტრადიციებს, უცერემონიოდ იდევნება და ამერიკანიზებული სუროგატით იცვლება ეროვნული კულტურა? რას აკეთებთ თქვენ ამ ტრაგიკულ დროს, სადაა ხალხისადმი მიმართული თქვენი სიტყვა, სადაა ხელისუფლებისადმი გამოხატული პროტესტი? რა უნდა მოხდეს კიდევ საქართველოში, რომ თქვენ ხმა ამოიღოთ? რით ხართ დაკავებულნი? წიგნებს წერთ? ვის სჭირდება თქვენი წიგნები, თუ მალე „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველიც კი აღარ იქნება საქართველოში?!“.

ვშიშობ, ეს დროც მოვიდა...

გაზ. „ასავალ-დასავალი“
2004 წ. სექტემბერი

მეგრული (იბერიული) ენა ქართული ენის დიალექტი, თუ გლოტოგონიური ფენომენი?

აკად. თ. გამყრელიძე აღიარებს, რომ ფინიკიურ და ბერძნულ ენებში ანბანთმწკრივში ასონიშანთა განწყობის თანმიმდევრობის მოტივაცია გაურკვეველია და წერს: **„ძნელია დაბეჯითებით თქმა იმისა, თუ რა ედო თავდაპირველ საფუძვლად ძველი სემიტურ ნიშანთა ამ რიგს, რამ განსაზღვრა სისტემაში ნიშანთა ამგვარი თანმიმდევრობა, მათი ერთიმეორის მიყოლებით მოთავსება...“** (იხ. თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა; 1989, გვ. 143). აკად. თ. გამყრელიძე ბერძნულ დამწერლობას ქართულის პროტოტიპად იმიტომ მიიჩნევს, რომ ქართული და ბერძნულ ასონიშანთა მწკრივში განწყობის თანმიმდევრობა თანხვედრილია, ამასთან, ბერძნები იყო უდიდესი ცივილიზაციის შემქმნელი ერი.

აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ **„ქართულ ანბანთა სახელდებანი ქართული არ არის“**, აკად. თ. გამყრელიძე კი ირწმუნება, ქართულ ასონიშანთათვის სახელდებანი შერქმეულია პირობით, ვოკალიზმისათვის, თორემ მათში არავითარი მნიშვნელობა არ დევსო.

დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია გულისხმობს მრავალ სხვადასხვა დამწერლობათა ცოდნას, ცოდნას იმისა, თუ რა მსგავსება და რა განსხვავებაა ერთიდაიმავე ბგერის აღმნიშვნელ ასონიშნებს შორის სხვადასხვა დამწერლობებში. მაგრამ ასონიშანთა გრაფიკული მოხაზულობების მსგავსებით, ან ანბანთ მწკრივში ასონიშანთა განწყობის თანმიმდევრობის თანხვედრილობით, რომელია პროტოტიპი (დედანი) და რომელია გადაღებული, დადგენა შეუძლებელია. აქ მთავარია იმ ენის ცოდნა, რა ენაზეც შეიქმნა პირველი დამწერლობა და რა ენაზე შეარქვეს ასონიშნებს სახელდებანი. ამასთან აუცილებელია გრაფიკის ენის ცოდნა, რომელიც ერთია დედამიწაზე. ამ უმთავრესი საკითხების ცოდნაში დიდი უპირატესობა მარგუნა ღმერთმა. ასე, რომ ჩემი აღმოჩენა შემთხვევით და ცარიელ ნიადაგზე კი არ მომხდარა, არამედ ხანგრძლივი, დაძაბული შრომისა და ტვინის ჭყლეტვის შედეგია.

როგორც აღვნიშნეთ, ხატოვანი დამწერლობიდან (ფინიკურიდან და ჩვენი მხედრულიდან) ჩამოყალიბებული ანბანური დამწერლობის ასონიშანთა ანბანთ მწკრივში გაწყობის თანმიმდევრობის მოტივირება შეუძლებელი იყო. ხოლო ე.წ. ქართული ასომთავრული, რომელიც შეიქმნა ე.წ. მხედრული დამწელობის ბაზაზე, მისი შემქმნელისგან მოითხოვდა ზუსტი მეცნიერებების: მათემატიკის, ასტრონომიის და გრაფიკის ენის საფუძვლიან ცოდნას, რომელთაც ისინი, როგორც ეტყობა, საკმაოდ მაღალ დონეზე ფლობდნენ. ხოლო ამ მეცნიერებათა მიმართ პატ. ლინგვისტები, ცოტა მწყრალად არიან, რადგან მათი შემსწავლელი დისციპლინები ლინგვისტთა სასწავლო პროგრამაში არ შედის და ჩვენი დამწერლობის შემქმნელის დადგენაში დაშვებული შეცდომები დიდ ცოდვად არ უნდა ჩაეთვალოთ. მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ იბერიული ენის საფუძვლიანად შესწავლა კი არა, სამწუხაროდ, ქართველ მეცნიერებს იბერთა სახელის ხსენებაც არ უნდათ. **„ქართლის ცხოვრების“** მიხედვით კი იბერიის არსებობა, საერთოდ, იგნორირებულია. არადა, უცხოურ წყაროებში მხოლოდ იბერიაზეა საუბარი, ხოლო ქართლი გვიან შუა საუკუნებამდე არსად არ მოიხსენიება. ამ ჭეშმარიტებამ დამმუხტა და შევუდექი ე.წ. ქართული ასომთავრული დამწერლობის შესწავლას. დღეისათვის შესწავლილი მაქვს ასომთავრულ ნიშანთა ნახევარზე მეტი.

ანბანთ მწკრივში პირველ ნომრად დგას ასონიშანი (ა), სახელდებით ან-ი. (შევნიშნავ, რომ ასონიშანთათვის სახელები შერქმეულია ყველა იმ დაქარაგმების ხერხების გამოყენებით, რაც აკად. ივ. ჯავახიშვილს აქვს აღწერილი თავის **„ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია“**-ში). რას ნიშნავს **ან**?

აქ ასობგერა **ა** დაქარაგმებული ფორმაა სიტყვისა **მა**, ქართულად მე. ეს რომ ასეა შემდეგნაირად დასტურდება: ე.წ. მეგრულში, როცა ერთი პირი მეორეს თხოულობს რაიმე საგნის მიწოდებას, ან გადმოგდებას, ეტყვის: **ა-შო** ქომუჩი, ან **ა-შო** ქომი№ოთი (აქეთ მომეცი, ან აქეთ გადმომიგდე), ე.ი. **ა-შო** ნიშნავს **აქეთ**ს. მაგრამ ე.წ. მეგრულში გვაქვს სიტყვა **აქეთ**ს შესატყვისი უფრო ზუსტი ფორმა **ათაურე**. ათაურე (აქეთ) შეიძლება იყოს ჩემს მხარეს, მაგრამ ჩემგან მარჯვნივ, ან მარცხნივ, ხოლო **ა-შო** პირდაპირ მიუთითებს ჩემი მესკენ და ამას ხელის ჟესტითაც მიანიშნებენ. ზედმიწევნით, რომ ვთარგმნოთ, ე.წ. ქართულად სიტყვა **ა-შო** იქნება **ა-სთვის**. მაგ., **გიორგიშო**, ქართულად, *გიორგისთვის*. ამდენად, როცა იტყვიან **ა-შო ქომუჩი** (ა-სთვის მომეცი) და ამას ხელის მოძრაობითაც ამაგრებენ მკერდის ცენტრში თითების მიდებით, ნიშნავს **მა-შო ქომუჩი** (მესთვის მომეცი). ე.ი. აქ გვაქვს ცნობილი თავმოკვეცილი დაქარაგმება და **ა** ბგერით წარმოდგენილია **მა** (მე).

საერთოდ, ცნობილია დაქარაგმების შემდეგი ხერხები: თავმოკვეცილი დაქარგმება, ბოლომოკვეცილი დაქარაგმება, შუაშეკვეცილი დაქარაგმება, თავბოლომოკვეცილი დაქარაგმება, ანუ წარმოდგენილია სიტყვის მხოლოდ ძირისეული ფორმა, და აბრევიატურა, ანუ, როცა სიტყვათა მხოლოდ საწყისი ბგერებია წარმოდგენილი.

ე.წ. მეგრულად, იბერიულად **ნჰ** წყალს ნიშნავს. მაგ., გვაქვს სიტყვა **ნჰში**, ქართულად **ნავი**. უნდა აღინიშნოს, რომ ნახევარხმოვან, იგივე ირაციონალურ ბგერას აქვს მიდრეკილება გახმოვანებისაკენ და **ნ**-ს დართული იგი უფრო ხშირად ხმოვანდება ან **ა**-თი, ან **ე**-თი. წყალთან დაკავშირებულ სიტყვებში **ნ**-ს დართული **ჰ**, უფრო ხშირად გახმოვანებულია **ა**-თი. მაგ., ნავი, მდი-ნა-რე, ნარნარი და ა.შ. ე.ი. **ნჰში** (ნავი) ნიშნავს **წყლისა** –ს, **წყლის კუთვნილება** –ს, წყლის ტრანსპორტს.

გამომდინარე აქედან, ცხადია, რომ პირველი ასონიშნის (ა) სახელდებაში **ან ნ** ბგერა დაქარაგმებული ფორმაა სიტყვის **ნჰ**, ქართულად წყალი. წყალი კი **წყაროა სიცოცხლისა**. ე.ი. ამ სახელდებაში გვაქვს ორი სიტყვა **მა** და **ნჰ** (მე და წყალი, იგივე წყარო სიცოცხლისა).

დაბეჯითებით იმის თქმა, როდის შექმნეს ჩვენმა წინაპრებმა ე.წ. ქართული ასომთავრული, ძალზე ძნელია, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იმ ხანაშია შექმნილი, როცა სააფიქსაციო, ანუ საგრამატიზაციო საშუალებები წინაპართა მეტყველებაში ასე უხვად არ იყო, როგორც დღეს გვაქვს. ამიტომ, ვფიქრობთ, ამ ორ სიტყვაში (მა, ნჰ) იგულისხმებოდა **„მა-**შო **წყარი** სიცოცხლეში“ (მესთვის წყარო სიცოხლისა).

მოგესხენებათ, რომ ეს უკიდეგანო სამყარო მესთვის, ადამიანისთვისაა შექმნილი. ადამიანის არსებობის გარეშე, აზრს კარგავდა სამყაროს არსებობა, რადგან სხვა მისი მსგავსის გარდა, ვერავინ შეაფასებდა უზენაესი შემოქმედის უსაზღვრო სიდიადეს. სწორედ, იმიტომ შექმნა ადამიანი ღმერთმა, რომ შემფასებელი ჰყოლოდა, რომლის გარეშე თვით უზენაესის არსებობაც აზრს კარგავდა. სწორედ, იმიტომ შექმნა მან **„კაცი ხატად თვისად“** და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უზენაესის ნებით და დახმარებით ადამიანი, საბოლოოდ, მიაღწევს სრულყოფილებას, გაღმერთდება და ღირსეულად შეაფასებს თავის შემქმნელის უზენაესობას.

რა არის **მესთვის წყარო სიცოცხლისა**?

მესთვის, ადამიანისთვის სამყაროში უახლოესი, ანუ პირველი სიცოცხლის წყაროა **მთვარე**. მთვარის დედამიწასთან ასე ახლოს მოქცევის გარეშე, არ ექნებოდა წყლის მიმოქცევას ადგილი. როცა მთვარე წყნარი ოკეანის ცენტრზე დგას, წყლის დონე 20 მეტრით მაღლა იწევს. ამ დროს ხდება წყლის მიქცევა ნაპირებიდან, როცა გადაივლის მთვარე, მოქცევა იწყება, შედეგად მიმდინარეობს წყლის აორთქლება, ნალექებად დაბრუნება და ამ პროცესს, რომ არ ჰქონდეს ადგილი, სიცოცხლე არ იქნებოდა დედამიწაზე. ამიტომ აქვს ასონიშანს მცხრალი მთვარის მოხაზულობა და ანბანთ მწკრივში დგას პირველ ნომრად. ზედ ჰორიზონტალური ხაზი ჰორიზონტის მაჩვენებელია, მაგრამ ჰორიზონტს ქვემოთ არც მთვარეს დავინახავდით და არც მზეს. შეიძლება გადმობრუნებულია სპეციალურად ასომთავრულის შემქნელის დამალვის მიზნით, მაგრამ არ გამოვრიცხავ, შეუგნებლად იყოს გადმობრუნებული წერის დროს მოხერხებულობისათვის.

ანბანთ მწკრივში მე-4 ნომრად ზის ასონიშანი (დ), სახელდებით **დონ**-ი, რაც ქარაგმაგახსნილ მდგომარეობაში წარმოადგენს მარტივ წინადადებას **დ**(ღა) **ო**(რე ა)**ნ**(ც), ქართ., **დღე არის ცაში**. მოგეხსენებათ, სიტყვა **ან** ცის სინონიმადაა მიღებული.

მე-4 ნომრად ასონიშანი (დ) იმიტომ ზის, რომ მზე მე-4 ციური სხეულია დედამიწის მიმართ მთვარის, ვენერას და მერკურის შემდეგ.

ანბანთ მწკრივში რიგით მე-6 ნომრად ზის ასონიშანი (ვ), სახელდებით **ვინ**. ეზოთერიკებს **ვინ** ფორმა კითხვით ნაცვალსახელად მიაჩნიათ და ასონიშან მსგავსად ხელფეხმოკეცილად ხატავენ ადამიანს. მაგრამ ეს

ასე არ უნდა იყოს. ჩვენი აზრით, **ვინ** დაქარაგემებული ფორმაა წინადადებისა **ვ**(ჰქ) **ი**(№ჰ) (ა)**ნ**(ც).

ვჰ ბგერათა კომპლექსი ვაების, უსიამოვნების და, საერთოდ, უარყოფითი მოვლენის გამომხატველია იბერიულ და მისი მოდგმის ენებში; **ი№ჰ** ქართულად ნიშნავს **იქნა**-ს, **ან**-ი კი, მოგეხსენებათ, ცის სინონიმია.

მაშასადამე, ეს ნახევრად არქაული ფორმის იბერიული წინადადება თანამედროვე, ანუ ახალ იბერიულ ენაზე ნიშანვს: **ვაება, ანუ უარყოფითი მოვლენა იქნა ცაში**. აქ უეჭველად დაგებადებათ კითხვა: რა კავშირშია უარყოფითი მოვლენა ცაში ასონიშნის ასეთ გრაფიკულ მოხაზულობასთან?

საქმე იმაშია, რომ უარყოფითი, არასასიამოვნო მოვლენა მაშინაა ცაში, როცა დარღვეულია ატმოსფერული წონასწორობა. კარგად მოგეხსენებათ, როგორი უარყოფითი განწყობის გამომწვევია ხანგრძლივი გვალვა, ან ხანგრძლივი გადაუღებელი წვიმები, რომლებიც განაპირობებენ მოუსავლიანობას.

მაშასადამე, **ვაება იქნა ცაში**, იგივეა, რაც **წონასწორობის დარღვევა იქნა ცაში**. წონასწორობის მაჩვენებელი კი სასწორია. როცა სასწორის პინები თანაბარ დონეზეა, წონასწორობა დაცულია, ხოლო, როცა პინები სხვადასხვა დონეზეა, წონასწორობა დარღვეულია. სწორედ, ეს ჭეშმარიტება გამოიყენა ჩვენმა გონიერმა წინაპარმა უარყოფითი მოვლენის გამომხატველი ვ ბგერის აღსანიშნავად.

რატომ ზის ეს ასონიშანი რიგით მე-6 ნომრად?

ალბათ, მოგეხსენებათ, რომ ზუსტი მეცნიერებების ფუძემდებლები – პითაგორელებიც იზიარებდნენ რიცხვთა საკრალურობას. ასევე, მოგეხსენებათ, ბუნებას, იგივე ღმერთს წონასწორობა უყვარს. ღვთის რიცხვად პითაგორელები მიიჩნევდნენ 9-ს, რომელიც, როგორც ღმერთი, მოიცავს დანარჩენს. რადგან წონასწორობა სასიამოვნო და ღვთიურია, ხოლო ადამიანის შემაწუხებელი უსიამოვნება, ანუ საწინააღმდეგო (180^0-ით შებრუნებული) სატანური, **ვ** ბგერის აღმნიშვნელი ასონიშანი დასმულ იქნა ანაბანთ მწკრივში მე-6 ნომრად, რაც რიცხვი 9-ს 180^0-ით შემობრუნებული ფორმაა.

გაზეთ “ილორის” კომენტარი — ***სამწუხაროდ, პროგრამული შეუსაბამობის გამო ვერ ხერხდება იმ სხვადასხვა სქემებისა და კრიპტოგრამების გამოქვეყნება, რაც უფრო თვალნათელს გახდიდა ავტორის მიერ განხილულ საკითხებს!***

კუკური ფიფია,
აკადემიკოსი

გოშაძე-გოშუა-გოშუანთა საგვარეულოს ისტორია

ეს იყო მამა აკაკის ცხოვრების ყველაზე საინტერესო და საყვარელი დღეები, მეხსიერებაში შემორჩენილი მოგონებანი. ბედნიერი იყო მამა აკაკი იმ დღესაც, როდესაც კირცხის წმიდა გიორგის ტაძარში მღვდელმსახურმა მღვდლად აკურთხა და ლოცვა აღავლინა: „ეკურთხოს მღვდლად მონა ღვთისა აკაკი“ (ეს მოხდა 1914 წელს).

და იყო მამა აკაკი ამ ტაძრის მოძღვარი, პატიოსანი, უფლის მოშიში, მოსიყვარულე და მადიდებელი. მის პატიოსან მსახურებასა და ღვაწლზე ბევრი მოგონება არსებობს, სადაც მას მხოლოდ ღვთისნიერ და სათნო მღვდლად მოიხსენიებენ.

მამა აკაკისა და ელისაბედის სიყვარულის ნაყოფი იყო მისი შვილები: თომა, ბაბილინა, გუგული და მამია (ვალერიანე). საეკლესიო ცნობარი გვამცნობს, რომ თომა II მოუნათლავს აზნაურ კონსტანტინე ხვიტიას 1907 წელს. ბაბილინა – აზნაურ კესარია ხვიტიას 1911 წელს, გუგული – 1916 წელს აზნაურ ლუბოვ ბობოხიძეს, ხოლო უმცროსი – ვალერიანე 1918 წელს მოუნათლავს კონსტანტინე ალექსის ძე გოშუას.

ნათლავდა, ჯვარს წერდა, წირვა-ლოცვას აღავლენდა, ლოცულობდა და ღმერთს ავედრებდა საქრისტიანოს ერს, სამშობლოს, მამულს, სოფელს და მრევლს. ცხოვრობდა და პატივს მიაგებდა წინაპართა ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს.

უყვარდა მოყვასი, ოჯახი, სამშობლო...

რეპრესიების მარწუხებში თვითმხილველთა მოგონებანი გოშუების გვარის მიმართ რეპრესიების გაძლიერების

დასტურია ქ. ზუგდიდის სახელმწიფო რაიონულ არქივში დაცული 1921 წლის რევოლუციური კომიტეტის საარქივო მასალები. ჩვენ მიერ 2000 წლის 8 მაისს გამოთხოვილ №24 საარქივო ცნობაში, რომელსაც არქივის დირექტორი გიორგი ესებუა აწერს ხელს, **„სოფელ კირცხის საზოგადოების ხარისხების სამსაფეხურიან ჩამონათვალში აკაკი პეტრეს ძე გოშუა მეორე ხარისხის მოსახლედ”** იხსენიება. ხსენებული საბუთი შედგენილია 1921 წლის 21 ივლისს, ხოლო ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის საარქივო მასალების მიხედვით, კერძოდ, 1924 წლის 20 დეკემბრის პლენუმის სხდომის ოქმში ჩანს, რომ აზნაური გოშუა ერმილე ალექსის ძე გამოსვლებში აქტიური მონაწილე ყოფილა. ჩამორთმეული ჰქონია სახლი და საოჯახო ნივთები [ზუგდიდის სახელმწიფო რაიონული არქივი, ფონდი №1, საქმე №8, გ. 5].

ჩხოროწყუს რაიონის კირცხის საკრებულოს მიერ 1999 წლის 8 აპრილს გაცემულია ცნობა №137, რომელშიც წერია: **„ჩხოროწყუს რაიონის კირცხის მცხოვრებ აწ გარდაცვლილ აკაკი პეტრეს ძე გოშუას [დაბადებული 1885 წელს] კუთვნილი 12-ოთახიანი საცხოვრებელი სახლი უძრავ-მოძრავი ქონებით 1924 წლის ბოლოს ჩამორთმეული იქნა და ამავე რაიონის სოფელ ლესიჭინეს გადაეცა სკოლისათვის, რაც დასტურდება თვითმხილველთა მტკიცებით როგორც კირცხის თემში, ასევე ლესიჭინეში“** [ცნობას ხელს აწერს კირცხის თემის საკრებულოს თავმჯდომარე სოლომონ კოზმავა].

ერთხელ სოფელში ხმა დაირხა, მამა აკაკის მალე **„გაკრეჭენ“**-ო. **„გაკრეჭა“** იყო მღვდლის მიმართ ჩადენილი დიდი ცოდვა და მკრეხელობა, რასაც მამა აკაკი განერიდა. ჩუმად, შეუმჩნევლად მიადგა დათა კვირტიას – თავისი მორდუს სახლს. იქ დაიდო ბინა, რათა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი საფრთხე.

მამა აკაკიმ **“გაკრეჭა”** მაინც ვერ აიცილა.

...თრთოდა გული, ტიროდა სული და ზეცას აპყრობილი თვალები უხმობდნენ... უფალს!

გაკრეჭილი ზუგდიდის მაზრაში ჩაიყვანეს, იქ დამატებით გააფრთხილეს, **„ჭკუა ასწავლეს“** და შინ დააბრუნეს.

* * *

შემდეგ იდგა დიდი სამამულო ომის მძიმე პერიოდი. იყო შიმშილი, სიცივე, საშიშროება, ძალიან გაუჭირდა აკაკისაც, ვერც სოფელი ეხმარებოდა, ვინაიდან ხალხსაც ძლიერ უჭირდა. ერთხელ, როგორც თვითონ ამბობს, თურმე სერგო მალანიას უთქვამს აკაკისთვის, – რადგან ასე გიჭირს, მოდი ამოვთხაროთ მამაშენის, პეტრეს საფლავი, პეტრეს თითზე სამი საუკეთესო ძვირფასთვლიანი – ერთი ლალის, ორი ბრილიანტის ბეჭედი უკეთია. მეც მოგეხმარები, მოხსენი, გაყიდე და ლუკმა-პურის ფული გექნებაო. ძალიან ეწყინა თურმე აკაკის, მაგრამ მხოლოდ ეს უთხრა: სიკვდილს შიმშილით შევეგებები, მაგრამ შიმშილისთვის ამას ნამდვილად არ ვიზამ. – ამის მეტი არაფერი უთქვამს სერგოსთვის; არ აგრძნობინა თავისი დიდი წყენა. ღრმა სარწმუნოებასთან ერთად ადამიანების გაფრთხილება მისი ცხოვრების წესი იყო.

დამთავრდა ომი. ქვეყანამ სული მოითქვა. გალაღდნენ საერო საზოგადოების წარმომადგენლები, აკაკის კი ისევ ძველებურად უჭირდა, მაგრამ არავის კარს არ მისდგომია, არ უთხოვია, არავინ შეუწუხებია, არ უწუწუნია და არც წყენა გამოუხატავს არასოდეს.

ითმენდა ღვთისმსახური, აწ უკვე სოფლის ერისკაცი, ითმენდა და გულში იხვევდა დარდს, რაც სერავდა და ანაღვლიანებდა ისედაც გაწვრილებულ სულს. ჯავრი და სევდა თან დასდევდა და მარტო დარჩენილი უხმოდ მისტიროდა უდანაშაულოდ დასჯილ შვილს. არავის ჰქონდა უფლება, ეკითხა რამე ამ შვილზე. ტაბუდადებული მოძღვარი თვითონაც ტაბუს ადებდა ბევრ რამეს.

1962 წლის 15 თებერვალს ბაბუა აკაკიმ დატოვა მზისქვეშეთი.

დღევანდელ დღესავით მახსოვს, მამაჩემს, როგორ ეჭირა ორივე ხელში გაშლილი ფურცელი და კითხულობდა, თან ტიროდა. კითხვა დაამთავრა თუ არა, ოთხად დაკეცა და მიცვალებულს უბეში ჩაუდო.

დედას ვკითხე, თუ რა ჩაუდო უბეში. მიპასუხა – მამიას წერილიაო. უცბად ვიფიქრე: ამოვიღებ და წავიკითხავ; მაინტერესებდა რა ეწერა წერილში. მთელი დღე ველოდი მარტო ბაბუასთან დარჩენას. ეს დროც დადგა. ვტიროდი და ვეფერებოდი ჩემს გაციებულ ბაბუას, თან უბიდან წერილის ამოღება დავაპირე, მაგრამ ვერ შევძელი, ხელი ამიკანკალდა. იმასაც ვფიქრობდი – იქნებ მამამ მისაყვედუროს. ამ დროს დედა შემოვიდა. მიზანს ვერ მივაღწიე...

დასაფლავების დღეს ყველა იქ ვიყავით: შვილები, შვილიშვილები. არაბუნებრივი ამინდი იდგა: ხან წვიმდა, ხან თოვდა, ხან მზე გამოდიოდა. სოფლის ახალგაზრდობა მის ცხედარს მიასვენებდა... ის ცრემლში მიცურავდა, საფლავში თან მიჰქონდა ზვარაკად შეწირული შვილის წერილი, სასოებით რომ ინახავდა მთელი ოცი წლის განმავლობაში...

ციალა გოშუა
ნაწყვეტები წიგნიდან “ბვარიშვილთა უკვდავი სახელები”

პასუხად სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულ კოლეგებს

სიმართლე მწარე წამალია – არ გესიამოვნება, მაგრამ მოგარჩენს. ბალზაკი

ჭეშმარიტება არ იჩაგრება იმით, რომ ვიღაცა მას არ იზიარებს. შილერი

ასე რომ, თქვენ ტყუილად დაშვრით, ჩემო ძვირფასო ოპონენტებო. ჩემი წიგნი და იქ მოტანილი ისტორიული ექსკურსი კი არ უნდა გაღელვებდეთ, არამედ ის ფაქტი, რომ აფხაზეთი ჯერ კიდევ 1810 წელს შევიდა რუსეთის შემადგენლობაში, როგორც სამთავრო, ხოლო 1864 წელს რუსეთის იმპერატორმა გააუქმა აფხაზეთის სამთავრო და იგი უშუალოდ თავის მმართველობაში შემოიერთა. ასე რომ, რუსეთში მომხდარ რევოლუციებამდე კარგა ხნით ადრე, აფხაზეთი საქართველოსგან გამოყოფილი იყო. ყოველივე ამას დაემატა ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის უგუნური და წინდაუხედავი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რამაც ძალიან შეუწყო ხელი და, შეიძლება ითქვას, საფუძვლადაც დაედო აფხაზეთის დამოუკიდებლობას და პუტინის რუსეთის მიერ ცალკე, სუვერენულ რესპუბლიკად აღიარებას. სამწუხაროდ, ეს ფაქტია და ჩემთვის მისი აღნიშვნა აღფრთოვანების საფუძველი სულაც არ არის!

ახლა ისიც გავარკვიოთ, თუ როგორ შეუწყო ხელი ჩემმა წიგნმა კრემლის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარებას, მაშინ, როცა ეს 2008 წლის აგვისტოში, სამაჩაბლოში ჩვენი უგუნური პრეზიდენტის სარდლობით სამხედრო ოპერაციების ჩატარებისა და იქ განცდილი სრული ფიასკოს შემდეგ მოხდა, მაშინ როცა წიგნის რუსული ვარიანტი საზოგადოებამ მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ, უკვე მომხდარი ფაქტის შემდეგ იხილა! ან, უფრო მეტიც, ჩემ მიერ წიგნში ისტორიული ფაქტების მოყვანამ და პრობლემებისადმი ჩემეულმა მიდგომამ ახლა როგორღა უნდა შეეწყო ხელი მის საბოლოოდ გასხვისებას? ყოველივე ეს ჩემთვის ფრიად გაუგებარია, მაგრამ მე სულ სხვა რამ მაინტერესებს: თავად თქვენ თუ გჯერათ ამის, ჩემო **„ძვირფასო“** ოპონენტებო, თუ ისე, უმისამართოდ ენამრუშობთ? მაგრამ, იმედია, მკითხველი თავად მიხვდება, თუ ვინ არის ჩვენს შორის მართალი!

ყოველთვის ვფიქრობდი და ახლაც მიმაჩნია, რომ საჭიროა ჩვენ თვითონ ვეძიოთ აფხაზეთისკენ მიმავალი გზები, უნდა გვახსოვდეს მერაბ კოსტავას შეგონება: **„ჩვენ ვიპოვით გზებს აფხაზი კაცის გულისაკენ“**. სხვა გზა ჩიხში შეგვიყვანს! ეს ერთადერთი გამოსავალია, მაგრამ ამისთვის აუცილებელია კარგად გავიაზროთ არსებული სიტუაცია: აფხაზებისა და მათი აბორიგენობის არაღიარებამ ქართველებს ბევრი ზიანი მოგვიტანა. ჩვენ გავყვიროდით და ხშირად ახლაც გავიძახით: **„ვინ არიან ესენი, ესენი ხომ აფსუები არიან, კასპიის ზღვისპირეთიდან მოთრეული, რომლებმაც დაისაკუთრეს ძირძველი ქართული მიწები, ახლა კი დამოუკიდებლობას მოითხოვენ! ... ძველად აქ სულ სხვა აფხაზები ცხოვრობდნენ, ისინი ქართველები იყვნენ და არა აფსუები“** და ა. შ..

ჰეროდოტეს თუ დავუჯერებთ (იგი წერდა, კოლხები ეგვიპტელებს ჰგვანან და ერთნაირად ამუშავებენ სელსო), თავის დროზე, კოლხეთში ჩვენც ეგვიპტიდან მოვსულვართ. მოდით, ნუ დავუჯერებთ! იქნებ ვინმემ გვითხრას, რომ უნახავს, როგორები იყვნენ აფხაზებისა და ჩვენი წინაპრები? ჩემი აზრით, არ შეიძლება ძველი ავტორების იგნორირება, არ შეიძლება უგულებელვყოთ ცნობილი გეოგრაფისა და ისტორიკოსის, სტრაბონის (მოღვაწეობდა ახ.წ.აღ. პირველ საუკუნეში) და ცოტა მოგვიანებით ფლავიუს არიანეს (ახ. წ. II ს.) მითითება იმის შესახებ, რომ ლაზების ზემოთ, დღევანდელი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, დაახლოებით მდ. ბზიფის ხეობაში, პირველი საუკუნიდან სახლობდნენ ჯერ აფსილები, მერე კი აბაზგები, ხოლო აპოლონიოს როდოსელის მიხედვით, აფშილ-აბაზგები (სერგი მაკალათოას მოსაზრებით – აფხაზები) კოლხების გვერდით ბინადრობდნენ და ეჭირათ მდინარე ენგურის მიდამოები (სერგი მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. 1971 წ. გვ. 15).

ვინ იყვნენ ისინი, თუ არა აფხაზები?! ვიმეორებ: შეუძლია კი ვინმეს თქვას, რომ ისინი ქართველები იყვნენ და არა აფხაზები, თუმცა არიან ასეთებიც და მათ შორის ერთ-ერთი პირველია ჩემი ძვირფასი ოპონენტი, ბატონი ჯემალ გამახარია. ისინი კოლხეთს (მათ შორის დღევანდელ აფხაზეთს!) პრეისტორიული დროიდან მოიხსენიებენ, როგორც საქართველოს. ფრჩხილებში მაინც აღენიშნათ, რომ საუბარია იბერიაზე, საქართველოს შორეულ წინამორბედზე. როგორ შეიძლება ისტორიის ასეთი აღრევა და დამახინჯება – ქვეყნის ისეთი ძირძველი ნაწილის როლისა და ადგილის მიჩქმალვა, რომელიც ქართლსა და ქვეყნის სხვა რეგიონებს უსწრებს 15-20 საუკუნის ისტორიით?! რატომ იჩემებენ ისინი რომის პაპზე უფრო მეტ კათოლიკობას, როდესაც ქართული ისტორიის ჰეროდოტე – დიდი ივანე ჯავახიშვილი და ქართული ისტორიის სხვა კორიფეები გვეუბნებიან, რომ ქართების კვალი ჩვენს ისტორიაში მხოლოდ მე-6 საუკუნიდან ჩანს, ხოლო მისი აღზევება – ჯერ სამთავროდ, შემდეგ კი სამეფოდ გარდაქმნა ხდება მოგვიანებით, სადღაც X-XI საუკუნეებში. რამდენად სწორია და რატომ არის საჭირო ისტორიის ასეთი გაუკუღმართება და ქვეყნის რომელიმე ნაწილის ისტორიის უგულველყოფა, მის ხარჯზე წარმოჩენა იმისა, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს? არსად არ გადაყრილან ისინი ისტორიის მამის – ჰეროდოტეს ცნობას იმის შესახებ, რომ ძ.წ.აღ.. ბოლო საუკუნეებში ზღვიდან ზღვამდე (მეწამული – წითელი ზღვიდან შავ ზღვამდე) მხოლოდ ოთხი ხალხი სახლობდა: სპარსები, მიდიელები, სასპერები და კოლხები. სასპერები იმ ადგილზე არიან მოხსენიებულნი, სადაც საუკუნეების შემდეგ გამოჩნდნენ ქართები. იმ დროისთვის, ძველი ბერძნების მტკიცებით და მათი გავლენით, მთელ ძველ საქართველოს, თურმე, იბერია ეწოდებოდა. აქ სახლობდნენ იბერები და ნ. ბერძენიშვილის, ე. თაყაიშვილის, ნ. მარის, ი. ყიფშიძის და სხვათა მტკიცებით, ძირითადი მათი ენა იყო მეგრული (იბერული), რადგან იბერები კოლხური მოდგმისანი იყვნენ, ისინი აღმოსავლეთ საქართველოშიც სახლობდნენ და, მეცნიერთა მტკიცებით, სწორედ მათ წიაღში შემოვიდნენ ქართები, რომლებმაც მოგვიანებით საკუთარი პოლიტიკური ჰეგემონია დაამყარეს და, შემდგომი აღზევების კვალობაზე, დომინანტური როლი დაიმკვიდრეს.

„თავდაპირველად სამეგრელოს ერქვა იბერია, მეგრელებს – იბერები და მეგრულ ენას – იბერული,“ – წერს ი. ყიფშიძე. **„იყო დრო ქრისტეშობამდე, როდესაც დასავლეთის იბერები ბატონობდნენ აღმოსავლეთის ნათესავებზე და ამიტომ დაერქვა აღმოსავლეთ საქართველოსაც იბერია, ასევე, როგორც როცა ქართები აღორძინდნენ მთელ ჩვენს ქვეყანას დაერქვა საქართველო“** – ამბობს იგი. ასეთია ისტორიაში დამკვიდრებული აზრი. ასე რომ, ყოველივე ამის აღიარება და საერთოდ სიმართლის თქმა რატომ გეჩვენებათ სეპარატიზმად? რას ამტკიცებთ ამით?! განა უცნობია, რომ მანამდე და შემდგომაც, მთელი ქვეყანა და თვით კოლხეთიც, დაქუცმაცებული იყო სამეფოებად და სამთავროებად. ამდენად, მისი ჩრდილო-დასავლეთ რეგიონი – აფხაზეთი, როგორც უკვე ითქვა, დასაბამიდანვე შეუძლებელია ყოფილიყო ერთიანი სახელმწიფოს – საქართველოს მხარე. შუა საუკუნეებიდან კი ხდება მისი შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი!

აი, ასეთი ისტორიის წარმოჩენა არ იქნებოდა უფრო მომგებიანი და ხელსაყრელი იმისთვის, რომ დამშვიდებულად და გულახდილად გვესაუბრა აფხაზებთან, ქვეყნის ამ რეგიონის – აფხაზეთის ბედისა და მომავლის გადაწყვეტის საქმეში მონაწილეობა მიეღო ქართველ ხალხს, პირველ რიგში კი – აფხაზეთის მოსახლეობას?!

აჯობებდა, რომ გვემსჯელა და გვესაუბრა იმაზე, თუ რატომ წამოვიდნენ თავის დროზე, ჯერ კიდევ მაჰაჯირობამდე, ჩაჩბები, აჩბები, ემხები, მანები, აქირთები, ზვამბები, თარბები, აბუხბები, კილბები და სხვა სამხრეთ–აღმოსავლეთისკენ – სამეგრელოსკენ და როგორ იქცნენ ისინი შესაბამისად შარაშია-შერვაშიძეებად, ანჩბეია-ანჩაბაძეებად, ემხვარებად, მარღანიებად, აქირთავებად, ზვამბაიებად, თარბაიებად, აბუხბაიებად, ყოლბაიებად და ა.შ. შემდგომ რატომ იბრუნეს აფხაზებმა პირი ისევ ჩრდილო-დასავლეთისკენ და რა იყო ერთის ან მეორე პროცესის მიზეზი, რა ისტორიული მოვლენები ედო ამას საფუძვლად? რა არ მოეწონათ მათ?! უფრო გონივრული არ იქნებოდა გვეფიქრა და გვემსჯელა აფხაზებთან ამ მიზეზებზე და სხვა პრობლემებზეც, რათა ერთობლივად დაგვესახა მხარეებისთვის მიმზიდველი პერსპექტივა და გვეზრუნა გაუცხოების დაძლევაზე?!

განა ასეთი მიდგომა არ იქნებოდა უფრო მომგებიანი, ვიდრე დღენიადაგ ძახილი: **„აფხაზეთი საქართველოს ისტორიული ოლქია, აფხაზეთი ძირძველი ქართული მიწაა, აფხაზები კასპიისპირეთიდან არიან მოთრეულნი, რომ აფსილები და აბაზგები ქართველები იყვნენ „როდესაც მცნება „ქართველი“ ჯერ კიდევ ბუნებაში არ არსებობდა!“**, თუ არ გაჩუმდებიან ჩავქოლავთ, გადავუვლით“ და ა.შ.

რამდენად მომგებიანი იყო ასეთი საუბრები ჩვენს ოპონენტებთან?! განა თქვენმა და ზოგიერთი თქვენი კოლეგის ცრუ-ისტორიკოსობამ, ვაი-პოლიტიკოსობამ არ დაძაბა საზოგადოებრივი და პოლიტიკური სიტუაცია აფხაზეთში და არ შეუწყო ხელი ჩვენსა და აფხაზებს შორის პოლიტიკურ დაპირისპირებას, შემდგომ კი სამხედრო კონფრონტაციას, რომლის შედეგსაც ვიმკით დღეს?

აი, რას წერს ამის შესახებ აფხაზი ხალხის ერთერთი ცნობადი წარმომადგენელი – პოლიტოლოგი კონსტანტინ დუმაა წერილში: “20 послевоенных лет: кто мешает ослаблению конфликтного потенциала между Грузией и Абхазией“. ეს ის კონსტანტინე დუმაავა, რომელიც, ქართველებისადმი ლოიალურობით გამორჩეულ ბორის ადლეიბას დროს, განაგებდა კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ერთ-ერთ განყოფილებას. მეტი სიცხადისა და დამაჯერებლობისთვის ვრცელი ამონარიდი მისი წერილიდან მომყავს ორიგინალში. „Возвращаясь к проблеме грузино-абхазских отношений, в заключение хочу отметить откровенно, что с самого начала Тбилиси не ту ноту взял. Если бы грузинская сторона прибегала к тонким, осмотрительным мерам в отношении абхазов, если бы изначально ею были бы проявлены мудрость, терпение, дальновидность, дипломатичность, если хотите, и хитрость, а не вероломство и коварство, если бы поумерили свой гонор и обуздали чувство некоего превосходства, то не возникло напряженности и процесс развивался бы в удобном для нее направлении. Уже упомянутый Наполеон говорил, что самый легкий способ одолеть противника – сделать его своим другом. Не многим пришлось бы пожертвовать Грузии, пойди она по пути удовлетворения желаний абхазов, прояви она искреннее уважение к ним, как говорят, погладила их по голове. Ну чего могли добиваться? Например, они настойчиво требовали на протяжении долгого времени восстановления топонимики. Кому это мешало? Почему препятствовали, не проявили понимания, великодушия, если хотите? И в итоге разве не пошло бы это, как и многое другое, на укрепление доверия между двумя народами? А зачем надо было оспаривать автохтонность абхазов на этой земле, историческую ее принадлежность им, учитывая особо восприимчивое, ранимое их отношение к родной территории и глубокую чувствительную привязанность к ней, их острую реакцию ко всякого рода псевдонаучным изысканиям, якобы доказывающим пришлось абхазов на этой «исторической грузинской территории?...». Сказать абхазу, что он живет не на своей исторической родине, а на чужой территории – это для него не просто обида, а глубокое оскорбление. У французского баснописца эпохи Просвещения Бонплины есть такой сюжет. Некоему путешественнику очень докучали своим щебетанием кузнечики. Он вздумал перебить их всех до единого, но был застигнут за этим занятием наступлением ночи и сбился с дороги. Если бы он спокойно продолжал свой путь, заключает баснописец, кузнечики не стали бы причиной его беды, т.к. сами перемерли к концу недели. Может быть, не совсем удачная аналогия. Но ничего бы не потеряли грузины, если бы проявили благоразумие и доброжелательность, заявив: да, эта ваша историческая территория, но так получилось, что мы уже давно вместе живем одной семьей, так что будем вместе защищать ваши интересы и т.д. При этом Сакартвело ничем бы не рисковало, зато вызвало бы к себе доверие со стороны абхазов, а за этим последовала бы искренняя дружба. Чего грузины опасались, имея такой фактор, как численное доминирование в Абхазии, которое исподволь постоянно наращивалось? Добавьте к этому, что экономические рычаги находились в их руках. Никто никого к тому же отсюда не выгонял. И постепенно, шаг за шагом, незаметно, естественно, мирно, «по-братски» они могли бы растворить абхазов в своей среде, как это в сое время случилось в Гальском районе. То есть могли таким методом достичь цели, которую намеревались осуществить посредством войны. Но грузины пошли другим путем и получили то, что получили. Абхазы хоть и дорого заплатили, но зато обрели независимость, пусть и не всеми признанную, чему активно препятствуют Грузия и ее западные покровители, но в судьбе абхазов это ничего не меняет.

Абхазская мудрость гласит: что нет человека, который не ожидал бы лучшего. Это, очевидно, заложено в его природе, иначе бы у человека не было бы стимула к жизни. По аналогии в индийской исторической культуре есть такое понятие, как «культура ожидания», смысл его в том, что появится такой человек, который спасет мир. И мы тоже будем надеяться, что на политической сцене Грузии появятся персоны, которые поймут, что поскольку мы обречены быть близкими соседями, то надо жить в цивилизованных взаимоотношениях и потому неразумно смотреть друг на друга через прицел оружия. Время показало бесперспективность такого подхода. Надо бы уж это понять, но прежде признать сложившиеся в результате войны реалии не забыв, при этом, это те реалии, в сторону которых они сами развернули наши взаимоотношения. История, господа, пошла по тем рельсам, на которые вы перевели стрелку. Это факт. И с ним надо считаться.“

აქ ცოტა შევჩერდეთ და დავფიქრდეთ! ხედავთ, რას გვეუბნება აფხაზი კაცი? თურმე, როგორ შეიძლებოდა პრობლემების მოგვარება აფხაზეთში და ჩვენ კი რას ჩავდიოდით, რას ვაკეთებდით?! ამის შემდეგაც სადაოა ვინმესთვის, რომ რაც მოხდა აფხაზეთში ქართული მხარის, მისი თავკაცებისა და ადგილობრივი ვაი-პოლიტიკანების საქმიანობის, მათი ღალატის ტოლფასი შეცდომების შედეგია?!

სწორედ ამიტომაა აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია ჩვენი უგუნური პოლიტიკის შედეგი!

თქვენი მოღვაწეობა კი აფხაზეთში, მათ შორის უმაღლეს საბჭოში, რაც მახსოვს, ემსახურებოდა მხოლოდ იმას, ბატონო ჯემალ, რომ დაგემტკიცებინათ: აფხაზები აფსუები არიან, აფხაზეთი საქართველოს (და არა, პირველ რიგში, კოლხეთის!) ისტორიული, ძირძველი მიწაა. ამით თქვენ ყველანაირად აღვივებდით აფხაზ ხალხში ანტიქართულ განწყობას, უნებლიედ (უფრო სწორად, შეგნებულად) ხელს უწყობდით მათ მიეღოთ გადაწყვეტილება – გასულიყვნენ საქართველოს შემადგენლობიდან და ჩამოყალიბებულიყვნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. თქვენ მიგაჩნიათ, რომ ოფიციალური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერებას და არა მეცნიერება – პოლიტიკას (გ. გამახარია, აფსილ-აბაზგთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, გვ. 5. თბილისი, 1998 წ.), პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს თქვენი, ფსევდოისტორიკოსების მონაცემებსა და მითითებებს. ამ დროს, არ ითვალისწინებთ იმას, რომ მოწინააღმდეგე მხარესაც ჰყავს თქვენნაირი ისტორიკოსები, რომლებიც ასევე აყალბებდნენ ისტორიას და მიიჩნევენ, რომ აფხაზები არიან აფხაზეთის აბორიგენი ხალხი, რასაც თქვენ არ იზიარებდით და ასეთ საღ აზრსმოკლებულ **„ფილოსოფიურ კინკლაობას“** (რომელი იყო პირველი: ქათამი თუ კვერცხი) არ უჩანდა ბოლო. თქვენთვის და თქვენი თანამოკალმეებისთვის უცნობი იყო, ალბათ, ძველი ჩინელი ფილოსოფოსის ლაო ძის ბრძნული შეგონება: **„დაემორჩილე, რომ დაიმორჩილო“.** სხვა არაფერზე, სწორედ ამაზეა საუბარი ბატონ კონსტანტინე დუმაას წერილშიც!..

ნაპო მესხია,
აკადემიკოსი

სამეგრელოს ღირსეული შვილები

ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

ოჯახში ყოფნის წლები

დაქორწინების შემდეგ, რადგან მთავრობის სამსახურში შესვლა არ მინდოდა, გადავწყვიტე, სოფლის მეურნეობისთვის მომეკიდნა ხელი. ჩვენ ვცხოვრობდით სოფელ ჭკადუაშში, კორცხელის საზღვარზე. მამაჩემსა და მე, მთელს ჩვენს ოჯახს, ამ ორი სოფლის გლეხობა დიდი სიყვარულითა და ნათესაური გრძნობით შემოგვყურებდა. რა თქმა უნდა, ჩემი არყოფნა და გადასახლება საგრძნობლად დაეტყო ჩვენი ოჯახის მდგომარეობას. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, საჭირო იყო ოჯახის გამაგრება და მეურნეობის გამართვა. მე მხარში ამომიდგნენ, დიდი ამაგი დამდეს და დაუვიწყარი დახმარება გამიწიეს ჩემმა აღმზრდელებმა და სოფლებებმა – ჭითანავამ, ბინავამ, მანიამ, ლაგვილავამ, თოლორაიამ, ქობალიამ, ანთიამ და სხვებმა. მამაჩემს ამ ორი სოფლის გლეხობისათვის ერთხელაც არ უგრძნობინებია, რომ წოდებრივად მათგან განსხვავებული იყო. მე და მამაჩემი ყოველთვის მათთან ვიყავით ჭირსა თუ ლხინში. თუ რაიმე კონფლიქტი მოხდებოდა გლეხობასა და მთავრობის წარმომადგენელთა შორის გადასახადის თაობაზე ან სხვა საკითხზე, მამაჩემი და მე ყოველ ღონეს ვხმარობდით, რომ საქმე არ გამწვავებულიყო და გლეხის ოჯახი არ დაღუპულიყო.

ერთი ასეთი ფაქტიც ვიცოდი – სამეგრელოს სამთავროს რუსეთის იმპერიაში მოქცევის პირველ პერიოდში ჩემი გამზრდელის ძმას ბურდღუ ბჟინავას განუცხადებია რუსი მოხელეებისათვის – მიწა მშრომელი ადამიანის სარგებლობისათვის არის გაჩენილი და არც ხელმწიფესა და არც ბატონს უფლება არა აქვს მიწები წაგვართვასო. ბურდღუ ბჟინავა ხშირად უწევდა წინააღმდეგობას მთავრობის მოხელეთა ძალმომრეობას, უკანონო მოქმედებას. ერთხელ, როცა მის ოჯახში ხარკის ასაღებად, მთავრობის მოხელეთა თანხლებით, ძალით შევიდა ჯვებე დადიანი, მოძალადეებს ბურდღუმ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. სისხლი უნდა დაღვრილიყო, მაგრამ მამაჩემი გადაეღობა ჯვებე დადიანსა და მის მხლებლებს და ბჟინავას ინტერესები დაიცვა, გლეხის მხარეს დადგა. ასეთი შემთხვევები სხვაც ბევრი ყოფილა. გლეხობას კარგად ახსოვდა მამაჩემისგან დათესილი სიკეთე და ყველანი ცდილობდნენ, ჩვენი ოჯახისათვის, შეძლებისდაგვარად, პატივი ეცათ. მე გულმოდგინედ შევუდექი მუშაობას და კმაყოფილებასაც ვგრძნობდი. მალე სასიხარულო ცნობა მივიღე ვანო ჯორჯაძისგან – ისიც შეეწყალებინა ხელმწიფეს და გათავისუფლებული, მშვიდობიანად დაბრუნებულიყო საქართველოში.

პრინცესა სალომე მიურატი ძლიერ კმაყოფილი იყო, მე რომ შინ დავბრუნდი. ამაყობდა, რომ ჩემი გათავისუფლება მისი ვაჟის ჩარევითა და მეოხებით მოხდა. მიურატებთან კარგი, ახლობლური დამოკიდებულების გამო, ზუგდიდის მაზრის მმართველობა კეთილი თვალით გვიყურებდა და მორიდებით გვეპყრობოდა. ქორწინებიდან წლინახევრის შემდეგ, ნადეჟდას და მე, შეგვეძინა ვაჟი გიორგი, რომელმაც დიდად გაახარა ჩვენი ოჯახი და მრავალი საჩუქარი შეგვძინა.

ერთ დღეს, პრინცესა სალომე მიურატი მიბარებს, მილოცავს ვაჟის დაბადებას და ღიმილით მეუბნება – შენი მემკვიდრე ჩვენი მოსანათლია. ამაზე უკვე მთელი ხალხი ლაპარაკობს და ჩვენც სიამოვნებით მივიღებთ ამ წინადადებასო. მე მადლობა მოვახსენე ძვირფას ადამიანს და ვუთხარი – ჩვენო კეთილო პრინცესავ, თქვენს მიერ ჩემი ვაჟის მონათვლა დიდი პატივი და სახელია ჩვენი ოჯახისათვის, მაგრამ თქვენ აუარებელი ნათლული გყავთ ჩვენს დიდ ქვეყანაში, მათი ჩამოთვლა და სიის შედგენაც კი გაჭირდებოდა, მე კი გადაწყვეტილი მაქვს, ჩემი ვაჟი ვინმე ჩემსავე ამხანაგს მოვანათვლინომეთქი. მას გაეხარდა ჩემი გულწრფელი პასუხი და ალერსით მითხრა: ყოჩაღ, ჩემო გვანჯი, როგორი პირდაპირი ვაჟკაცი ყოფილხარო.

რამდენიმე დღის შემდეგ, ფართოდ იღება ჩვენი ეზოს ჭიშკარი და ლამაზი ცხენებით შემოდიან პრინცესა სალომე და მისი შვილები, ჩემი ვაჟისა და ოჯახის სანახავად. ჩვენ უდიდესი სიხარულითა და აღტაცებით შევხვდით საპატიო სტუმრებს და მშვენიერი სუფრა გავუშალეთ. პრინცესას ახლდა თავისი ქალიშვილი ანტუანეტა, რომელსაც იგი მოფერებით ბებეს ეძახდა. ეს ქალიშვილი პროფესიით აგრონომი იყო, საზღვარგარეთ ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება. პრინცესამ ჩვენს გასაგონად უთხრა ქალიშვილს – ჩემო კარგო, ხვალ მოხვალ ამ ოჯახში. დაგეგმე და გაუშვენე გვანჯის ორი ქცევა ვენახი და ფრანგული მეურნეობაო. მართლაც, მეორე დღეს, ანტუანეტამ გამომიგზავნა მუშები, სათანადო გეგმაც მოაყოლა და რამდენიმე კვირაში ორ ქცევა ფართობზე გააშენეს საუცხოო ვენახის ბაღი. ამასთანავე, პრინცესამ საჩუქრად გამომიგზავნა საუკეთესო ჯიშის ძროხა, ცხვარი და ღორები. ორი-სამი წლის განმავლობაში ჩემი ოჯახი და მეურნეობა ისე გამაგრდა და გაიზარდა, რომ ყველას უკვირდა, ახლობლებსა და მოკეთეებს გულს უხარებდა ეს ამბავი.

ჩვენი ოჯახის მოღონიერება და ის, რომ პირადად მე საზოგადოებაში კარგი ავტორიტეტი მოვიპოვე, განსაკუთრებით სიამოვნებდათ პრინცესა სალომესა და მის შვილებს. ყოველი მნიშვნელოვანი დღესასწაულის დროს ან მათთან საპატიო სტუმრების მისვლის შემთხვევაში, პრინცესა სალომე აუცილებლად მიმიპატიჟებდა სახლში და დიდი პატივისცემით მეპყრობოდა. ერთ მშვენიერ კვირა დღეს წავედი მიურატების კარის ეკლესიაში, სადაც პრინცესა ქალიშვილთან და მხლებლებთან ერთად წირვას ესწრებოდა. ამ დროს მასთან შემოვიდა მოსამსახურე და თავაზიანად მოახსენა: სტუმრები მობრძანდნენო. მან მოკლედ უპასუხა, წესიერად მიიღეთ და დამიცადონო. გათავდა წირვა. გამოვედით ეკლესიის ეზოში. პრინცესა სალომემ იქ მყოფი გლეხები სათითაოდ მოიკითხა ოჯახებითურთ. ყველას შინაურულად და გულკეთილად აძლევდა საჭირო რჩევა-დარიგებას. მერე მე მომესალმა დიდი სიყვარულით და მითხრა – სტუმარი მეწვია პეტერბურგიდან. გენერალი რეინბოტი, სხვებიც ახლავან და ჩემთან უნდა წამოხვიდეო. მე გავყევი პრინცესას და გავეცანი უცხო სტუმარს, გენერალ რეინბოტს. მას ახლდნენ ზუგდიდის მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები: მაზრის უფროსი კაპიტანი ლავროვი, მინგრელსკის ვექილი ალშიბაია, ვექილი ბახვა დგებუაძე, თვით პრინცესას ვექილი ალექსი ბერიძე და სხვები. სწრაფად გააწყვეს დიდებული სუფრა და გაიმართა სანაქებო ქეიფი. ბევრი საინტერესო რამ ითქვა. სუფრას თვით პრინცესა სალომე მიურატი ხელმძღვანელობდა. უცებ საუბარი ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწისა და სწავლულის, რუსეთის შავრაზმული წრეებისგან დევნილი და შევიწროებული მამულიშვილის კირიონ ეპისკოპოსის გადასახლებაზე ჩამოვარდა. გენერალმა რეინბოტმა სრულიად უცერემონიოდ წამოიძახა: ქართველი რევოლუციონერები ყველანი ბოროტმოქმედები და ყაჩაღები არიანო. სუფრასთან მსხდომნი აშკარად შევშფოთდით, შეურაცხყოფილად ვიგრძენით თავი. მე სისხლი მომაწვა ყელში.

ოჯახის მდგომარეობა რომ მოვაგვარე, თანდათან აღვადგინე მისვლა-მოსვლა დავიწყებულ ახლობელ თუ შორეულ ნათესავ-მეგობრებთან, ნაცნობ-მეგობრებთან. ხშირად დავდიოდი აფხაზეთში, სვანეთში, სამურზაყანოში, ჯვარში, ზუგდიდსა და სხვაგან. არ ვტოვებდი არც ერთ მნიშვნელოვან თავყრილობას, არ გამოვკლებივარ ჩემიანების ჭირსა თუ ლხინს. არ ყოფილა ჩვენს მხარეში ქორწილი, დღეობა თუ სამგლოვიარო შემთხვევა, პატივისცემით რომ არ ვყოფილიყავი მიწვეული. ვცდილობდი, არავისთვის არ დამეკლო ყურადღება და პატივისცემა. ცხადია, მუდამ მხარში ვედექი პატიოსან, მშრომელ გლეხობას. ისინიც დიდ სიყვარულს იჩენდნენ ჩემდამი და რომ დამჭირვებოდა, მზად იყვნენ, ჩემთვის თავი დაედოთ. ვაჟი – ევგენი და ბოლოს, ქალიშვილი ნათელა.

მამაჩემს უდიდეს სიხარულს გვრიდა ის ამბავი, რომ მე, ჯერ კიდევ ახალგაზრდამ მოსახლეობაში ნდობა და ავტორიტეტი მოვიპოვე. ოჯახურ საქმეებს, ძირითადად, მამაჩემი განაგებდა. მიუხედავად ხანდაზმულობისა, გამუდმებით ბაღ-ვენახში ტრიალებდა და გლეხობასაც აქეზებდა, მებაღეობა-მევენახეობისათვის მოეკიდნათ ხელი. მახსოვს შემთხვევები, როცა გზების შეკეთება იწყებოდა, მამაჩემი (თუმცა თავისი წოდების გამო ამ საზოგადოებრივი საქმიანობისაგან თავისუფალი იყო), მაინც მონაწილეობდა, აგრეთვე, აგროვებდა შესაწირავი **„როჭიკს“** – ე.წ. საკანცელარიო გადასახადს. სამეურნეო საქმიანობა წარმატებით რომ მეწარმოებინა, ძალ-ღონეს, ენერგიას არ ვიშურებდი და ამან საზოგადოების საკეთილდღეოდ საკმაო ნაყოფიც გამოიღო. ასე გაგრძელდა 1914 წლამდე. 1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი. საქართველოშიც უამრავი მშრომელი გლეხი მოსწყვიტეს მშობელ კერას, მათ შორის ბევრი ჩემი მეგობარიც გაიწვიეს ფრონტზე. ჩემი სოფლად დარჩენა აღარ შეიძლებოდა.

ომში წასვლა

თავდაპირველად სოხუმში ჩავედი და იჯარით ავიღე სოხუმის პოლკის ხორცით მომარაგება – ხელი მოვკიდე იმ საქმეს, რაც კარგად ვიცოდი. სოხუმის პოლკს უნდა გავყოლოდი რუსეთ-გერმანიის ფრონტზე და ყოველდღიურად 100 ფუთი ახალი ხორცი მიმეწოდებინა. წინასწარ შემატანინეს საწინდარი – 3000 მანეთი. თუ ჩემს მიერ ნაკისრ ვალდებულებას ვერ შევასრულებდი, ეს ფული იკარგებოდა. სოხუმის პოლკი მალე გაემგზავრა პოლონეთისკენ – ქალაქ სუვალკაში უნდა ჩავსულიყავით. გამოვეთხოვე ოჯახს, ახლობლებს და გავყევი ამ პოლკს. ერთხანს კიევში მოგვიხდა გაჩერება. კიევშივე დავიწყე მომარაგება. ვიყიდე 100 ფუთი შაქარი და წავიღეთ ეშელონით. ჩავედით სუვალკაში. მე მომცეს შვიდი ფურგონი და დამიქვემდებარეს ოცდაოთხი ჯარისკაცი. გავიცანი ადგილობრივი კომისიონერები და ყოველდღე ვყიდულობდი 100 ფუთ საუკეთესო ხორცს და სხვა საჭირო პროდუქტებს. პოლკის უფროსს ძალიან მოსწონდა ჩემი აკურატული მუშაობა და რამდენჯერმე ბრძანებით მადლობა გამომიცხადა.

1914 წლის 22 სექტემბერს, სუვალკის ახლოს მოხდა მძიმე ბრძოლები, გერმანიის ჯარებთან ამ შეტაკების დროს სასტიკად დამარცხდა ჩვენი სოხუმის პოლკი. დიდი დანაკლისი გვქონდა. პოლკის მეთაურმა კუდინკომ უმაღლესი მთავარსარდლისგან მიიღო საყვედური, რის გამოც მეორე დღეს თავი მოიკლა. სამი დღის განმავლობაში ისევ შეივსო სოხუმის პოლკი. პოლკის უფროსად დაინიშნა კუდინკოს მოადგილე პოლკოვნიკი კოწია შერვაშიძე. ორი კვირის შემდეგ, კიდევ მოხდა დიდი შეტაკება გერმანელებთან და ჩვენ მოგვივიდა ცნობა, რომ ამ ბრძოლაში პოლკის ახალი მეთაური კოწია შერვაშიძე დაიღუპა. ეს სამწუხარო ამბავი კოწიას დენშჩიკმა შეგვატყობინა. ამ დროს ჩემთან იყო კოწიას ნათესავი მიხა ელიზბარის ძე მხეიძე. ჩვენ გული მოგვიკლა ამ საშინელმა ცნობამ და დაუყოვნებლივ გავყევით დენშჩიკს, რათა კოწიას ცხედარი როგორმე ბრძოლის ველიდან გამოგვეტანა. ფრთხილად მივედით ბრძოლის ადგილას. ისმის გამაყრუებელი სროლა და ქვემეხების გრიალი. ჩვენ მუცელზე ხოხვით მივიწევთ წინ. ცოტა მანძილი რომ გავიარეთ, ვხედავთ: ძუკუ დგებუაძეს ორთვალაზე დაუდია კოწიას ცხედარი და თავგანწირვის ფასად მოაქვს. ჩვენმა დანახვამ ძალიან გაახარა. წავეშველეთ და გათენებისას, როგორც იქნა, მშვიდობიანად ჩავაღწიეთ სვალკაში. კოწიას ცხედრის გამოტანამ ერთგვარად დაგვამშვიდა იქ მყოფი ქართველები. ძუკუ დგებუაძე სასწრაფოდ გაბრუნდა ბრძოლის ველზე, რადგანც უნებართვოდ იყო წამოსული.

ჩვენ მივედით ქალაქის კომენდანტთან, პოდპოლკოვნიკთან. პირადად ვთხოვე, სანამ ჭირისუფლები, ნათესავები ჩამოვიდოდნენ, მიცვალებულის დასასვენებელი ბინა. ამ უსულგულო კაცმა უკმეხად, ცივად გამომისტუმრა, თავი დამანებეთ, რა დროს მიცვალებულიაო, ასე მითხრა. სასტიკად გულმოსული და შეურაცხყოფილი გამოვტრიალდი და მიხასთან ერთად შევედი ერთი ნაცნობი ებრაელის ოჯახში, რომელმაც ჩვენი გასაჭირისთვის ოთახი მოგვაქირავა. ცხედარი იქ დავტოვეთ და მე და მიხა სასწრაფოდ გავექანეთ ჰოსპიტლის მთავარ ექიმთან იასონ მუჯირთან. იასონს ვუთხარით რა გაჭირვებაც გვადგა. იგი ძალიან შეწუხდა და დაგვამშვიდა – ნუ შფოთავთ, ყველაფერს გავაკეთებო. მართლაც, მან გასცა ბრძანება, მაშინვე გამოჰყო ცხედრისთვის ერთი პატარა ოთახი. სასწრაფოდ მოვიტანეთ ცხედარი. იასონის მითითებითვე დაასვენეს მიცვალებული პროზექტურაში. მთავარმა ექიმმა დაუძახა ფერშლებს – ტუხუ პატარაიას და ბესარიონ ჩხოტუას. მე და მიხას სპირტი გვაშოვნინეს, გაუკეთეს გვამს ბალზამირება და მერე იასონმა გვითხრა – აწი, თუ საჭირო იქნა, ცხედარი ოც დღეს შეიძლება აქ იყოს შენახულიო. მე და მიხამ სასწრაფოდ გავაგზავნეთ დეპეშა კოწიას დისწულთან, კუჭიკო გელოვანთან, რომელიც იყო სახელმწიფო სათათბიროს წევრი. დეპეშაში ადრესატს ვატყობინებდით: **“სასწრაფოდ ჩამოდით, კოწია მოკლეს. გვანჯი და მიხა”.**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

აია-სოფია – პირველი წარღვნამდელი ცივილიზაცია დედამიწაზე, ანუ დღევანდელი მარგალები!

ისტორია, როგორც ცნობილია იწყება პირველი წერილობითი ჩანაწერებიდან, დამწერლობის ნიმუშებიდან, რადგან ასეთი ჩანაწერების გარეშე კაცობრიობის კულტურული და პოლიტიკური პროგრესი ვერ მოხდებოდა. ამრიგად დამწერლობის შექმნამდე პერიოდს **„ისტორიამდელი“** უნდა ვუწოდოთ.

დღეს ჩვენ ვიმყოფებით ახალ, ქრ. შ.-დან III ათასწლეულში. ღირს კი გაოცება იმით, რომ ახალი ეპოქის დასაწყისში, მოლოდინებით აღსავსე დროში, ასე მძაფრად შლიან ფრთებს და ყვავიან ათასგვარი რჯულის ეზოთერული **„მეცნიერებები“** და **„სკოლები“**.

ბუნებრივია, რომ ასეთ დროში ადამიანები განსაკუთრებით მწვავედ გრძნობენ შორეულ წარსულთან სიღრმისეულ კავშირებს და ამასთანავე დაძაბულად ელიან პასუხს ყოფისა და სარწმუნოების ძირითად კითხვებზე. მრავალ ამ კითხვას მივყავართ წარსულის ბნელ წიაღში, ჩვენს ფესვებთან, იმ ადგილებში, სადაც სახლობს მეცნიერებისათვის უიშვიათესი სახეობა – ისტორიამდელი ისტორიის მკვლევარი ისტორიკოსი. ეს უცნაური არსებაა – ჰიბრიდი, რომელიც ნაწილობრივ მითოლოგისგან, ნაწილობრივ არქეოლოგისგან, ყველა შესაძლო ეპიკური ლიტერატურის მკითხველისა და ისეთი მეცნიერისგან შედგება, რომელიც იკვლევს შედარებით ლინგვისტიკას. მაგრამ უპირველესად კი ისტორიის სპეციალისტს ასაზრდოებს არსებითი მოთხოვნილება, იპოვოს პასუხი ადამიანის დაბადების ირგვლივ დასმულ ყველა კითხვაზე.

სად და როგორ გაჩნდა პირველად **„ცივილიზებული ადამიანი“**?

40 საუკუნე დაჭირდა მეცნიერებს, რომ აღმოეჩინათ შუმერთა ცივილიზაცია, რომელთა მიღწევები დღესაც აღაფრთოვანებს კაცობრიობას, რაც უკვე აუცილებლად განაპირობებს ბევრ მეცნიერულ-ისტორიული სტერეოტიპების ნგრევას და ახლებურად გაანალიზებას.

როგორც ვთქვით, ისტორია იწყება პირველი წერილობითი ჩანაწერებიდან, დამწერლობის ნიმუშებიდან. ევროპის, აზიისა და ამერიკის მუზეუმებში ინახება მეოთხედ მილიონამდე შუმერული და არა მარტო მათი თიხის ფირფიტები და ფრაგმენტები, რომელთაგან მხოლოდ 5-10 პროცენტამდეა წაკითხული და დამუშავებული, საინტერესოა თუ რას გვეუბნება შუმერთა ცივილიზაცია? იყვნენ თუ არა შუმერები პირველი ცივილიზაცია დედამიწაზე?

ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ალიონზე ჩვენს მზერას წინ წარმოუდგება სამხრეთ ერაყის ჭაობიან დაბლობზე აღმოცენებული ქალაქები. ბიბლია ამ მიწებს **„შინარის მიწებს“** უწოდებს და დიახაც მასზე დაყრდნობით (სენნარი ანუ შუმერი) ვგებულობთ, რომ სწორედ აქ დასახლდნენ ადამის გადარჩენილი შთამომავლები, იმ ეპოქაში, რომელიც წარღვნას მოყვა.

ჩვენთვის ცნობილი შუმერთა უძველესი ქალაქების უდიდეს ნაწილს აქვს არაშუმერული და არასემიტური სახელწოდებები და ვინაიდან ეს ქალაქები უძველეს დროში აღმოცენდნენ, თავისთავად გამოდის დასკვნა, რომ ეს არაშუმერული სახელწოდებები – შუმერეშამდელებია; ანუ შუმერებმა ახალი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ ძირძველი მოსახლეობის კულტურა ისესხა, გადაიღეს, შემდგომ ის გაამდიდრეს საკუთარით და დროთა განმავლობაში აყვავების უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს.

შუმერთა პირველი ტალღა მივიდა მოცემულ ადგილზე ე.წ. **„ელ-ობეიდის“** აყვავების ეპოქაში, მეორე კი – რამოდენიმე ასეული წლის დაგვიანებით, ურუქის ეპოქაში. დაფუძნდნენ რა მდინარეთა შესართავში, შუმერებმა აიღეს ქალაქი ერიდუ. სწორედ ის იყო მათი პირველი ქალაქი დედამიწაზე. მოგვიანებით ისინი ამ ქალაქს საკუთარი სახელმწიფოებრიობის აკვნად მიიჩნევდნენ.

გარკვეული წლების გასვლის შემდეგ შუმერები დაიძრნენ მესოპოტამიის დაბლობის სიღრმისაკენ და თან აგებდნენ ან იპყრობდნენ ახალ ქალაქებს. ამ მოსულმა ხალხმა დაიმორჩილა ქვეყანა ისე, რომ არ განუდევნია ადგილობრივი მოსახლეობა. მათ აღიქვეს ადგილობრივი კულტურის მრავალი მიღწევა, რასაც ჩვენ დღეს ვუწოდებთ შუმერულ კულტურას და ცივილიზაციას.

აგრეთვე მოცემულ რეგიონში უძველესი ტოპონიმების შესწავლის დროს დადგინდა, რომ შუმერული ენა სულაც არაა პირველი სამხრეთ მესოპოტამიის ენებს შორის. შუმერული ენის ეს **„მეორეულობა“** მეცნიერებისათვის მტკიცებულებად იქცა ახალი ეთნიკური ჯგუფის გამოცალკევებისათვის, რომელიც შემდგომ შეერწყა ძირითად მოსახლეობას და რომელმაც შექმნა საკუთრად შუმერული ცივილიზაცია.

მაგრამ თუკი ისინი იყვნენ ეთნიკური შუმერები, მაშინ ვინ იყვნენ მათი, ასე ვთქვათ, ენობრივი წინაპრები – ხალხი, რომელიც პირველად დასახლდა დაბლობზე, როდესაც სპარსეთის ყურის მიმდებარე ჭაობიან რეგიონებში დასახლება იწყება ჯერ კიდევ ძვ.წ. VII ათასწლეულში.

მესოპოტამიას უძველესი სამწერლობო ენისადმი ტერმინის – **„შუმერული“** – გამოყენება, არ ეხება მესოპოტამიის დაბლობზე მოსახლე პირველ ეთნიკურ შემადგენლობას. ადგილობრივმა ტოპონიმებმა შემოგვინახეს უფრო ადრინდელი ენის არსებობის კვალი, რომელსაც შესაძლოა ჰქონოდა გარკვეული კავშირი ამ ტომებთან. ის ფაქტი, რომ აქადურ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ამ ქვეყანას **„შუმერის მიწას“** უწოდებდა, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ამ ადგილების მოსახლეობა საუბრობდა შუმერულად. სავსებით შესაძლებელია, რომ ენა, რომელიც ცნობილია, როგორც შუმერული, სულაც არ იყო იმ ხალხის სალაპარაკო ენა, რომლებსაც უძველესი ავტორები და თანამედროვე მეცნიერები შუმერებს უწოდებენ.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ენა არ მიუთითებს ეთნიკურ კუთვნილებაზე. სემიტურ დიალექტზე მოსაუბრე ადამიანი სულაც არაა აუცილებელი, რომ იყოს სემიტი, ეთნიკური გაგებით.

ამის დასამტკიცებლად საკმარისია უბრალო მაგალითის მოყვანა: იესო ქრისტე და მისი მოსწავლეები არ საუბრობდნენ ერთმანეთთან ებრაულ ენაზე: ისინი ურთიერთობდნენ ძველ არამეულზე, მაგრამ აქედან ხომ არ გამოგვაქვს დასკვნა, რომ იესო ქრისტე ებრაელი კი არ იყო, არამედ მიეკუთვნებოდა ერთ-ერთ ჩრდ. არამეულ ტომს? რა თქმა უნდა – არა. საქმე კი იმაშია, რომ იესო ქრისტეს დროს, ებრაელები საუბრობდნენ თავიანთი რეგიონის ლინგუა რანცა-ზე (საერთაშორისო ენა), რომლის როლსაც იმ დროში ასრულებდა არამეული.

მტკიცებულებების საფუძველზე შუმერები ცოდნას იღებდნენ ადგილობრივი მოსახლეობისაგან და მათ მომავალში განავრცეს ეს ცოდნა ზოგადად. მათზე, ვინც ამ მიწაზე შუმერებამდე ცხოვრობდა, ცოტა რამ ვიცოდით დღემდე.

ისტორიაში მრავალი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც ველური დამპყრობელი ბარბაროსები ეუფლებოდნენ იმდროინდელი ქვეყნების ცივილიზაციებს და ადგილობრივი მოსახლეობის ყველა მიღწევას ისაკუთრებდნენ. ისინი ყველაფერს, რაც მანამდე არსებობდა, უცვლიდნენ სახელს და ასე სახეშეცვლილებმა მოაღწია ჩვენამდე, მაგ.: ხათების (ხეთების), ქანაანელების (ამორეების), ხურიტების (სემიტების), პელაზგების (აქაველ – ბერძნების), ეტრუსკების (კელტების) და სხვათა ცივილიზაციებმა, ხოლო ბერძენ-აქაველებმა პირველებმა მოაწყვეს მსოფლიოში პელაზგების გენოციდი, რისი გამოვლინებაც გრძელდება თანამედროვე პერიოდამდე, როდესაც ყოველგვარ პელაზგურს უარყოფენ უმოტივაციოდ და თავგამოდებით.

იოსებ ქაცარავა,
ისტორიკოსი
(გაგრძელება იქნება)

ამდღარ დღაშ მანგი: „ართი კოჩიქ ქუმორთუ დო...“

დღევანდელი დღის მისადაგი „ერთი კაცი მოვიდა და...“

ართი კოჩიქ ქუმორთუ დო,
ქიანას აიშენენქია!
ქიანა მარა მუ ქიანასი,
მტერეფს გაშტერენსია!
ერთი კაცი მოვიდა და,
ქვეყანას აგიშენებო!
ქვეყანას და რა ქვეყანას,
მტერსაც კი გააშტერებსო!
ამერიკა ფარას მერჩანს,
ოქრო ვარჩხილს ბრელსია!
ევროპაშე ოჭკუმალი,
პისუ ქიტკოცენსია!
ამერიკა ფულებს მოგცემს,
ოქრო და ვერცხლს უთვალავსო!
ევროპიდან კი საჭმელით,
აგივსებენ საყლაპავსო!
„ნატო“ თეში დორთხილანს,
რუსის ვაშაიტენსია!..
ქიანა ჩქიმი მიჩქუდუ დო,
ვაიმენდენდ შხვეფსია!
„ნატო“ ისე დაგიფარავს,
არ ჩაგტოვებს რუსის ხელში!..
ქვეყანა ჩემი მეგონა,
იმედს ვაღვივებდი სხვებში!
თურმე ათაქ მებდინაფექ,
მი მიწინდუ თესია:
„ევროპა დო ამერიკას,
ქიანაქ ვაგართესია!“
თურმე სწორედ აქ დავიქეც,
ვინ მეტყოდა სიმართლესო:
„ამერიკამ და ევროპამ,
ქვეყანა ვერ გაიყვესო!“
უჯგუშ რინაშ იმენდიქ,
ქაშმოწირდუ ხესია!
„ნატო“ კიბირ ეციმილქუ,
ქაშმოსქიდუ ხესია!
უდარდელი დღის იმედი,
შემომადნა ხელშია!
„ნატო“ კბილებდაცვენილი,
შემრჩა მარტოს ხელშია!
რუსი ტყურათ მიმდურე დო,
ვამიოროფუ შხვეფქია!
ათეჯგუა ბოლო უღუ,
კოს მუშ დუდიშ მტერსია!
ტყვილა რუსიც მოვიმდურე,
არც სხვებმა არ შემიყვარა!
საკუთარი თავის მტერმა,
არც სხვები არ გაახარა!

დავით შოთაძე
კობლენცი, გერმანია

ნაციონალთა დასაფლავებისწინა პანაშვიდი

(გაგრძელება მე-5 გვერდიდან)

ჰიტლერი ამბობდა: ხალხი ნეხვის გროვაა, ნაცისტური პარტია კი მაგნიტი, რომელიც ამ ნეხვიდან რკინის ნაჭრებს, ანუ ღირსეულ ადამიანებს მოიზიდავსო. (გაიხსენეთ აგრეთვე საბჭოური “партия – наш рулевой!”). **“ნაცმოძრაობის”** მთელი რიტორიკა, მთელი პათოსი თუ დისკურსი ადრეც ასეთი იყო და, როგორც უკანასკნელმა (და ეს რომ მათი უკანასკნელი თავყრილობაა, ამაში უკვე ნამდვილად არავის ეპარება ეჭვი) ყრილობამ აჩვენა, ახლაც ასეთია.

ჰოდა, როდესაც **“ნაცმოძრაობა”** პრეტენზიას აცხადებს პროდასავლურობის ექსკლუზივზე, ანუ მიიჩნევს, რომ მარტო თვითონაა ლიბერალური დემოკრატიის მიმდევარი, ეს, ჯერ ერთი, შეუსრულებელი მისიაა, რადგან ლიბერალური დემოკრატია პრინციპულად გამორიცხავს ასეთ ექსკლუზიურობას; გარდა ამისა, ეს ასევე გამორიცხავს ნორმალურ და სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგან ასეთ პარტიას შეუძლებელია ჰყავდეს პარტნიორები – მას შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ სატელიტები. ის ან მარტო თვითონაა ხელისუფლებაში, ან მის არსებობას აზრი ეკარგება. ხოლო როცა ასეთი პარტია უკვე იყო ხელისუფლებაში და ყველა ჩვენგანს გამოცდილი აქვს საკუთარ თავზე, თუ რა იყო ეს; როცა ასეთი პარტიის ხელისუფლებიდან გასტუმრებისთვის საჭირო გახდა ლამის მთელი ერის მობილიზაცია და ქვეყანაში ყველაზე მდიდარი და რეიტინგული პერსონის პოლიტიკური ლიდერობა; ყველაზე უარესი, რაც მან შეიძლება შესთავაზოს საზოგადოებას, არის იგივე რიტორიკა, იგივე პათოსი და იგივე ლიდერები.

მოკლედ, ამათ მართლაც არაფერი ეშველებათ, რადგან ცნობილი გახდა, რომ პარტიის თავმჯდომარედ მიხეილ სააკაშვილი რჩება, გარდა ამისა, არ შეიცვლება პარტიის გენერალური მდივანი და ამ პარტიულ თანამდებობაზე ისევ ვანო მერაბიშვილი იქნება წარდგენილი, პოლიტიკურ საბჭოს კი ის დავით ბაქრაძე უხელმძღვანელებს, რომელიც **“დანა-ჩანგლით”** ბრძოლის უდიდეს სტრატეგოსად ითვლება და ახლა საქართველოს პრეზიდენტის ამბიციითაა წარმოდგენილი ქართული საზოგადოების წინაშე!

და რაც მთავარია, **“გველების ბუდედ”** ქცეულმა **“რუსთავი-2”**-მა რამდენიმე დღე ატრიალა მთავარ ნაცთა ნაბოდვარი, მაგრამ ნაკლებ სარწმუნოა, რომ მათ თანამგრძნობები იპოვნონ საქართველოში, რადგან, მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა, განავლისაგან კარაქი არასოდეს გაკეთდება და, რაც მთავარია – **“არ გასწორდების კუდი ძაღლისა და არცა კირჩხიბი მართლად ვლის”...**

ჩვენთვის სასიხარულო კი ის გახლდათ, რომ ავადსახსენებელმა ნაცებმა მთელ საქართველოში მხოლოდ ათი ათას გზააბნეულსა და ფულზე სულგაყიდულ არამზადას მოუყარეს თავი. გამორიცხულია, რომ ამდენი ნაძირალა ნებისმიერ მილიონიან ქვეყანას არ ჰყავდეს! თან როგორი **“სიფათები”** ესწრებოდნენ ნაციონალთა თავყრილობას – წმინდა წყლის **“ფუფალები”**, სულითა და ხორცით მახინჯები, უმეცრები, რომელნიც იმ ადამიანებს უწუნებენ კულტურასა და შეგნებას, რომელთაც პოლიტიკურ მოუსავლეთში გააგზავნეს მექალთანე და ნარკომანი დაშნაკი სააკაშვილი და მისი აშკარად არაქართული ბანდა.

მიუხედავად ნაცთა მცდელობისა, საზეიმო ელფერი მიეცათ მათი თავყრილობისათვის, ეს მაინც გახლდათ პოლიტიკური პანაშვიდი, რომელსაც დიდად დაამშვენებდა სამგლოვიარო მოტივები – **“ლაკრიმოზა”** მოცარტის **“რექვიემი”**-დან!

საკ. ინწ.

გაუქმებული გეიაღლუმი სერბეთში – მაბალითი საქართველოსთვის?!

ნატოს პარტნიორ სერბეთში, რომლის ევროკავშირში გაწევრების საკითხიც 2014 წელს უნდა გადაწყდეს, ახლახანს ერთობ სარისკო ნაბიჯი გადადგეს. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა **“დვერის”** აქტიურობამ და საპროტესტო გამოსვლებმა აიძულა ხელისუფლება, უარი ეთქვა 28 სექტემბერს ბელგრადში გეიაღლუმის ჩატარებაზე. საპროტესტო გამოსვლების ლაიტმოტივი ჯანსაღი ოჯახური ღირებულებების დაცვა იყო. 27 სექტემბერს **“დვერელებმა”** მასშტაბური მსვლელობა მოაწყვეს ბელგრადის ქუჩებში. აქციის მონაწილეებმა გადაწყვიტეს, არ დაშლილიყვნენ მანამ, სანამ მთავრობა არ მიიღებდა გადაწყვეტილებას გეიაღლუმის გაუქმების შესახებ. მთავრობამაც მალე ფარ-ხმალი დაყარა და პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ბელგრადში აღლუმი აღარ ჩატარდებოდა.

17 მაისის მოვლენებიდან გამომდინარე, რა შეიძლება სერბეთის პრეცედენტმა გამოიწვიოს საქართველოში? რა გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს საქართველოს მთავრობამ გაისად? შეაფერხებს თუ არა ეს ჩვენს სვლას ევროპული ოჯახისკენ? – ამ თემაზე ორ განსხვავებულ პოზიციას გთავაზობთ:

დიმიტრი ლორთქიფანიძე, უფლებადამცველი, (კაცი): – ვფიქრობ, მსგავსი რამ ჩვენთანაც შეიძლება მოხდეს. მთავარია, ხელისუფლებას ამის სურვილი და პოლიტიკური ნება ჰქონდეს. არსებობს საერთაშორისო დოკუმენტი **“საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ”,** რომელიც ნებისმიერ მოქალაქეს აძლევს უფლებას, საკუთარი მრწამსის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა. ლაპარაკია მომავალ თაობებზე, მათ ზნეობრივ განვითარებაზე. სწორედ ამ მომენტიდან გამომდინარე მიიღო სერბეთის ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება. ეს პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხია და იმედია, ჩვენი პოლიტიკოსები, პარლამენტარები, მთავრობის წევრები აიღებენ თავიანთ თავზე ამ პასუხისმგებლობას და გაისად, 17 მაისს, სერბეთის ხელისუფლების მსგავსად, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ირაკლი ვაჭარაძე, ორგანიზაცია “იდენტობის” დირექტორი (საქართველოს მთავარი პედერასტი – რედ.):

– ჩვენ ჯერ არ ვიცით, გაისად რა ხელისუფლება გვეყოლება (?!).

– თუკი დავუშვებთ, რომ ხელისუფლება უარს გეტყვით მსვლელობაზე, რა შეიძლება ამან გამოიწვიოს საზოგადოებაში?

– არა მგონია, გაისად კონსტიტუცია შეიცვალოს და ჩამოგვერთვას კონსტიტუციური უფლება, შევიკრიბოთ საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ. ის საზოგადოება, სადაც რომელიმე სოციალურ ჯგუფს საფრთხე ემუქრება, დემოკრატიულად არ ჩაითვლება.

– როდესაც საფრანგეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, დაეკანონებინა ერთსქესიანი ქორწინება, ამას დიდი საპროტესტო ტალღა მოჰყვა. მაშინ საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა განაცხადა: “სექსუალური უმცირესობის უფლებები, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებებია”. თქვენ, როგორც უფლებადამცველი, ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?

დიმიტრი ლორთქიფანიძე: – ნებისმიერი ადამიანის უფლებების დაცვა მთავრდება იქ, სადაც ასეთი უფლებების დაცვა არღვევს სხვათა უფლებებს. საფრანგეთის მაგალითზე ეს ეხებოდა ბავშვთა უფლებებს, როდესაც ბავშვი გაიზრდებოდა და აღმოაჩენდა, რომ დედისა და მამის მაგივრად ორი მამა ჰყავს. აი, ეს იყო საფრანგეთში საპროტესტო ტალღის ბირთვი. ჩვენ ხომ ბავშვთა უფლებებზეც უნდა ვიზრუნოთ? აქედან გამომდინარე, არ შეიძლება მესამე პირის უფლებების დარღვევა.

კ. დგებუაძე

„უცნობი პუტინი“ – თბილისში ახალი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა



2013 წლის 9 ოქტომბერს თბილისში, სასტუმრო **„BETSY'S HOTEL“**-ის საკონფერენციო დარბაზში, არასამთავრობო ორგანიზაცია **„ისტორიულმა მემკვიდრეობამ“** მის მიერ გამოცემული მორიგი წიგნის პრეზენტაცია გამართა, რომელსაც **„უცნობი პუტინი“** ჰქვია.

წიგნი წარმოადგენს სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების ნაკრებს, რომლებშიც მოთხრობილია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე და პირად ცხოვრებაზე, სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობებზე მისი მუშაობის დროს განხორციელებული პროექტების შესახებ, რომლებიც როგორც რუსეთის გაძლიერებისკენ, ასევე ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნისკენ იყო მიმართული.

წიგნი **„უცნობი პუტინი“** უნიკალურია იმით, რომ ეს – საქართველოში გამოსული პირველი გამოცემაა ვლადიმერ პუტინზე ქართულ ენაზე. კრებულის სათაური – **„უცნობი პუტინი“** – ნათლად მეტყველებს მისი გამოცემის მიზანზე: რაც შეიძლება სრულად და მართლად გააცნოს ფართო ქართულ საზოგადოებრიობას დიდი რუსეთის – მეზობელი სახელმწიფოს, საქართველოს ისტორიული მფარველის ხელმძღვანელის პიროვნება, რადგან ბოლო ათწლეულში, განსაკუთრებით 08.08.08 ომის შემდეგ რუსეთის ტელეარხების დაბლოკვის შედეგად, ქართველი საზოგადოება მხოლოდ ცრუ, საქართველოს წინა ხელისუფლების მიერ სათანადოდ დამახინჯებულ და ცენზურაგავლილ ინფორმაციას იღებდა თანამედროვეობის საყოველთაოდ აღიარებული ლიდერის და უდიდესი პოლიტიკოსის შესახებ, როგორადაც გვევლინება ვლადიმერ პუტინი. მაგრამ ყველაზე ინფორმირებული ინტერნეტ-მკითხველიც კი ამ წიგნში ბევრ საინტერესო, მისთვის აქამდე უცნობ ფაქტს და ინფორმაციას იპოვის, მაგალითად, ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეული მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლები – ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, პუბლიცისტები, ბეჭდური და ინტერნეტ-გამოცემების მთავარი რედაქტორები, პოლიტოლოგები, პოლიტიკოსები, ავტორიტეტული საზოგადო მოღვაწეები, სახელმწიფო მოხელეები და დიდი სამამულო ომის ვეტერანები. საქინფორმის კორესპონდენტი ზოგიერთ მათგანს გაესაუბრა.

ᲗᲐᲠᲘᲔᲚ ᲑᲐᲒᲜᲘᲫᲔ, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე: წიგნში **„უცნობი პუტინი“** თავმოყრილია სხვადასხვა (როგორც რუსული, ასევე ევროპული) გამოცემიდან ამოღებული მასალები. ჩვენ შევეცადეთ, წიგნში თავი მოგვეყარა ისეთი მასალებისთვის, რომლებიც ობიექტურად ასახავენ რუსეთის, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკას და რუსეთის პრეზიდენტის, როგორც ამ პოლიტიკის მთავარი გამტარებელი ფიგურის პიროვნებას.

წიგნის ქართულ ენაზე გამოცემა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ რუსული პოლიტიკისა და ვლადიმერ პუტინის შესახებ საქართველოში ძალიან მწირ და უკიდურესად ტენდენციურ ინფორმაციას ფლობენ. შეიძლება ითქვას, ინფორმაციის ერთადერთი თუ არა, ერთ–ერთი წყარო იყო მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ქართულ საზოგადოებას ინფორმაციას დამახინჯებულად აწვდიდა. ამიტომაც გადავწყვიტეთ, შეგვექმნა კრებული, სადაც თავმოყრილი იქნებოდა ვლადიმერ პუტინის პიროვნების შესახებ ბევრი, ქართული საზოგადოებისათვის უცნობი ინფორმაცია.

დღეს აღნიშნული წიგნი საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანეთ და შეფასებას მკითხველს მივანდობთ.

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ, პოლიტიკური პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარე: ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ზომბირებულია. დიდი ხანია ჩვენი ერის პოლიტიკურ-პროპაგანდისტული დამუშავება მიდის და ვისაც პოლიტიკა მსოფლმხედველობად კი არ აქვს გადაქცეული, არამედ რწმენის დონეზე ჰყავს აყვანილი, მათი გადარწმუნება ძალიან ძნელია.

ზოგადად მიმაჩნია, რომ ნებისმიერი წიგნი, თუ ის არ არის სატანისტური და ომისკენ მოწოდებებს არ შეიცავს, არ უნდა იდევნებოდეს.

რაც შეეხება გამოცემას **„უცნობი პუტინი“**, გეტყვით, რომ ვლადიმერ პუტინი მსოფლიოში ყველაზე დიდი სახელმწიფოს ლიდერია და თანაც ისეთი, რომელმაც პრაქტიკულად შეცვალა არა მარტო რუსეთი, არამედ მსოფლიო. ის, რაც მან გააკეთა სირიასთან მიმართებაში, უდიდესი მიღწევაა და აბსოლუტურად დამსახურებულად არის წარდგენილი ნობელის პრემიაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წიგნი, რომელიც ვლადიმერ პუტინის შესახებ ინფორმაციების კრებულს წარმოადგენს, რა თქმა უნდა, ყველა გონიერი ადამიანისთვის საინტერესოა.

ᲞᲔᲢᲠᲔ ᲛᲐᲛᲠᲐᲫᲔ, სახელმწიფო კანცელარიის ყოფილი უფროსი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი: რუსეთის პრეზიდენტზე ძალიან ბევრი რამ იწერებოდა და იწერება. ჩვენ გვახსოვს მიხეილ სააკაშვილის განცხადებებიც, სადაც იგი ქება-დიდებით მოიხსენიებდა ვლადიმერ პუტინს, რომელმაც, მისი თქმით, რუსეთში ხელისუფლების ძლიერი ვერტიკალი შექმნა. შემდგომ ეს რიტორიკა სრულებით შეიცვალა.

რაც შეეხება რუსეთის პრეზიდენტზე წიგნის გამოცემა, სადაც თავმოყრილია ალტერნატიული წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია, ძალიან კარგია, რადგან მკითხველს ეძლევა საშუალება, ერთგვარი შედარებები გააკეთოს და საკუთარი დასკვნები გამოიტანოს.

რუსეთ-საქართველოს შორის ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო, სრულიად ბუნებრივია, საზოგადოების ნაწილის მხრიდან ემოციური თვალსაზრისით გამოცემამ ნეგატიური დამოკიდებულება გამოიწვიოს, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ თუ გვინდა, ჩვენი ქვეყანა გადარჩეს, გადარჩეს საქართველოს დარჩენილი ნაწილი და სამომავლოდ საქართველოს გამთლიანების პერსპექტივა შეიქმნას, რუსეთთან ურთიერთობები უნდა მოვაგვაროთ. მე გავიხსენებდი თავად ვლადიმერ ვლადიმერის ძის სიტყვებს, სადაც მან აღნიშნა, რომ თუ ქართველები და აფხაზები ან ქართველები და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ოსები ოდესმე ერთ სახელმწიფოში ცხოვრებაზე შეთანხმდებიან, ეს მათი გადასაწყვეტიაო – პუტინმა ამ სიტყვებით ბევრი რამ თქვა, რაც ძალზე მნიშვნელოვანი და საგულისხმოა. ამიტომაც ჩვენ ემოციები გვერდზე უნდა გადავდოთ და პრაგმატულად ვიმოქმედოთ. მოხარული ვარ, რომ საქართველოს დღევანდელი მთავრობა არ ჰყვება ყალბ პატრიოტულ პროვოკაციებს და მოთმინებით, ფრთხილად დადის რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების გზაზე.

მიმაჩნია, რომ ქართულმა საზოგადოებამ სწორად უნდა შეაფასოს არსებული ვითარება. ამ კონტექსტში აღნიშნული წიგნის გამოცემა, ვფიქრობ, ძალიან სასარგებლო იქნება ქართველი მკითხველისთვის.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე: ვფიქრობ, რომ აღნიშნული წიგნის გამოცემა სამეცნიერო, კვლევითი კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია. ყველა მმართველზე და მათ შორის ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ისეთ ლიდერზე, რომელიც თანამედროვე სამყაროს, თანამედროვე ისტორიის შექმნის პროცესში ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რა თქმა უნდა, უნდა გვქონდეს ობიექტური ინფორმაცია.

წიგნის შეფასებას ისტორიკოსებს და ანალიტიკოსებს დავუტოვებდი, თუმცა, მინდა გითხრათ, პირადად მეც დიდი ინტერესით გავეცნობი – ჯერ არ წამიკითხავს. მიმაჩნია, რომ აღნიშნული წიგნის გამოცემით კარგი საქმე გაკეთდა. ვფიქრობ, რომ შენი ოპონენტის (არ მინდა მას მტერი ვუწოდო, მიუხედავად იმისა, რომ ყველა კომპონენტი აქვს დამახასიათებელი) გასაცნობად რაც მეტ ზუსტ ინფორმაციას მიიღებ, მით უფრო ადეკვატური იქნება ის რეაქცია, რასაც ქვეყნის ინტერესები მოითხოვს.

ᲜᲐᲜᲐ ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘ, გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი: წიგნი იწყება იმით, თუ რა ინფორმაცია ვრცელდება ქართულ ინტერნეტსივრცეში. იმ ადამიანებისთვის, ვისთვისაც ინტერნეტი ინფორმაციის წყაროა, შედის ვიკიპედიაში და ნახულობს მისთვის საინტერესო ინფორმაციას – ვლადიმერ პუტინის შესახებ ქართულ ვიკიპედიაში წერია მხოლოდ ის, რომ არის ეროვნებით რუსი, მართლმადიდებელი და რუსეთის პრეზიდენტი.

თუ ჩვენ დავუჯერებთ წინა რეჟიმს, რომელიც ამტკიცებდა, რომ პუტინი არის საქართველოს **„ნომერი პირველი მტერი“**, მაშინ როგორ შეიძლება შენი ქვეყნის **„ნომერ პირველ მტერზე“** არანაირი ინფორმაცია არ გქონდეს?!

აღნიშნულ წიგნში ძალიან საინტერესო ფაქტები და გამონათქვამებია მოყვანილი და ძალიან კარგად არის რეტროსპექტივაში დანახული, თუ როდის რა ხდებოდა, ანუ როგორი ჩაიბარა რუსეთი პუტინმა და დღეს რა ვითარებაა. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი – სქელტანიანი არ არის, 400 გვერდი, მასში ძალიან ბევრი საინტერესო ინფორმაციაა თავმოყრილი.

ჩემი აზრით, წიგნი ძალიან დააინტერესებს ანალიტიკოსებს, რადგანაც ასე, ერთ წიგნად ამდენი ინფორმაცია რუსეთის მმართველის შესახებ ქართულ ენაზე აქამდე არ ყოფილა გამოცემული. გარდა ამისა, იგი პოლიტიკოსებისთვისაც იქნება საყურადღებო, რადგანაც სხვადასხვა მოვლენა დინამიკაში ძალიან საინტერესოდ არის განხილული. წიგნი დააინტერესებს იმათაც, ვინც რუსეთში დიდი ხანია არ ყოფილა და ინფორმაციის ნაკლებობას განიცდის, რადგანაც ჩვენი ტელევიზიებიდან მიღებული ცალმხრივი ინფორმაცია საკმარისი არ არის, რომ სრულყოფილი წარმოდგენა გქონდეს მეზობელ ქვეყანაზე, მის პოლიტიკაზე და მმართველზე.

წიგნს იმიტომაც ჰქვია **„უცნობი პუტინი“**, რომ მის შესახებ, როგორც პიროვნებაზე და სახელმწიფო ლიდერზე, ქართულმა საზოგადოება ცოტა რამ თუ იცის.

ᲜᲐ�პᲝᲚᲔᲝᲜ ᲥᲐᲠᲥᲐᲨᲐᲫᲔ, აკადემიკოსი: აღნიშნულ წიგნს ქართული საზოგადოების ნაწილი დადებითად შეხვდება, ნაწილი კი უარყოფითად. სამწუხაროდ, ქართული საზოგადოება დღეს ორად არის გაყოფილი. თუ ადამიანი სადად აზროვნებს, მიხვდება, რომ პუტინი არის ის კაცი, რომელიც უზარმაზარ ქვეყანას კარგად მართავს. ზოგს უნდა, რომ საქართველო ამ უზარმაზარ იმპერიას ეჭიდაოს. ვიღაცამ თქვა კიდევაც, რომ ჩვენ ქართული დროშა კრემლის თავზე უნდა ავაფრიალოთ - ეს ილუზიაში ცხოვრებაა. ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსეთის უზარმაზარ იმპერიას პეტრე პირველის მეფობის შემდეგ ომი არ წაუგია და ამ სახელმწიფოსი მსოფლიოში ყველას ეშინოდა. ჩვენ რატომ ვცდილობთ მასთან ჭიდაობას, ჩემთვის გაუგებარია. მიმაჩნია, რომ პუტინი არის უჭკვიანესი კაცი, რომელმაც რუსეთის იმპერია ელცინის მმართველობის შემდეგ ფეხზე დააყენა. ისიც უნდა ითქვას, რომ ვლადიმერ პუტინი არ არის ქართველთ მოძულე – ეს მან დაამტკიცა მაშინ, როდესაც საქართველოს პატრიარქს, მის უწმინდესობა ილია მეორეს უმასპინძლა და ნინო ბურჯანაძეს შეხვდა. მასთან საუბარი შეიძლება და ეს გონიერმა ხელისუფალმა უნდა გამოიყენოს. წიგნში, რომელიც დღეს არის წარმოდგენილი, ძალიან ბევრი საინტერესო ფაქტია მოცემული და იმედი მაქვს, საზოგადოება მის მიმართ დიდ ინტერესს გამოიჩენს.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ

ბიძინა ივანიშვილი: *“იმედის” სანაცვლოდ ხელისუფლებამ პატარკაციშვილების ოჯახს 400 მილიონი გადაუხადა*

საქართველოს ხელისუფლებამ პატარკაციშვილების ოჯახს ტელეკომპანია **“იმედის”** დათმობის სანაცვლოდ 400 მილიონამდე გადაუხადა – ამბობს ბიძინა ივანიშილი **“გურია NEWS”**-თან საუბრისას. მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლებასა და პატარკაციშვილიების ოჯახს შორის გაფორმებულ შეთანხმებას გრიფით საიდუმლო ადევს.

“მაგრამ რამდენად ეს შესატყვისობაშია და რამდენად ეს სწორი შეფასებაა ცალკე საანალიზოა. პირადად მე ეს არ წამიკითხვას, მხოლოდ მოხსენება წავიკითხე იუსტიციის მინისტრის და კიდევ რამდენიმე რეპლიკა მაქვს პროკურატურიდან, რომ ეს მასალები პროკურატურაშია და დიდი ხანია იკვლევენ და იძიებენ”, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მისი თქმით, შოკისმომგვრელია, როცა მსგავს შეთანხმებებს სახელმწიფო მოხელეები აწერენ ხელს და გრიფით საიდუმლო ადევს. ივანიშვილი დასძენს, რომ აღნიშნულ საკითხს საქართველოს პროკურატურა სწავლობს.

“ტელეიმედის” საქმის გრიფით საიდუმლო სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ **(საია)** საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას და მთავრობის კანცელარიას 12 სექტემბერს მიმართა. მთავრობის კანცელარიამ **საია**-ს 19 სექტემბერს მისწერა, რომ მათი წერილი იუსტიციის სამინისტროშია გადაგზავნილი.

“სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” კანონის მიხედვით, განსაზღვრულია, რა ტიპის ინფორმაცია რა ვადით შეიძლება იყოს საიდუმლო ინფორმაციად მიჩნეული. ინფორმაცია საიდუმლოდ შეიძლება მიჩნეული იყოს 3-დან არაუმეტეს 20 წლისა. კანონით დადგენილი ვადებით, სახელმწიფო უწყებები, რომლებსაც ეს უფლებამოსილება აქვთ მინიჭებული, ვალდებულები არიან გადაამოწმონ, ხომ არ დაიკარგა ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის საფუძველი.

ავსტრიელმა სამართალდამცველებმა ინტერპოლის მიერ ძებნილი დავით ჩაგინავა დააკავეს

მიმდინარე წლის 30 სექტემბერს, თბილისის, ანკარას და ვენის ინტერპოლის თანამშრომლობის შედეგად, სამართალდამცველებმა ავსტრიის რესპუბლიკაში დააკავეს წითელი ცირკულარით ძებნილი, 1978 წელს დაბადებული დავით ჩაგინავა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მეგის ქარდავამ შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მისადმი დაქვემდებარებული შს სამინისტროს თანამშრომლებისა და სხვა პირებისგან შექმნა სტრუქტურული ფორმის მქონე, მყარად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა დანაშაულის ჩადენა. დავით ჩაგინავა წარმოადგენდა ამ დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთ წევრს. მეგის ქარდავას უშუალო დავალებით ჯგუფის წევრებს სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით, ტყის მასივებში, კონკრეტულ პირთა წამების, დაშინების და სხვა უკანონო ქმედებების ჩასადენად მოწყობილი ჰქონდათ ე.წ. მიწურები და ხის სადგომები.

დავით ჩაგინავა 2011 წლის განმავლობაში, სხვადასხვა დროს, აღნიშნული ადგილების გამოყენებით, თანამზრახველებთან ერთად, მეგის ქარდავას დავალებით, უშუალოდ მონაწილეობდა ორი პიროვნების გატაცებაში, თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, ცემაში, წამებაში, არაადამიანურ მოპყრობასა და გაუპატიურებაში. ზემოხსენებულ ქმედებებს ჯგუფის წევრები ახორციელებდნენ, რათა უდანაშაულო პირებისგან მიეღოთ აღიარებითი ჩვენებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 31 ივლისის განჩინებით დავით ჩაგინავას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ამჟამად დავით ჩაგინავა იმყოფება საექსტრადიციო პატიმრობაში და მის მიმართ მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული პროცედურები.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ლაშა დვალი: ძალიან არ მინდა, მეც იგივე დამემართოს

ლაშა დვალი გახარებულია – საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი წევრი ინგლისურ **"რედინგში"** ჩაირიცხა.

18 წლის ქართველს ინგლისელებმა თვალი შარშან, სლოვენიაში გამართული ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის დროს დაადგეს და 2012 წელს რიგის **"სკონტოში"** გაუშვეს. წლეულს, როცა ლაშა 18 წლის გახდა, ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატზეც ითამაშა და **"რედინგმა"** ქართველის დამატება საბოლოოდ გადაწყვიტა.

ლაშა დვალი ახლა ლატვიაშია. ინტერვიუში მან საინტერესო ამბები გაგვიმხილა:

– საქმე უკვე მოგვარებულია. სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და მალე ინგლისში გავემგზავრები. იმედია, ვიზას უახლოეს დღეებში მივიღებ.

– ინგლისური კლუბის ვებგვერდი ამტკიცებს, თითქოს "რედინგი" იჯარით ისევ "სკონტოში" გაბრუნებთ. ჩვენ კი გვითხრეს, რომ შესაძლოა, დროებით საქართველოში ითამაშოთ...

– რა თქმა უნდა, მირჩევნია, თავიდანვე ინგლისში დავრჩე, მაგრამ გამორიცხული არც იჯარის ვარიანტია. საქართველოში დაბრუნება კი იმიტომ განიხილება, რომ მთელ ევროპაში ყველაზე გვიან სატრანსფერო ფანჯარა ჩვენთან იხურება.

მაგრამ ჯერ ზუსტად ვერაფერს გეტყვით. მთავარია, რას იტყვის **"რედინგის"** მწვრთნელი.

ძველი მწვრთნელი ძირითად გუნდში მომიაზრებდა, ახლანდელი კი კარგად არ მიცნობს და შესაძლოა, თავიდან დუბლშემადგენლობაში ვივარჯიშო და ამის შემდეგ იტყვიან, მზად ვარ თუ არა დასარჩენად. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული, რა ფორმაში ვიქნები და ძირითად გუნდთან ადაპტაციას როგორ გავივლი. მთავარია, მკურნალობის პროცესი დროულად დავასრულო.

მიმტკიცებდნენ, ოპერაცია აუცილებელიაო და კიდევ კარგი, არ დავუჯერე, თორემ მთელი სეზონი გამიცდებოდა. ისრაელში გამოსაკვლევად წასული გამახარეს – ოპერაცია არ დამჭირდა. მკურნალობას 3 თვე, წყლის პროცედურები და ფიზიოთერაპიის კურსები სჭირდება. ამის შემდეგ უკვე შემეძლება ვარჯიში, ანუ კიდევ ორი თვე დავისვენებ.

გული დამწყდა, ტრავმის გამო ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრები რომ გამოვტოვე. ალექსანდრე ჩივაძემ გამომიძახა, მაგრამ ვერც ლატვიასთან ამხანაგურში ვითამაშე და ვერც – შესარჩევში ლუქსემბურგ-სლოვაკეთთან.

– თქვენი ხარჯებით მკურნალობთ თუ მას ინგლისელები გინაზღაურებენ?

– **"რედინგი"** ნორმალური კლუბია და, წესით, ხარჯები უნდა გაისტუმროს. ეს ევროპაში მიღებული წესია.

– საქართველოში, თუნდაც, უკრაინასა და რუსეთში, ბევრი კლუბი ასე არ იქცევა... კარგი, გავაგრძელოთ ტრანსფერის თემა. "რედინგში" კონტრაქტის გაფორმებამდე ერთი წლით ადრე იცოდით, რომ ამ გუნდში ჩაირიცხებოდით. ალბათ, სიხარული განელდა, მაგრამ 18 წლის ბიჭისთვის ინგლისში მოხვედრა დიდი მოვლენაა...

– რა თქმა უნდა. ჯერ მარტო იმის გააზრება მახარებს, რომ 2011 წლის შემდეგ, როცა **"რედინგიდან"** ზურაბ ხიზანიშვილი წამოვიდა, პირველი ქართველი ფეხბურთელი ვარ, ვინც ინგლისში მოხვდა. შეუძლებელია, არ მოგწონდეს ინგლისური საფეხბურთო გარემო, გადაჭედილი სტადიონები, მაგარი გულშემატკივრობა, ტემპიანი ფეხბურთი და ამ ყველაფერს მშვენიერი პირობებიც რომ ემატება, წინსვლისთვის მეტი რა გჭირდება?

სხვათა შორის, ჩემი ტრანსფერი შარშან რომ გადაწყდა, **"რედინგის"** დუბლებში ერთი თვე ვივარჯიშე და ესეც დიდი ამბავი იყო.

– ამ ტრანსფერში ლატვიელებს რა ინტერესი ჰქონდათ?

– მოთამაშის ინგლისში გაშვება ნებისმიერი კლუბის სახელისთვის კარგი ფაქტია. მე ვიქნებოდი თუ ვინმე ლატვიელი, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი თავად ფაქტია.

– ინგლისში უკვე გივარჯიშიათ და საინტერესოა, რა არის იქ ყველაზე რთული?

– თუ დამიჯერებთ, იქ საერთოდ არ გამჭირვებია. ჯერ იმიტომ, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ფორმაში ვიყავი და მეორეც – ყველა ვარჯიში ბურთით იყო და ზომიერი დატვირთვები გვქონდა.

ყველაზე მეტად ის გამიკვირდა, სკოლის მასწავლებელი მოსწავლისგან გაკვეთილებს რომ იბარებს, მწვრთნელი ფეხბურთელებს ასე ეკითხებოდა და უხსნიდა ტაქტიკურ დავალებას.

ამ კუთხით კიევის **"დინამოში"** გამიჭირდა, სადაც უმძიმესი დატვირთვები იყო. ადგილობრივები ამას შეჩვეულები არიან, ჩემთვის კი ძნელი ასატანი იყო, მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეგუება და კიევში დამკვიდრებაც შესაძლებელი იყო.

– ინგლისური თუ იცით?

– კარგად არა, მაგრამ ვიცი. თუმცა სწრაფად ლაპარაკობენ და ეს იყო პრობლემა. ჩემი იქ ყოფნის დროს **"რედინგში"** ისლანდიელი ბიჭი ჩამოიყვანეს, რომელმაც ენა ჩემზე უკეთ იცოდა, მაგრამ სანამ ყური არ შეაჩვია, მანამდე ურთიერთობა გაუჭირდა.

– "სკონტოში" გატარებულმა პერიოდმა რა შეგძინათ?

– უდიდესი გამოცდილება! სულ ძირითად შემადგენლობაში ვიყავი და ეს მაშინ, როცა გუნდში ლატვიის ნაკრების 6 მოთამაშე იყო. მათგან, თამაზ პერტიასა და ირაკლი კლიმიაშვილისგანაც ბევრი რამ ვისწავლე. მაგალითად, **"სკონტოს"** კაპიტანი იური ლაიზანსი ძალიან კარგი ფეხბურთელი და არანაკლებ კარგი პიროვნება აღმოჩნდა, მოსკოვის ცსკა-ში ყოფნისას უეფას თასი აქვს აღებული. ის უფროსი ძმასავით მეხმარებოდა. საერთოდ, გუნდი მომეწონა, ბიჭებმა ძალიან თბილად მიმიღეს.

– ძლიერ ევროპულ ლიგაში ბევრი იმედისმომცემი ქართველი მოხვედრილა, მაგრამ წინსვლა შეუჩერებია. დარწმუნებული ვარ, ამაზე თქვენც გიფიქრიათ...

– დიახ, მიფიქრია და დარწმუნებული ვარ, ჭკვიანი კაცი სხვის შეცდომებზე ისწავლის. ეს უფრო მისაღებია, ვიდრე თავად რომ შეცდები, წლებს დაკარგავ და მერე შეცდომების გამოსწორებას შეეცდები. ძალიან არ მინდა, მეც იგივე დამემართოს. ჯერ არაფრისთვის მიმიღწევია და **"ვარსკვლავური"** დაავადება რატომ უნდა დამემართოს? კი არ ვტრაბახობ, მაგრამ ასეთი თავაწეული ადამიანი არც ვარ.

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი



80 წლიანი პაუზის შემდეგ, ათონის მთაზე ქართული წირვა-ლოცვა აღდგა

80 წლიანი შესვენების შემდეგ, ათონის წმიდა მთაზე, უწყვეტი ქართული წირვა-ლოცვა აღდგა – ამის შესახებ ინფორმაციას ათონის წმიდა მთის წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონის სახელობის მონასტერში მოღვაწე ქართველი ბერი, მამა ერმოლაოსი ავრცელებს. ქართველი ბერის ინფორმაციით, მიმდინარე წლის 21 სექტემბერს, სიმონოპეტრას მონასტრის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სენაკში, ოთხმა ქართველმა სასულიერო პირმა უწყვეტი ღვთისმსახურება დაიწყო.

"უკანასკნელად უწყვეტი წირვა-ლოცვა ქართველი ბერების მიერ აღესრულებოდა პანტელეიმონის მონასტრის კუთვნილ წმ. სტეფანეს სახ. სენაკში, სადაც 1919 წელს ივერონის მონასტრის სენაკიდან გამოყრილმა 17 ქართველმა შეაფარა თავი. სამწუხაროდ, 1932 წლის 4 სექტემბერს (ძვ. სტილით) ამ სენაკს ხანძარი გაუჩნდა, რომელმაც რამდენიმე ბერი იმსხვერპლა, დაიწვა ბიბლიოთეკა და არქივი. მას შემდეგ ათონზე ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა ბერებს აღარ აღუვლენიათ.

გილოცავთ ჩემო მეგობრებო, ვულოცავ მთელ საქართველოს ამ დიად მოვლენას და ყველას გთხოვთ, ვილოცოთ ერთად ახალ ქართულ სავანეში მოღვაწე ბერებისთვის: წინამძღვარი – არქიმანდრიტი გრიგოლი, საძმო: მღვდელმონაზონი ეგნატე, ბერი მალაქია და მორჩილი დავითი", – აღნიშნულია მამა ერმალაოსის მიერ გავრცელებულ წერილში.

იუმორი

ავტობუსში ქალი ამოდის პატარა გოგონასთან ერთად. გოგონა მაშინვე იწყებს:

– დედი, მიყიდე შოკოლადი...

– არა, შენთვის არ შეიძლება...

– მიყიდე, თორემ მამას ვეტყვი, როცა ის მიდის, შენთან ზურა ძია რომ მოდის ხოლმე...

ქალს სასწრაფოდ ჩაჰყავს გოგონა. ერთი გაჩერების შემდეგ მამაკაცი ამოდის ბიჭუნათი.

– მამა, მიყიდე შოკოლადი...

– უყიდე, თორემ ინანებ! – ერთხმად აყვირდნენ მგზავრები.

* * *

ცოლ-ქმარს სძინავს. შუაღამეს ქმარი აღვიძებს ცოლს.

– რა გინდა? – თვალების ფშვნეტით ეკითხება ცოლი.

– რა მინდა და 30 ლარი მასესხე... რა უნდა მინდოდეს?

* * *

სამსახურში ქალებმა ყავაზე მკითხავი მოიწვიეს. ანდროსაც დაეინტერესა, რას მეტყვისო და რიგში ჩადგა.

– ვხედავ, ორი შვილი გყავთ, – ეუბნება ფინჯანს ჩაშტერებული მკითხავი.

– თქვენ ასე გგონიათ? – ირონიულად პასუხობს ანდრო, – სამი მყავს, სამი...

– ეს თქვენ გგონიათ ასე...

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ძობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ძობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge